

**ადამიანის უფლებათა ევროპული  
სასამართლოს მიერ 2014 წელს მიღებული  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და  
განჩინებების კრებული**

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ანალიტიკური განყოფილების  
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი  
2015

**SUMMARY OF THE MAIN JUDGMENTS AND  
DECISIONS DELIVERED BY  
THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
IN 2014**

**The Supreme Court Of Georgia  
Human Rights Centre  
of Analytical Department**

**Tbilisi  
2015**



კრებული შეადგინეს და დაამუშავა:

**ნინო შონიაშვილი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის  
მთავარი კონსულტანტი

**ეკა მამალაძე**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის  
მთავარი სპეციალისტი

კრებულის რედაქტორი

**მარინა კვაჭავაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

სტილისტი

**თეა მაისურაძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**



The Collection was compiled and elaborated by:

Chief Consultant of Human Rights Centre,  
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

**Nino Shonia**

Chief Specialist of Human Rights Centre,  
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

**Eka Mamaladze**

Editor

The Head of Analytical Department

**Prof. Dr. Marina Kvachadze**

Style Editor

**Tea Maisuradze**

Graphics Editor and Design

**Marika Maghalashvili**

## **წინასიტყვაობა**

უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ფარგლებში მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კრებული, რომელშიც თავმოყრილია 2014 წლის განმავლობაში ევროპული სასამართლოს მიერ შესწავლილი კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსი.

წინამდებარე კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ახალი მიდგომები და პრეცედენტული სამართალი. კრებულში შესულ საქმეებში განხილულია ის საკითხები, რომლებიც სასამართლოს წინაშე აქამდე არ დასმულა და არ განხილულა: საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში სახელმწიფოს იურისდიქციის გარანტიების გამოყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონტექსტში; ამნისტიის საკითხები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო შეეტანა საჩივარი გარდაცვლილი, გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის სახელით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საქმეები, რომელშიც სტრასბურგის სასამართლოს მიერ შესწავლილ იქნა ევროპული კონვენციისა და ევროკავშირის სამართლის ურთიერთმიმართება.

კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები დააინტერესებს მოსამართლეებს, ადვოკატებს, პროკურორებს, ფართო პროფილის იურისტებს, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

**მარინა კვაჭაძე**

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**

## Preface

Within the framework of the Analytical Department of the Supreme Court was prepared the compilation of the significant judgements and decisions, adopted by the European Court of Human Rights in 2014, with respect to the rights and freedoms guaranteed in the Convention and its Protocols.

The aim of the aforementioned compilation is to introduce the practice of the European Court of Human Rights, new approaches and the case-law of the Court. The compilation includes the cases, in which are discussed the issues that were not raised and examined before the Court so far: The concept of “jurisdiction” under the Article 1 of the ECHR in the context of the international armed conflict and the application of the guarantees enshrined in the Article 5 of the Convention – with regard to the international humanitarian law; Amnesty issues. The European Court of Human Rights ruled for the first time that a non-governmental organization was entitled to file an appeal on behalf of the deceased and mentally disabled person. The particular importance is given to those cases, in which the European Court of Human Rights has studied the relationship between the European Convention and the EU law.

Case law of the European Court of Human Rights included in this compilation will be of particular interest for judges, barristers, prosecutors, general lawyers, university law school professors, students and to all other interested persons in human rights issues.

**MARINA KVACHADZE**

**Head of Analytical Department**

## სარჩევი

<b>წინასიტყვაობა</b> .....	5
<b>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2014 წელს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების მიმოხილვა</b>	
• შესავალი .....	9
<b>იურისდიქცია და დასაშვებობა</b>	
<b>სახელმწიფოთა იურისდიქცია (მუხლი 1)</b> .....	11
<b>დასაშვებობის კრიტერიუმები</b>	
• სასამართლოსადმი მიმართვის უფლება (მუხლი 34).....	13
<b>შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწერა (35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი)</b> .....	15
• ექსტევიანი ვადა (35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).....	17
<b>„ძირითადი“ უფლებები</b>	
<b>სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)</b>	
• სიცოცხლის დაცვის ვალდებულება .....	20
• ეფექტური გამოძიება .....	23
<b>წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა</b>	
• სექსუალური ძალადობისგან დაცვის ვალდებულება .....	27
• რკინის გისოსების გამოყენება სასამართლოში .....	29
• ძალის არაპროპორციული გამოყენება .....	30
• საპატიმრო .....	31
• ექსტრადიცია .....	32
• გაძევება დუბლინის რეგულაციის შესაბამისად .....	33
• სასჯელი .....	35
<b>კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები მე-6 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთად</b> .....	36
<b>თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 5)</b> .....	36
• სწრაფი განხილვა (მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) .....	38
<b>უცხოელების კოლექტიური გაძევების აკრძალვა (მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)</b> .....	39
<b>საპროცესო უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლება (მუხლი 6)</b>	
• გამოყენება .....	39
• სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი) .....	40
• სამართლიანი სამართალწარმოება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი) .....	43
<b>პროცედურული უფლებები სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში სამართლიანი განხილვის უფლება (მუხლი 6)</b>	
• სამართლიანი სამართალწარმოება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი) .....	45
• უდანაშაულობის პრეზუმფცია (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) .....	48

<b>დაცვის უფლება (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი)</b>	
• მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან ერთობლიობაში .....	49
• მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი .....	51
<b>სისხლის სამართლის საქმეების გასაჩივრების უფლება (მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი) .....</b>	<b>52</b>
<b>პირის უფლება, არ იქნეს გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ (მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი) .....</b>	<b>52</b>
<b>სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8)</b>	
• გამოყენება .....	54
• პირადი ცხოვრების უფლება .....	55
• პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება .....	60
• პირადი ცხოვრება და კორესპონდენცია .....	64
• ოჯახური ცხოვრება .....	65
• საცხოვრებელი ადგილი და კორესპონდენცია .....	68
<b>პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება (მე-8 და მე-9 მუხლები) .....</b>	<b>69</b>
<b>გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10) .....</b>	<b>70</b>
<b>შეკრებისა და გაერთიანების უფლება (მუხლი 11)</b>	
• მე-11 მუხლის განმარტება მე-9 მუხლის ფონზე .....	73
• გაერთიანების თავისუფლება .....	75
• პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების თავისუფლება .....	77
<b>დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14)</b>	
• მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში .....	78
• მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან ერთობლიობაში .....	80
<b>საკუთრების დაცვა (I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი)</b>	
• სარგებლობის უფლება .....	81
<b>განათლების უფლება (I დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი) .....</b>	<b>83</b>
<b>თავისუფალი არჩევნების უფლება (I დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი) .....</b>	<b>83</b>
<b>გადაადგილების თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი) .....</b>	<b>85</b>
<b>კონვენციის სხვა დებულებები</b>	
<b>სამართლიანი დაკმაყოფილება (მუხლი 41) .....</b>	<b>86</b>
<b>მატერიალური ზიანი .....</b>	<b>88</b>
<b>გადანყვითლებათა სავალდებულო ძალა და აღსრულება (მუხლი 46)</b>	
<b>გადანყვითლებათა აღსრულება .....</b>	<b>89</b>
• ზოგადი ღონისძიებები .....	90
• ინდივიდუალური ღონისძიებები .....	91
<b>ყველა საჭირო საშუალების უზრუნველყოფის ვალდებულება (მუხლი 38) .....</b>	<b>93</b>



## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2014 წელს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების მიმოხილვა<sup>1</sup>

### შესავალი

2014 წლის განმავლობაში ევროპული სასამართლო მონოდედებული იყო, შეესწავლა კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსი და მისი ფარგლები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის: ოჯახური ცხოვრება საემიგრაციო კონტექსტში, თავშესაფრის მაძიებლები, რელიგიური ორგანიზაციები, პატიმრები, მონყვლადი პირები, პროფკავშირები, სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარება, სუროგატი დედობა, სახლში მშობიარობა, ტერორიზმის პრევენცია, უსაფრთხოების ძალების მიერ იარაღის გამოყენება, არჩევნები, საპროცესო და თავდაცვითი უფლებები და საკუთრების დაცვა. სასამართლომ ასევე განიხილა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება შრომითი დავის კონტექსტში. სტრასბურგის სასამართლო პირველად იხილავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა საპროცესო გარიგების სისტემის შესაბამისობას ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან, სახელმწიფო მეთაურის იმუნიტეტს სამოქალაქო სამართალწარმოებისგან, შეიარაღებული ძალების წევრთა დაცვას კონვენციის მე-11 მუხლის ფარგლებში, ასევე ხელმეორე გაფიცვის კონტექსტში.

დიდმა პალატამ გამოიტანა ცხრამეტი გადაწყვეტილება. ამ მნიშვნელოვანმა საქმეებმა წვლილი შეიტანა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებაში კონვენციის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5, მე-8, მე-9, მე-14, 34-ე, 35 (1)-ე, 38-ე, 41-ე და 46-ე მუხლებით, ასევე მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით და მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით. ამ გადაწყვეტილებებიდან ორი წარმოადგენდა სახელმწიფოთაშორის დავას (33-ე მუხლის შემთხვევისად).

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, ევროსასამართლომ განიხილა სახელმწიფოს იურისდიქციის კონცეფცია კონვენციის 1-ლი მუხლის ფარგლებში და მე-5 მუხლით აღიარებული გარანტიების გამოყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი წესების კონტექსტში. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ განავითარა პრეცედენტული სამართალი ამნისტიის საკითხებთან დაკავშირებით. სტრასბურგის სასამართლომ ასევე გამოიტანა ის გადაწყვეტილებები, სადაც ინდივიდი უპირისპირდებოდა სახელმწიფოს წარმომადგენლებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა, რელიგია, საბანკო საქმიანობა და იმიგრაცია, მორალური და ეთიკური საკითხები. სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემა კონვენციის მთავარ არსს წარმოადგენს და პირველად აღიარა საზოგადოებრივი თანაცხოვრების კონცეფცია, როგორც ლეგიტიმური მიზანი.

სტრასბურგის სასამართლომ შემდგომი მითითება გააკეთა დასაშვებობის პირობებ-

<sup>1</sup> აღნიშნული წარმომადგენს იურისტის მიერ შერჩეულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს, რომელიც აყენებს საერთო ინტერესის ახალ ან მნიშვნელოვან საკითხებს, ადგენს ახალ პრინციპებს და ავითარებს ან განმარტავს პრეცედენტულ სამართალს. წინამდებარე გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვა სასამართლოსთვის არასავალდებულოა.

თან დაკავშირებით. ევროსასამართლომ პირველად დაადგინა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო შეეტანა საჩივარი გარდაცვლილი, გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის სახელით, რომლის უკიდურესმა დაუცველობამ, ხელი შეუშალა მას საკუთარი ინტერესების დაცვაში ეროვნული ორგანოების წინაშე. დიდმა პალატამ ასევე განიხილა ის საკითხები, რომელიც ეხება სა-მართლიან დაკმაყოფილებას, კერძოდ, კონვენციის 41-ე მუხლის<sup>2</sup> გამოყენებას სა-ხელმწიფოთაშორისი დავების შემთხვევაში.

სტრასბურგის სასამართლომ მიერ შესასწავლ სხვა საკითხებთან ერთად, განხილვის საგანს წარმოადგენდა ევროპული კონვენციისა და ევროკავშირის სამართლის ურ-თიერთმიმართება დუბლინის მე-2 რეგულაციასთან, ლუქსემბურგის ევროკავშირის სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების მიღების პროცედურასთან და ევროპარ-ლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა ევროპული კონვენციისა და საერთაშო-რისო სამართლის ურთიერთმიმართება, კერძოდ, ჰუმანიტარული სამართალი, სახელ-მწიფოთა იმუნიტეტისა და სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის კანონმდებლო-ბა და რიგ გადაწყვეტილებებში მიუთითა საერთაშორისო სასამართლოების სხვა გა-დანყვეტილებებზე.

პრეცედენტული სამართალი განვითარდა ნევრ სახელმწიფოთა და კონვენციიდან გა-მომდინარე მათ პოზიტიურ ვალდებულებებთან მიმართებით არსებული შეფასების საზღვრების ფარგლებში.

ევროსასამართლომ საპილოტე გადაწყვეტილებების გამოტანის შემდეგ განიხილა ნევრ სახელმწიფოთა მიერ მიღებული ზომები, რომელიც უკავშირდებოდა მუდმივი მაცხოვრებლების სახელების რეესტრიდან უკანონო მოხსნის, კომუნიტური რეჟი-მის მიერ საკუთრების ნაციონალური კონფისკაციის, სასამართლო სხდომების გადა-დების, ექსპროპრიაციისა და ციხეთა გადატვირთულობის შედეგად დამდგარი ზიან-ნის ანაზღაურების საკითხებს<sup>3</sup>.

სასამართლომ გამოიყენა საპილოტე გადაწყვეტილებების პროცედურა, იმ სამართალ-წარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება უცხოურ ვალუტაში არსებული დეპო-ზიტების შევსებას, სახელმწიფო უწყებებზე ვალდებულებების დამაკისრებელი ეროვ-ნული გადაწყვეტილებების გაჭიანურებულ აღსრულებას ან აღუსრულებლობას<sup>4</sup>.

სასამართლომ თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში, საპილოტე გადაწყვეტილებე-ბის პროცედურის ალტერნატივად ნევრ სახელმწიფოებს, კონვენციის 46-ე მუხლი-დან გამომდინარე, კვლავ მიუთითა ზოგადი და ინდივიდუალური ღონისძიებების გა-მოყენების შესახებ.

<sup>2</sup> „თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“ – ევროკონვენცია, მუხლი 41, სამართლიანი დაკმაყოფილება.

<sup>3</sup> Kuric and Others v. Slovenia (სამართლიანი დაკმაყოფილება)[GC], no. 26828/06, ECHR 2014; Preda and Others v. Romania, nos. 9584/02 et al., 29 April 2014; Xynos v. Greece, no. 30226/09, 9 October 2014; Yildiz and Yanak v. Turkey (dec.), no. 44013/07, 27 May 2014; Stella and Others v. Italy (dec.), no. 49169/09, 16 September 2014.

<sup>4</sup> Alisic and Others v. Bosnia-Herzegovina, Croatia, Serbia, Slovenia and the former Yugoslav Republic of Macedonia [GC], no. 60642/08, ECHR 2014; Gerasimov and Others v. Russia, nos. 29920/05 et al., 1 July 2014.

## იურისდიქცია და დასაშვებობა

### სახელმწიფოთა იურისდიქცია (მუხლი 1)

**საქმე – Jaloud v. the Netherlands**<sup>5</sup> – ეხებოდა ერაყის მოქალაქის მკვლელობას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ ერაყის ოკუპაციის დროს და აღნიშნული მკვლელობის არასათანადო გამოძიებას. 2003 წლის მაისში საომარი მოქმედებების დასრულების შესახებ განცხადების შემდეგ, ნიდერლანდების მთავრობამ ერაყის სტაბილიზაციის ჯარი (SFIR) შესაბამისი ძალებით უზრუნველყო და განალაგა ბრიტანელი ოფიცრის მეთაურობით სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე. 2004 წლის 21 აპრილს განმცხადებლის ვაჟს, ნიდერლანდების სახელმწიფოს ბრძანების საფუძველზე, ესროლეს ავტომობილის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე. მანამდე, იმავე ღამეს აღნიშნულ პუნქტს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც შედეგად მოჰყვა მორიგე ერაყელი ჯარისკაცების საპასუხო ცეცხლი, თუმცა მსხვერპლი არც ერთ მხარეს არ ყოფილა. საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე გამოძახებულ იქნა პოლანდიელი მომსახურე პერსონალი, აღნიშნული ინციდენტის გამოსაძიებლად. მათი მოსვლიდან უმოკლეს დროში მანქანა, სადაც მგზავრის სავარძელზე ბ-ნი ჯალუდი იჯდა, მიუახლოვდა საგუშაგოს სიჩქარის შეუწელებლად. მძღოლმა მოგვიანებით განაცხადა, რომ მას არ დაუნახავს საგუშაგო. მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია, თავდაპირველად ერაყელი ჯარისკაცების კონტინგენტის და შემდეგ ნიდერლანდების ჯარისკაცის (ლეიტენანტ A-ს) მიერ, რომელსაც ერაყელი ჯარისკაცების მხრიდან გახსნილი ცეცხლი მანქანიდან მომავალი ეგონა. მანქანა შეჩერდა და ნათელი გახდა, რომ ბ-ნი ჯალუდი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. შემდგომი გამოძიების კონტექსტში შეუძლებელი იყო იმის თქმა, რომ ლეტალური დარტყმები ერაყელი ჯარისკაცის ან ლეიტენანტ A-ს მიერ განხორციელდა. ევროსასამართლოს წინაშე განმცხადებელი (ბ-ნი ჯალუდის მამა) დავობდა კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევას.

ნიდერლანდებისა და გაერთიანებული სამეფოს (რომელიც მესამე პირად ჩაება) მთავრობაც დავობდა, რომ აღნიშნულ ინციდენტში ნიდერლანდებს ჰქონდათ იურისდიქცია, ასაბუთებდნენ, რომ აღნიშნული შემთხვევა განსხვავდებოდა **Al-Skeini and Others v. the United Kingdom**<sup>6</sup> საქმისგან, რადგან ნიდერლანდებს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, არასდროს ჰქონია საჯარო ძალაუფლება და არ არსებობდა მტკიცებულება ბატონ ჯალუდზე ფიზიკური უფლებამოსილებისა და კონტროლის განხორციელების შესახებ, სანამ მას მოკლავდნენ. მოპასუხე სახელმწიფო კი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა არ შეიძლებოდა ნიდერლანდებს დაბრალდებოდა, რადგან ერაყში არსებული ნიდერლანდების ჯარი გაერთიანებულ სამეფოს ექვემდებარებოდა და ნებისმიერ შემთხვევაში, საკონტროლო-გამშვები პუნქტი უკვე დაკომპლექტებული იყო ერაყელი ჯარისკაცებით, მაშინ, როცა ნიდერლანდების ჯარი მხოლოდ დაცვისა და რჩევის მიცემის მიზნით იყო წარმოდგენილი.

ამ გადაწყვეტილებისადმი ინტერესი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ეხება იგი იურისდიქციის საკითხს. დიდმა პალატამ დაიმონმა საქმეში – **Al-Skeini and Others** – შემუშავებული იურისდიქციის შესახებ პრინციპი. ამასთან ევროსასამართლომ დასძინა, რომ სროლა ნიდერლანდებს შეერაცხებოდა, რადგან იგი ინარჩუნებდა სრულ ძალაუფლებას ერაყში განლაგებულ მის სამხედრო პერსონალზე და ამასთან კონტროლი ჰქონდა სამხედრო ძალების საქმიანობის წესებზე. გარდა ამისა, ის საკონტროლო-გამშვები პუნქტი, სადაც სროლა განხორციელდა, დაკომპლექტებული იყო ერა-

<sup>5</sup> Jaloud v. the Netherlands [GC], no. 47708/08, 20 November 2014.

<sup>6</sup> Al-Skeini and Others v. the United Kingdom [GC], no. 55721/07, ECHR 2011.

ყელი ჯარისკაცებით, რომლებიც იყვნენ ნიდერლანდების სამეფო არმიის ოფიცრის მეთაურობისა და უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. ევროსასამართლომ აღნიშნა: „საკონტროლო-გამშვები პუნქტი შეიქმნა ერაყის სტაბილიზაციის ჯარის (SFIR) მისიის აღსრულებისთვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს №1483 რეზოლუციის საფუძველზე ... რათა აღდგენილიყო სტაბილურობა და უსაფრთხოება, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეფექტურ ადმინისტრირებას. სტრასბურგის სასამართლო დარწმუნებულია, რომ მოპასუხე მხარე ახორციელებდა იურისდიქციას ძალთა სტაბილიზაციის ჯარის (SFIR-ის) მისიის ფარგლებში და იმ მიზნით, რომ ჰქონოდა უფლებამოსილება და კონტროლი ყველა იმ პირზე, რომელიც საგუშაგოს გაივლიდა. ასეთ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ბ.-ნი ... ჯალუდის სიკვდილი ნიდერლანდების იურისდიქციაში ექცეოდა, რომლის მნიშვნელობა კონვენციის 1-ლი მუხლის ფარგლებში უნდა ყოფილიყო განხილული“.

\*\*\*

**გადანყვეტილება საქმეზე – Hassan v. the United Kingdom<sup>7</sup>** – ეხებოდა ბრიტანული ძალების მიერ ერაყელი მოქალაქის დაკავებას ერაყში და მის დაპატიმრებას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში, 2003 წლის საერთაშორისო საომარი მოქმედებების დროს. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ აღნიშნული საქმე არ ექცეოდა მისი ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში, კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. მათ აღიარეს, რომ ექსტრატერიტორიული იურისდიქცია შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა ექსტრატერიტორიულად მოქმედების დროს, სახელმწიფოს წარმომადგენლები ინდივიდს დააპატიმრებენ. თუმცა, მათ განაცხადეს, რომ იურისდიქციის აღნიშნული საფუძველი გამოყენებული არ უნდა იქნეს აქტიური საბრძოლო მოქმედებების ფაზაში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს წარმომადგენლები მოქმედებდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ მიერ ოკუპირებული არ იყო, და სადაც სახელმწიფოს მოქმედება სანაცვლოდ უნდა დაექვემდებაროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს. ევროსასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული არგუმენტი, როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული სამართლისადმი შეუსაბამო, დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიძლება ერთდროულად იქნეს გამოყენებული. სასამართლომ გაიმეორა ის პრინციპები, რომელიც დაადგინა ზემოთ აღნიშნულ **გადანყვეტილებაში – Al-Skeini and Others**, კერძოდ, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ იურისდიქციის განხორციელებას ქვეყნის ტერიტორიის გარეთ, კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. მოპასუხე სახელმწიფოს მეორე არგუმენტთან დაკავშირებით – საპატიმრო დაწესებულებაში შესვლისას პატიმარი მოექცა ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლის ქვეშ – სტრასბურგის სასამართლომ შეისწავლა დაწესებულებაში არსებული პირობები და აღნიშნა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ შეინარჩუნა ძალაუფლება და კონტროლი დაკავების ყველა ასპექტზე, რომელიც კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, აპლიკანტის არსებული საჩივრის შესაბამისი იყო. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ არ დააკმაყოფილა სახელმწიფოს განაცხადი, რომ პატიმარი არ იმყოფებოდა მათი იურისდიქციის ქვეშ.

<sup>7</sup> Hassan v. the United Kingdom [GC], no. 29750/09, ECHR 2014.

\*\*\*

**გადანყვეტილებები საქმეზე – Al Nashiri v. Poland<sup>8</sup> da Husayn (Abu Zubaydah) v. Poland<sup>9</sup>** – ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ ტერორიზმში მხილებული პირების საიდუმლო დაკავებასა და წამებას პოლონეთში. აღნიშნული საქმეები საინტერესოა იმით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეისწავლა პოლონეთის პასუხისმგებლობის საკითხი, მის ტერიტორიაზე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, კონვენციის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ პოლონეთის ხელისუფლება თანამონაწილეობდა და თანამშრომლობდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებებში/ დამნაშავის გადაცემაში, თავის ტერიტორიაზე მიმდინარე საიდუმლო დაკავებისა და დაკითხვის ოპერაციებში, იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პირობებში, პოლონეთის სახელმწიფო ვალდებული იყო სცოდნოდა, რომ ამ ქმედებების ნებადართულობა გამოიწვევდა მომჩივნებისადმი კონვენციის სანინაალმდეგო მოპყრობის რისკს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა პოლონეთის პასუხისმგებლობა – უზრუნველყო მის იურისდიქციაში მოქცეული ნებისმიერი პირის კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ევროსასამართლოს მსჯელობა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ განხორციელებული წამება პოლონეთის დანესებულებაში წარმოადგენდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას და ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ პოლონეთის ხელისუფლებას ზუსტად სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა შიგნით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთი კონვენციის 1-ლი და მე-3 მუხლებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო მიეღო ზომები, რათა უზრუნველყო დაეცვა მის იურისდიქციაში მყოფი პირები, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობისაგან. იმის ნაცვლად, რომ ასეთი ზომები ყოფილიყო მიღებული, პოლონეთი შეგნებულად ხელს უწყობდა მთელ ამ პროცესს და ქმნიდა შესაბამის პირობებს მის მოსახდენად, ნებისმიერი პრევენციული მცდელობის გარეშე. ევროსასამართლოს დადგენილებით, თუნდაც პოლონეთის ხელისუფლება არ ყოფილიყო მონაწილე მომჩივნების მიმართ განხორციელებული ძალადობისა, პოლონეთის სახელმწიფო უნდა ჩათვლილიყო პასუხისმგებლად კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევისთვის.

## დასაშვებობის კრიტერიუმები

### სასამართლოსადმი მიმართვის უფლება (მუხლი 34)<sup>10</sup>

**გადანყვეტილება – საქმეზე – Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania<sup>11</sup>** – ეხებოდა ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის საპროცესო უფლებაუნარიანობას, სარჩელი შეეტანა სასამართლოში გარდაცვლილი ადამიანის

<sup>8</sup> Al Nashiri v. Poland, no. 28761/11, 24 July 2014.

<sup>9</sup> Husayn (Abu Zubaydah) v. Poland, no. 7511/13, 24 July 2014.

<sup>10</sup> კონვენციის 34-ე მუხლთან დაკავშირებული, მე-8 და მე-9 მუხლების საფუძველზე გამოქვეყნებული საქმეებიდან, იხ: S.A.S. v. France [GC], no. 43835/11, ECHR 2014 (ამონარიდები), და Kruskic v. Croatia (dec.), no. 10140/13, 25 November 2014, კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით.

<sup>11</sup> Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania [GC], no. 47848/08, ECHR 2014.

სახელით. არასამთავრობო ორგანიზაციას არ მიუღია მითითებები გარდაცვლილი პირისგან და მასთან რაიმე კავშირიც არ ჰქონია. წინა საქმეებისგან განსხვავებით, სადაც ევროსასამართლომ განიხილა ეს საკითხი, აღნიშნულ საქმეში გარდაცვლილი, ახალგაზრდა ბომა კაცი, მძიმე ფსიქიკური დარღვევებით და აივ ინფექციით დაავადებული, რომელსაც უახლოესი ნათესავიც არ ჰყავდა, წარმოადგენდა ყველაზე მონყვლად პირს. მან მთელი თავისი ცხოვრება სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ გაატარა და გარდაიცვალა საავადმყოფოში. ხელისუფლებას არ დაუნიშნავს მეურვე ან სხვა წარმომადგენელი, რომ მისთვის სათანადო იურიდიული დახმარება გაეწია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო მოთხოვნა არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას არ ჰქონდა არსებითი კავშირი გარდაცვლილ პირთან მისი სიცოცხლის განმავლობაში და არ მიუღია რაიმე უფლებამოსილება ან მითითება მისგან ან სხვა კომპეტენტური პირისგან, აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეიტანა საჩივარი ევროსასამართლოში ამ პირის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით (კონვენციის მე-2, მე-3 და მე-13 მუხლები). ორგანიზაციას ჰქონდა ეროვნული სამართალწარმოების სხვადასხვა ინსტანციის მიერ მანამდე გამოტანილი გადაწყვეტილებები, გარდაცვალების გარემოებების ნათელყოფის მიზნით. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ არც არასამთავრობო ორგანიზაციის უფლებამოსილება გარდაცვლილი პირის სახელით მოქმედებისა და არც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობა აღნიშნული პირის მაგივრად. არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ შესაბამისი ორგანოების მიერ ეროვნულ დონეზე, რომელიც აღიარებდა აღნიშნულ სამართალწარმოებებს.

გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა ის კონკრეტული მიზეზები, რამაც უზრუნველყო ორგანიზაციის საპროცესო უფლებაუნარიანობა, ყოფილიყო გარდაცვლილი პირის დე-ფაქტო წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა შესაბამისი მინდობილობა და ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იყო საჩივრის შეტანამდე. ევროსასამართლომ დასძინა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის აღიარება გარდაცვლილის წარმომადგენლად, შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიდგომებს, „სულით ავადმყოფების“ შემთხვევაში (მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი). ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ სპეციალური პროცედურული გარანტიები შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომელთაც, მათი ფსიქიკური დაავადების გამო, არ შეუძლიათ სრულყოფილად მართონ საკუთარი ქმედებები.

\*\*\*

**გადაწყვეტილება საქმეზე – Ergezen v. Turkey<sup>12</sup>** – ეხებოდა გარდაცვლილი პირის მემკვიდრეების უფლებამონაცვლეობას. მომჩივნებმა, რომლებიც იყვნენ პირობით მსჯავრდებულები, გაასაჩივრეს მათი დაპატიმრების კანონიერება, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3, მე-4, მე-5 პუნქტებიდან გამომდინარე, სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობა და ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობა აღნიშნული საჩივრების დასასაბუთებლად (კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-13 მუხლი). ერთ-ერთი მომჩივანი გარდაიცვალა მანამ, სანამ ევროსასამართლო განიხილავდა აღნიშნულ განაცხადს. მომჩივნის ქვრივმა და შვილებმა მოისურვეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის გაგრძელება.

გადაწყვეტილება **აღსანიშნავია** იმდენად, რამდენადაც ის განმარტავს იმ პირობებს, რომელიც უნდა იქნას დაცული გარდაცვლილი განმცხადებლის მემკვიდრეების მი-

<sup>12</sup> Ergezen v. Turkey, no. 73359/10, 8 April 2014.

ერ სასამართლოში. ამ უკანასკნელთან მიმართებით, გადამწყვეტი კითხვა მდგომარეობს არა ძირითადი უფლებების გადაცემის შესაძლებლობაში (რომელიც ამ შემთხვევაში არსებობდა, როდესაც განმცხადებელი გარდაიცვალა სასამართლოში განაცხადის შეტანამდე), არამედ მემკვიდრეების უფლებამოსილებაში, ლეგიტიმური ინტერესი განაცხადონ სასამართლოში საქმის განხილვის შესახებ; მომჩივნის გამოხატული სურვილის საფუძველზე, ისარგებლოს კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე, საკუთარი ინდივიდუალური უფლებით, პირადი საჩივრის შეტანის თაობაზე.

მემკვიდრეთა უფლებამონაცვლეობის ფართო ინტერპრეტაციამ, ევროსასამართლოს მისცა შესაძლებლობა აღნიშნულ საქმეში დაედგინა, რომ გარდაცვლილი მომჩივნის მემკვიდრეებს შეეძლოთ არა მარტო საჩივრის შეტანა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებიდან გამომდინარე, არამედ გაეგრძელებინათ გარდაცვლილის საქმე კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მუხლით გარანტირებული ზიანის ანაზღაურების უფლება შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ ერთხელ, მას შემდეგ, რაც ამ პირის მიმართ სისხლის სამართალწარმოება დასრულდებოდა.<sup>13</sup>

## შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწერა

### (35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი)<sup>14</sup>

**სახელმწიფოთაშორისი საქმე – Georgia v. Russia (no.1)**<sup>15</sup> – ეხებოდა საქართველოს მოქალაქეთა დიდი რაოდენობის დაკავებას, დაპატიმრებასა და გაძევებას რუსეთის ფედერაციიდან 2006 წლის შემდგომში. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის ოქტომბრიდან, საქართველოს მოქალაქეების დაკავების, დაპატიმრებისა და გაძევების კოორდინირებული პოლიტიკა ხორციელდებოდა, რომელმაც ადმინისტრაციული პრაქტიკა გამოიწვია. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შიდა სამართლებრივი საშუალებების ამონაწერის მოთხოვნა ვერ გავრცელდებოდა.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობდა საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული მონაცემების სანდოობაში ეჭვის შესატანად: საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ გამოტანილი გაძევების 4,600 განკარგულებიდან, დაახლოებით 2,380 პირი იქნა დაკავებული და იძულებით გაძევებული. განსახილველი მოვლენები – ცირკულარებისა და მითითებების გამოცემა, მასობრივი დაპატიმრებები და საქართველოს მოქალაქეთა გაძევება, საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფების მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით განხორციელებული რეისები და რუსეთის თანამდებობის პირთა მიერ სკოლებში წერილების გაგზავნა ქართველი მოსწავლეების განსაზღვრის მიზნით – ხდებოდა 2006 წლის სექტემბრის დასასრულს/ოქტომბრის დასაწყისში. მნიშვნელოვანი იყო,

<sup>13</sup> შეადარეთ განჩინებას საქმეზე: *Bruzitis v. Latvia* (dec.), no. 15028/04, 26 August 2014, რომელიც ეხებოდა მომჩივნის დისპილის *locus standi*-ის არარსებობას. აპლიკანტი ევროსასამართლოში საქმის წარმოების დროს გარდაიცვალა; მისმა დისპილმა განმცხადებლისგან მიიღო უფლებამოსილება, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრის შემდგომ წარმოებაში მიეღო მონაწილეობა.

<sup>14</sup> იხ: კონვენციის მე-2 მუხლი, „სიცოცხლის უფლება“, *Brincat and Others v. Malta*, nos. 60908/11 et al., ECHR 2014 (ამონარიდები).

<sup>15</sup> *Georgia v. Russia* (no. 1) [GC], no. 13255/07, ECHR 2014 (ამონარიდები).

აღნიშნული მოვლენების აღწერილობის, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებთან შესაბამისობის დადგენა.

შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის საკითხის მხრივ, რომელიც შეიძლება დამატებით მტკიცებულებად ჩაითვალოს, ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა/არარსებობის თემატიკასთან მიმართებით, ევროსასამართლოს წინაშე არსებული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებდა, რომ არსებობდა რეალური წინააღმდეგობები, საქართველოს მოქალაქეთა მიერ მათ ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების კუთხით, როგორც რუსეთის ფედერაციის სასამართლოებში, ასევე საქართველოში, მათი გამოძევების შემდეგ. სასამართლოებში საქართველოს მოქალაქეები ჯგუფებად იყვნენ წარდგენილნი. ზოგიერთი მათგანი არ იქნა დაშვებული სასამართლო დარბაზში, ხოლო ისინი, რომლებიც შეუშვეს დავობდნენ, რომ მოსამართლის მიერ მათი დაკითხვა გაგრძელდა სულ ხუთი წუთის განმავლობაში, ფაქტობრივი გარემოებების ჯეროვანი გამოკვლევის გარეშე. აღნიშნულ პირებს შემდგომ უბრძანეს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელის მოწერა, შინაარსობრივი მხარის გაცნობის ან ასლის მიღების გარეშე. მათ არ ჰყავდათ არც თარჯიმანი და არც იურიტი და როგორც ზოგადი წესი, მოსამართლეებისა და პოლიციის თანამშრომლებს მოუწოდეს არ გაესაჩივრებინათ სასამართლოს გადაწყვეტილებები. საქართველოში არსებობდა პრაქტიკული ბარიერები სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ორ ქვეყანას შორის არსებული სატრანსპორტო კავშირების დახურვისა და რუსეთის ფედერაციის საქართველოში არსებულ საკონსულტო დაკავშირებასთან მიმართებით.<sup>16</sup>

\*\*\*

**საქმე – Mocanu and Others v. Romania<sup>17</sup>** – ეხებოდა სამართალწარმოებებს, რომელიც მოჰყვა, 1990 წლის ივნისში ბუქარესტში, რეჟიმის შემდგომ ხელისუფლებაში მყოფი პირების წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციების ძალადობრივ დარბევას. ამ მოვლენების დროს, ქ-ნი მოკანუს ქმარი ჩაცხრილეს და მეორე განმცხადებელი, ბ-ნი სტოიკა, დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. განმცხადებლები დავობდნენ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ეფექტური, მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიების ჩატარების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა რეპრესიაში პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაციასა და დასჯას. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მომჩივნებმა არ ამოწურეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებები, რადგან მათ უნდა შეეტანათ სარჩელი სამოქალაქო სამართალდარღვევისთვის სახელმწიფოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ადეკვატური შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალური და პროცედურული ასპექტების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მოხელეების მიერ, კონკრეტულ შემთხვევაში ძალის უკანონო გამოყენების შესახებ.

<sup>16</sup> Georgia v. Russia (no. 1) [GC], no. 13255/07 საქმეზე, ევროსასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, დაირღვა კონვენციის ცალკე აღებული მე-3 და მე-5 მუხლები, ასევე დადგინდა აღნიშნული მუხლების დარღვევა კონვენციის მე-13 მუხლთან ერთობლიობაში; ამას გარდა, გადაწყვეტილების მიხედვით, დაირღვა ევროკონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლები, ასევე, მე-7 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

<sup>17</sup> Mocanu and Others v. Romania [GC], nos. 10865/09, 45886/07 and 32431/08, ECHR 2014 (ამონარიდები).



დიდმა პალატამ გაიმეორა ამ სფეროში გამოყენებადი ზოგადი პრინციპები და განაცხადა, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ მოხდა ძალის უკანონო გამოყენება – უბრალო გადაცდომის, უმოქმედობის თუ დაუდევრობის საპირისპიროდ – სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმართული იყო მხოლოდ ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე; პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაციისა და დასჯის მაგივრად, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალური ასპექტების მხედველობაში მიღებით, ადეკვატური და ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებები მომჩივანთა დაკმაყოფილების მიზნით არ არსებობდა. აღნიშნულ საქმეში, განმცხადებლების საჩივრები ეხებოდა სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებას ზემოთ მოცემული მუხლებიდან გამომდინარე, გაეგრძელებინათ გამოძიება, რომელიც უზრუნველყოფდა იმ პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაციასა და დასჯას, რომლებმაც მოახდინეს ძალის უკანონო გამოყენება. დიდმა პალატამ დაადგინა, რომ აღნიშნული მიესადაგებოდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება, რომელიც მოჩვენებითი იქნებოდა, თუ მომჩივანი იძულებული გახდებოდა სარჩელი შეეტანა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მიზნით. შესაბამისად, ევროსასამართლომ უარყო სახელმწიფოს წინასწარი განაცხადი, შიდასამართლებრივი საშუალებების ამონაწერის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

### **ექვსთვიანი ვადა (35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი)**

ზემოთ აღნიშნულ საქმეში – **Mocanu and Others** – ერთ-ერთი მომჩივანი, ბ-ნი სტოიკა დავობდა, რომ იგი დააპატიმრეს და დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას პოლიციის თანამშრომლების მიერ. აღნიშნულ ძალადობრივ მოვლენებზე, 1990 წელს, წინასწარი გამოძიება დაიწყო. 11 წლის შემდეგ, 2001 წელს, ბ-ნმა სტოიკამ სისხლის სამართლის სარჩელი შეიტანა. 2009 წელს გამოძიება დაიხურა გადაწყვეტილებით – არ დაწყებულიყო დევნა და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა 2011 წლამდე. ბ-ნი სტოიკას სარჩელი – მე-3 მუხლის სავარაუდო პროცედურული დარღვევის შესახებ – შეტანილ იქნა ევროსასამართლოში 2008 წელს.

საქმე **საინტერესოა** იმით, რომ მომჩივანმა გამოიჩინა 6-თვიანი ვადის წესთან დაკავშირებული გულმოდგინების მაღალი ხარისხი, მაშინ, როცა მისი საჩივარი ეხებოდა არასათანადო მოპყრობის ფაქტის არაეფექტურ გამოძიებას.

მოპასუხე სახელმწიფო აცხადებდა, რომ სარჩელი ვადის დარღვევით იყო შეტანილი, რადგან ბ-ნი სტოიკა 1990 წლის შემდეგ, 11 წლის დაგვიანებით ჩაება სისხლის სამართლის საქმეში და დააყოვნა სარჩელის შეტანა სასამართლოში. მომჩივანმა ახსნა, რომ იგი დაზარალებულად გრძნობდა თავს, როგორც საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანების – არასათანადო მოპყრობის გამო, ასევე იმ უძლურების შეგრძნების გამო, რომელიც მან განიცადა რეპრესიის მსხვერპლთა დიდი რაოდენობისა და სწრაფი რეაგირების არარსებობის გამო შესაბამისი ორგანოების მხრიდან, რომელსაც შეეძლო მომჩივნის დარწმუნება და ხელშეწყობა საქმის შემდგომი გაგრძელების მიზნით.

ევროსასამართლომ აღიარა, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობით მიყენებულ ფსიქოლოგიურ ეფექტს, შესაძლოა საფრთხე შეექმნა დაზარალებულის შესაძლებლობისთვის, ედავა ეროვნული ხელისუფლების წინაშე. ამ შემთხვევაში დაზარალებულთა უმრავლესობამ იპოვა გამბედაობა, სარჩელი შეეტანა ეროვნულ ორგანოებში, გამოძიების პროცესებში 1998 და 2000 წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ. საქმის განსაკუთრებული გარემოე-

ბების გამო, ბ-ნი სტოიკას დაუცველობისა და უძლურების შეგრძნება, რომელიც საერთო იყო მრავალი წლის განმავლობაში სარჩელის შეტანის მომლოდინე ყველა დაზარალებული ადამიანისთვის, წარმოადგენდა დამაჯერებელ და მისაღებ ახსნას 1990-2001 წლებში ბ-ნი სტოიკას უმოქმედობის შესახებ (აგრეთვე, იხილეთ **საქმე – also El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia**<sup>18</sup>). გარდა ამისა, საჩივრის დაგვიანებით შეტანა გამოიძიებას არ აფერხებდა.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა საჩივარი ევროსასამართლოში წარადგინა სისხლის სამართლის სარჩელის შეტანიდან 7 წლის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი უმოქმედოდ არ ყოფილა, რადგან იგი რეგულარულად ითხოვდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ; მას შეეძლო ლეგიტიმურად მიეჩნია, რომ გამოიძიება ეფექტური იყო; და მას შეეძლო გონივრულად დალოდებოდა აღნიშნულის შედეგს, რადგან არსებობდა რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ საგამოძიებო ზომები წინ წასულიყო. შესაბამისად, საჩივარი ვადის დარღვევით არ შესულა.

\*\*\*

**გადაწყვეტილება საქმეზე – Sokolov and Others v. Serbia**<sup>19</sup> – ეხებოდა სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიის ვალების შესახებ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას და ექვსთვიანი ვადის წესის გამოყენებას. განმცხადებლებმა მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილებები კომპანიის წინააღმდეგ, რომელიც ავალდებულებდა მას გადაეხადა მომჩივნებისთვის სახელფასო დავალიანებები, ხარჯები და გასავლები. საბოლოოდ, მომჩივნებმა ვერ უზრუნველყვეს მათი ფულადი სახსრების მიღება, რადგან კომპანია გაკოტრდა და სასამართლომ იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული ფაქტი საბოლოო გახდა 2008 წლის 3 ივლისს, როცა იგი გამოქვეყნდა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

განმცხადებლებმა შეიტანეს საჩივრები სერბეთის წინააღმდეგ 2010 წლის 20 მაისს, დავობდნენ რა, სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-6 მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას იმ არგუმენტით, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო გადაწყვეტილებების სრულად აღსრულება მათ სასარგებლოდ.

გადაწყვეტილება საინტერესოა იმით, რომ ევროსასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა განაცხადი ექვსთვიანი ვადის შესახებ. დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებული ვალების თაობაზე ან როგორც აღნიშნულ საქმეში მოხდა, სახელმწიფოს ქვეშ არსებული იურიდიული პირების ვალდებულება – სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არარსებობის პირობებში – კონვენციის განგრძობად დარღვევას წარმოადგენს, რომელიც ექვსთვიან ვადას ანაცვლებს (იხ., მაგალითად, **საქმე Iatridis v. Greece**<sup>20</sup>). აღნიშნული არ აძლევს სახელმწიფოს იმის უფლებას, რომ მიუთითოს საკუთარი რესურსების ნაკლებობაზე ან მასზე დამოკიდებული მოვალეების ვალაუფალობაზე, რათა გაამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, რადგან ამის შემდეგ სახელმწიფო პასუხისმგებელია გადაუხდებლობაზე. თუმცა, მომჩივანთა შემთხვევაში, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ განგრძობადი დრო ვერ გადადებდა ექვსთვიანი ვადის გამოყენებას განუ-

<sup>18</sup> El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia [GC], no. 39630/09, § 142, ECHR 2012.

<sup>19</sup> Sokolov and Others v. Serbia (dec.), nos. 30859/10 et al., 14 January 2014.

<sup>20</sup> Iatridis v. Greece [GC], no. 31107/96, § 50, ECHR 1999-II.

საზღვრელი დროით. სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიღო ეროვნული კანონი, რომლის მიხედვით, გაკოტრების წარმოების დასრულების შემდეგ, მოვალე კომპანია აღარ ჩაითვლებოდა ვალდებულად მისი ვალების გადახდისთვის და სახელმწიფო აღარ იყო ვალდებული ედავა მოვალე კომპანიის სახელმწიფო კუთვნილებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნები უფრო მეტად გულმოდგინეები უნდა ყოფილიყვნენ და უნდა შეეტანათ საჩივრები 2008 წლის 3 ივლისამდე, ვიდრე ვალაუვალობის შესახებ გადამწყვეტილება საბოლოო გახდებოდა. იმ ეტაპზე, განმცხადებლებისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ არ არსებობდა ეროვნული სამართლის საფუძველზე, რეალური პერსპექტივა ხელსაყრელი შედეგის დადგომის შესახებ მომჩივნების დანარჩენი სარჩელის გადამწყვეტასთან მიმართებით. საინტერესოა, რომ ევროპულმა სასამართლომ თავის დასაბუთებაში აღნიშნა ის სხვა გარემოებები, როდესაც მომჩივნს, განაცხადის შეტანის ექვსთვიანი ვადის გასაბათილებლად, არ შეეძლო მოეთხოვა მდგომარეობის გაგრძელება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გაუჩინარების საქმეში აპლიკანტმა კეთილსინდისიერება ვერ გამოავლინა (**Varnava and Others v. Turkey**<sup>21</sup>).

\*\*\*

2014 წლის 1 იანვრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესდების 47-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის წარდგენის ფორმალური მოთხოვნები გამკაცრდა. ევროსასამართლოსთვის გაგზავნილი საჩივრის ფორმები უნდა შეიცავდეს ყველა აუცილებელ ინფორმაციას და მას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტების ასლები. აღნიშნული ფორმალობები 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ექვსთვიანი ხანდაზმულობის ვადის გამოთვლასთან არის დაკავშირებული; ამ მუხლის მიზნებისათვის დროის მიმდინარეობა შეწყდება მას შემდეგ, რაც რეგლამენტის 47-ე მუხლის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

**გადამწყვეტილება საქმეზე – Malysh and Ivanin v. Ukraine**<sup>22</sup> – ცხადყოფს, თუ როგორ მოქმედებს ახალი წესები პრაქტიკაში.

მომჩივნებს ევროსასამართლომ დროულად აცნობა, რომ მათი თავდაპირველი წარდგინება არ იყო სრულყოფილი და რომ ექვსთვიანი ვადა შეჩერდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სრული საჩივარი გაიგზავნებოდა. მიუხედავად ამისა, პირველმა მომჩივანმა, ახსნა-განმარტების გარეშე, დადგინებულ დროში ვერ უზრუნველყო შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარდგენა. მიუხედავად მეორე მომჩივნის მტკიცებისა, რომ მას საჩივრის მომზადებისას სირთულეები შეხვდა, აღნიშნული არ იყო დადასტურებული ან გამყარებული არგუმენტებით და სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მას მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის არ წარმოუდგენია „ადეკვატური ახსნა-განმარტება“, რეგლამენტის 47-ე მუხლის 5.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. შესაბამისად, ორივე საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი ხანდაზმულობის საფუძველზე.

<sup>21</sup> Varnava and Others v. Turkey [GC], nos. 16064/90 et al., §§ 159-72, ECHR 2009.

<sup>22</sup> Malysh and Ivanin v. Ukraine (dec.), nos. 40139/14 and 41418/14, 9 September 2014.

## „ძირითადი“ უფლებები

### სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)

#### სიცოცხლის დაცვის ვალდებულება

**გადანყვეტილება** ზემოთ აღნიშნულ **საქმეზე – Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania**<sup>23</sup> – ეხებოდა ბოშური წარმოშობის ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც დაბადებისას მიატოვეს. იგი დაავადებული იყო აივ ინფექციითა და მძიმე ფსიქიკური დარღვევებით. ის 18 წლის ასაკში გარდაიცვალა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომელიც არ იყო აღნიშნული ინფექციის მკურნალობისთვის შესაბამისად აღჭურვილი. მამაკაცი ცხოვრობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. აღნიშნული პირის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მისი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. იგი არ იკვებებოდა საკმარისად, არ უტარდებოდა სათანადო მკურნალობა და მისი ყოველდღიური ცხოვრების პირობები გაუსაძლისად იქნა მიჩნეული.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების მასშტაბს იმ მოწყვლადი პირის მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებით, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ გაატარა. ევროსასამართლომ შეისწავლა იმ გადანყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც ბ-ნი კამპეანუს სათანადო მკურნალობასა და ზრუნვაზე იყო პასუხისმგებელი. ევროპულმა სასამართლომ, აგრეთვე, განიხილა აღნიშნული პირის ინდივიდუალური მდგომარეობა იმ ფსიქიატრიული საავადმყოფოს პირობების ზოგად კონტექსტში, სადაც იგი გარდაიცვალა. იმ დროს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოების ანგარიშების, მათ შორის, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) ფონზე, რუმინეთის ხელისუფლებამ აღიარა გათბობისა და წყლის სისტემასთან, ცხოვრებისა და სანიტარიის პირობებთან და სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზები. შესაბამისად, ისინი სრულად იყვნენ ინფორმირებულნი იმ მძიმე სიტუაციის შესახებ, რაც ზამთარში რამდენიმე პირის გარდაცვალების მიზეზი გახდა. აქედან გამომდინარე, ბ-ნი კამპეანუს აღნიშნულ საავადმყოფოში მოთავსება, მიუხედავად მისი მოწყვლადობის უმაღლესი ხარისხისა, არაგონივრულ საფრთხეს ქმნიდა მისი სიცოცხლისთვის (შვილების მსგავს პირობებში გარდაცვალებასთან დაკავშირებით იხილეთ **საქმე Nencheva and Others v. Bulgaria**<sup>24</sup>). გარდა კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ასპექტის დარღვევისა, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა პროცედურული დარღვევაც, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს გარდაცვალების გარემოებების გამორკვევა და შესაბამისად, პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება.

\*\*\*

**საქმეში – Marro and Others v. Italy**<sup>25</sup> – მომჩივნის ვაჟი და ძმა გარდაიცვალნენ საპატრიმროში, ნარკოტიკული საშუალებების გადაჭარბებული დოზის გამო. ის ნარკომანი იყო, მაგრამ დაარწმუნა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხელმძღვანელობა, რომ იგი აღარ იქნებოდა წამალდამოკიდებული. ციხეში ყოფნის პერიოდში, აღნიშ-

<sup>23</sup> Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu, supra note 10.

<sup>24</sup> Nencheva and Others v. Bulgaria, no. 48609/06, 18 June 2013.

<sup>25</sup> Marro and Others v. Italy (dec.), no. 29100/07, 8 April 2014.

ნული პირი არ ამჟღავნებდა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების ან ფსიქიკური პრობლემების ნიშნებს. მისი თანამესაკნე დადებითად შეფასდა ნარკოლოგიური შემონმების შედეგად და ფაქტობრივად, ნარკოტიკული საშუალებების ვაჭრობაში ბრალდებულად ცნეს.

გადაწყვეტილება **საინტერესოა**, რადგან იგი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, საპატიმროებში ნარკოდამოკიდებულ პირთა სიცოცხლის დაცვის შესახებ, ევროკონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე. ევროსასამართლომ აღნიშნა ის ფაქტი, რომ გარდაცვლილ პატიმარს წვდომა ჰქონდა უკანონო ნარკოტიკულ საშუალებებზე, არ შეიძლება თავისთავად ჩაითვალოს მე-2 მუხლიდან გამომდინარე არსებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევად. სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელისუფლებო ორგანოები ვალდებული არიან, მიიღონ ზომები ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ, მით უფრო ისეთ უსაფრთხო გარემოში, როგორც არის საპატიმრო. თუმცა, ეს არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც აბსოლუტური ვალდებულება და ხელისუფლებას არ შეიძლება მოეთხოვოს იმის უზრუნველყოფა, რომ ნებისმიერ გარემოებაში, საპატიმროში ნარკოტიკები არ შეაღწევს ან მათი ბრუნვა არ მოხდება. ხელისუფლების ორგანოები სარგებლობენ დისკრეციის გარკვეული ხარისხით, თუ როგორ მოახდენენ ციხეში ნარკოტიკების ბრუნვისა და მოხმარების თავიდან აცილებას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების ფონზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ განახორციელა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულება, მხედველობაში მიიღო რა ის სხვადასხვა ზომა, რომელიც განახორციელა ციხის ადმინისტრაციამ, რათა თავიდან აეცილებინათ ნარკოტიკების საპატიმროში შეტანა და იმის გათვალისწინებით, რომ გარდაცვლილი პირის ქცევა არ მოითხოვდა ხელისუფლების ორგანოების მიერ რაიმე კონკრეტული ზომების მიღებას, რათა თავიდან აეცილებინათ ამ პირის ნარკოტიკებთან წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ თანასაკნელის ნარკოლოგიური შემონმება დადებითი პასუხით დასრულდა, შეუძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა მის მიერ ნარკოტიკების მიღების შესაძლებლობასა და გადაჭარბებული დოზის გამო ბ-ნი მაროს გარდაცვალებასთან მიმართებით.

\*\*\*

ზემოთ აღნიშნული **გადაწყვეტილება საქმეზე – Brincat and Others<sup>26</sup>** – ეხებოდა სამუშაო ადგილზე აზბესტის ზემოქმედებას თანამშრომლებზე. მომჩივნები დავობდნენ ძირითადად კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე, რომ მათ ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაღდა აზბესტის ზემოქმედების შედეგად, მუშაობდნენ სახელმწიფოს გემთსაშენ ქარხანაში – 1950/1960 წლებიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე. ერთ-ერთი მომჩივანი A, გარდაიცვალა აზბესტისგან გამონვეული სიმსივნით, 2006 წელს. იგი მუშაობდა გემთსაშენ ქარხანაში 1959 წლიდან 1974 წლამდე. მისმა ცოლმა და შვილებმა საჩივარი შეიტანეს გარდაცვლილი პირის სახელით.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ A-ს მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, ხოლო სხვა განმცხადებლების მიმართ კი – მე-8 მუხლის დარღვევას, რომლებმაც ვერ შეძლეს იმის დასაბუთება, რომ ისინი სიცოცხლისთვის საშიში დაავადებით იტანჯებოდნენ. გადაწყვეტილება საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო.

<sup>26</sup> Brincat and Others, supra note 13.

სახელმწიფოს განაცხადთან მიმართებით – შიდა სამართლებრივი საშუალებების არ ამონურვასთან დაკავშირებით – სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის შემთხვევაში, კომპენსაცია არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ერთ-ერთი საშუალება ზიანის ანაზღაურების შესაძლო სხვა საშუალებებს შორის. ევროსასამართლოსთვის მსგავსი რამ ასევე შეესაბამებოდა მომჩივანთა განაცხადს, კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა აღნიშნულ დებულებებს. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ხელისუფლების არგუმენტი, რომ არ არსებობდა სახელმწიფოს ზოგადი ან აბსოლუტური ვალდებულება მსგავს საქმეებში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. ხელისუფლება, ეროვნული სასამართლოების მსგავსად, ეყრდნობოდა **გადანყვეტილებას საქმეზე – „Zavoloka v. Latvia“<sup>27</sup>**. ევროსასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა **Zavoloka**-ს საქმის ფართო გაგებას, რადგან ამ გადანყვეტილებაში დადგინდა – არამატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლების არარსებობა, აღნიშნული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. კერძოდ, მომჩივნის ქალიშვილი გარდაიცვალა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მესამე პირის დაუდევრობის გამო და აღნიშნული არ წარმოადგენდა სახელმწიფოს პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას. ეს საქმე განსხვავებული უნდა ყოფილიყო ზემოთ აღნიშნული საქმისგან.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება გამოიყენებოდა საჯარო სამსახურში აზბესტის ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენასთან მიმართებით (იხილეთ **საქმე Oneryildiz v. Turkey<sup>28</sup>**).

A-ს ოჯახს შეეძლო დაყრდნობოდა კონვენციის მე-2 მუხლს, რადგან სამედიცინო ინფორმაციის საფუძველზე, A-ს სიკვდილი სავარაუდოდ გამოწვეული იყო აზბესტის ზემოქმედებით და გარდაცვლილი პირი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, განიცდიდა აზბესტის გავლენას გემთსაშენ ქარხანაში მუშაობისას. მეორე მხრივ, სხვა მომჩივნების მიერ მონოდეტული სამედიცინო ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებდნენ აზბესტის უარყოფით გავლენას მათ ჯანმრთელობაზე, არ ადასტურებდა სიმსივნის გარდაუვალ არსებობას ან იმას, რომ ისინი იტანჯებოდნენ სიცოცხლისთვის საშიში პირობებით. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, კონვენციის მე-2 მუხლი არ გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-2 მუხლიდან მომდინარე პოზიტიური ვალდებულებების მასშტაბი, მნიშვნელოვნად ფარავდა კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებების ფარგლებს (იქვე, 90-ე და 160-ე პუნქტები). მომჩივანთა პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე ნათლად აისახებოდა აზბესტის ზემოქმედება. ამ კუთხით, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული აპლიკანტების განაცხადების განხილვა კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე (ეყრდნობოდა რა **გადანყვეტილებას საქმეზე Roche v. the United Kingdom<sup>29</sup>**).

ევროსასამართლომ დასძინა კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებს შორის არსებული საერთო ხასიათი, რომელიც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შინაარსიდან და პრაქტიკული და სხვა ზომების მიღებიდან გამომდინარეობდა, ამ მუხლებით გარანტირებული უფლებების პატივისცემის მიზნით (იხილეთ ზემოთ აღნიშნული საქ-

<sup>27</sup> Zavoloka v. Latvia, no. 58447/00, § 40, 7 July 2009.

<sup>28</sup> Oneryildiz v. Turkey [GC], no. 48939/99, § 71, ECHR 2004-XII

<sup>29</sup> Roche v. the United Kingdom [GC], no. 32555/96, §§ 155-56, ECHR 2005-X

მეები – **Oneryildiz, Budayeva and Others v. Russia**<sup>30</sup> და **Vilnes and Others v. Norway**<sup>31</sup>). ამიტომ, სტრასბურგის სასამართლომ ჩაატარა მის წინაშე არსებული პრობლემური საკითხის გლობალური მიმოხილვა, კერძოდ, ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა აზბესტის ზემოქმედებისგან გამონვეული საფრთხეები იმ დროისათვის (ევროსასამართლოსთვის, ეს იყო ადრეული 1970-იანი წლებიდან) და დადებითი პასუხის შემთხვევაში, საკმარისი პრევენციული ზომები იქნა თუ არა მიღებული, რისკის ქვეშ მყოფ პირთა დასაცავად. იმ დროს არსებული ცოდნისა და სახელმწიფო ორგანოების რეაგირების შეფასების ანალიზი – ნორმატიული და სხვა – შეიძლება შედარებულ იქნეს ზემოთ აღნიშნულ **საქმეებში – O’Keeffe v. Ireland**<sup>32</sup> და **Vilnes and Others** – დადგენილ მიდგომებთან). ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ საფრთხის სერიოზულობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ საშუალებების არჩევის შეფასების ფარგლების მიუხედავად, ხელისუფლებამ აღნიშნულ საქმეში ვერ უზრუნველყო პოზიტიური ვალდებულებების შესრულება, კანონმდებლობის ან სხვა პრაქტიკული ღონისძიებების ფარგლებში, კონვენციის მე-2 (A-სთან მიმართებით) და მე-8 მუხლების (დანარჩენი მომჩივნების მიმართებით) მნიშვნელობიდან გამომდინარე.

### ეფექტური გამოძიება

**გადაწყვეტილება საქმეზე – Jelic v. Croatia**<sup>33</sup> – ეხებოდა ომის დანაშაულის გამოძიების ეფექტურობას. 1991 წლის ნოემბერში, მომჩივნის ქმარი, რომელიც წარმოშობით სერბი იყო, ნიღბიანმა და შეიარაღებულმა პირებმა საკუთარი სახლიდან გადაიყვანეს სისაკში (ხორვატია). მოგვიანებით იგი გარდაცვლილი იპოვეს. 1992-1999 წლებში, ამ მკვლელობის გამოსაძიებლად არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. ამის შემდეგ საგამოძიებო ორგანოებმა დაკითხეს რამდენიმე მოწმე, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ შეეძლოთ განმცხადებლის მეუღლის მკვლელობაში უშუალოდ მონაწილე პირების იდენტიფიცირება. როგორც აღმოჩნდა, საგამოძიებო ორგანოები არ დაეფუძნენ აღნიშნულ წყაროებს. თუმცა, იმ დროს პოლიციის მაღალი რანგის რამდენიმე თანამშრომელი წარდგა სასამართლოს წინაშე; სისაკის ტერიტორიის პოლიციის მეთაური, საბოლოოდ მსჯავრდებული იქნა ომის დანაშაულებში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რადგან მან ნება დართო წარმოშობით სერბი პირების მკვლელობას და ვერ უზრუნველყო ადეკვატური ზომების მიღება ასეთი დანაშაულების თავიდან ასაცილებლად.

ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამართალწარმოების დროს, მომჩივანი დავობდა თავისი ქმრის მკვლელობას და გამოძიების არაადეკვატურობას.

**საქმეზე – Janowiec and Others v. Russia**<sup>34</sup> – დადგენილ პრინციპებზე მითითებით, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ მისი იურისდიქცია დროის მიხედვით ფარავდა ბრალდების მხოლოდ უკანასკნელ ასპექტს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული მხარის დარღვევა. დასკვნა ძირითადად ეფუძნებოდა, განმცხადებლის მეუღლის

<sup>30</sup> Budayeva and Others v. Russia, nos. 15339/02 et al., § 146, ECHR 2008 (ამონარიდები).

<sup>31</sup> Vilnes and Others v. Norway, nos. 52806/09 and 22703/10, § 220, 5 December 2013.

<sup>32</sup> O’Keeffe v. Ireland [GC], no. 35810/09, ECHR 2014 (ამონარიდები).

<sup>33</sup> Jelic v. Croatia, no. 57856/11, 12 June 2014.

<sup>34</sup> Janowiec and Others v. Russia [GC], nos. 55508/07 and 29520/09, ECHR 2013.

მკვლევლობის გარემოებებთან დაკავშირებით, ხელისუფლების ორგანოების მიერ ადეკვატური და ეფექტური გამოძიების წარმოების განუხორციელებლობას. ევრო-სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფომ არ გამოიყენა სანდო წყარო, რომელსაც შეეძლო მკვლევლობის უშუალო დამნაშავეების იდენტიფიცირება. ის ფაქტი, რომ ხელისუფლება იმ დროს ჩართული იყო ხორვატიის ომის დროს მომხდარ სხვა პირთა მკვლევობების მრავალ გამოძიებაში, არ ათავისუფლებდა მას მსგავსი წყაროების გამოყენებისაგან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილებით როდესაც შესაბამისი ორგანოებისთვის მიცემულ იქნა პოტენციური დამნაშავეების სახელები სანდო მონმეების მიერ, რომელთაგან ზოგიერთი პირდაპირი მონმე იყო, სახელისუფლებო ორგანოები ვალდებული იყვნენ, მიეღოთ შესაბამისი ზომები აღნიშნული დამნაშავეების მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად. არც ერთი გამონაკლისი გარემოება არ წარუდგენია სახელმწიფოს ევროპულ სასამართლოში წყაროს გამოუყენებლობის გამო, რაც ძირს უთხრიდა როგორც მომჩივნის უფლებას დაედგინა სამართალი – სასჯელის სახით გარდაცვლილი მეუღლის გამო, ასევე სისხლის სამართლის შემაკავებელი ფუნქციიდან გამომდინარე. ამ კუთხით, აღნიშნული საქმე განსხვავდება ევროპული სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებისგან – დაუშვებლობის შესახებ – **საქმეზე: Gurtekin and Others v. Cyprus**<sup>35</sup> (იხ., აგრეთვე, **Palic v. Bosnia and Herzegovina**<sup>36</sup>).

საქმე **ალსანიშნავია** იმით, თუ როგორ განიხილა ევროსასამართლომ ის არგუმენტი, რომ დღის ბოლოს პოლიციის მაღალი თანამდებობის პირი მსჯავრდებული იყო ომის დანაშაულებში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, უფროსი (ბრძანების გამცემი) პირის პასუხისმგებლობა; ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს ნაკლოვანება, რაც გამოძიების ეფექტურობას ძირს უთხრის და რომელიც ვერ გამოსწორდება მხოლოდ ბრძანების გამცემი პირების მსჯავრდებით. ხელმძღვანელ პირთა დასჯა, რადგან მათ ვერ მოახერხეს აუცილებელი და გონივრული ზომების მიღება, თავიდან აეცილებინათ ომის დანაშაულები ან დაესაჯათ აღნიშნული ქმედებების განმარტოებელი მათდამი დაქვემდებარებული პირები, არ ათავისუფლებს ხელქვეითებს ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან“. ამ დასკვნის შედეგად, სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (25-ე მუხლი), რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდებისა (მე-6 მუხლი) და ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების (მე-7 მუხლი) მნიშვნელობებზე.

საქმე, **ასევე, საინტერესოა** იმით, რომ იგი ეხება სახელმწიფოთა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას პოსტ-კონფლიქტურ/პოსტ-რატიფიცირების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნებართვა შეიძლება გაიცეს იმ სირთულეების გადასალახად, რომელიც ახალ ხელშემკვრელ ქვეყნებს კონფლიქტური მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება შეეხოთ, რათა უზრუნველყონ ეფექტური და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების შექმნა და ომის დანაშაულებთან დაკავშირებული მრავალი საქმის განხილვა (ხორვატიამ გამოძიება დაიწყო ომის დანაშაულების სავარუდო 3,436 დამნაშავეთა წინააღმდეგ, ომის 13,749 მსხვერპლთა ცნობის საფუძველზე), ასეთი წინააღმდეგობები არ ათავისუფლებს ხელისუფლების ორგანოებს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე არსებული პროცედურული ვალდებულებებისგან.

<sup>35</sup> Gurtekin and Others v. Cyprus (dec.), nos. 60441/13, 68206/13 and 68667/13, 11 March 2014.

<sup>36</sup> Palic v. Bosnia and Herzegovina, no. 4704/04, § 65, 15 February 2011



\*\*\*

ზემოთ აღნიშნული საქმის – **Gurtekin and Others – გადაწყვეტილება** ეხებოდა 1960-იან წლებში ჩადენილ მკვლევლობებთან დაკავშირებული განახლებული გამოძიების დახურვას. მომჩივნები დაკარგული კვიპროსელი თურქების ნათესავები იყვნენ; დაკარგული პირების ნეშტი აღმოაჩინეს კვიპროსზე, გაუჩინარებულ ადამიანთა გაეროს კომიტეტის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დროს. მომჩივანთა ნათესავების გაუჩინარება დათარიღებულია 1963-1964 წლებში კვიპროსში მიმდინარე შიდა კონფლიქტით. მომჩივნები არსებითად დავობდნენ მათი ნათესავების ნეშტის აღმოჩენის შემდგომ, ამ პირების სიკვდილთან დაკავშირებული გამოძიების არაეფექტურობის შესახებ. გაითვალისწინა რა მოპასუხე სახელმწიფოს ორგანოების მიერ გამოძიების განხორციელების მეთოდი, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი მინიმალური სტანდარტები ვერ დაიცვა.

წინამდებარე საქმე **საინტერესოა** მრავალი წლით ადრე მომხდარ მოვლენასთან დაკავშირებით განახლებული გამოძიების ფარგლებით და იმით, თუ როგორ განსხვავდება გამოძიების განხორციელების ვალდებულების მასშტაბი, ახალი მტკიცებულების ბუნების ან იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც განახლებული გამოძიების წარმოებას განაპირობებს.

აპლიკანტები, აგრეთვე, ამტკიცებდნენ, რომ გადაწყვეტილება განახლებული გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების მსჯავრის დადებისათვის არასაკმარისი საფუძვლების თაობაზე სასამართლოს მიერ უნდა ყოფილიყო განხილული. აღნიშნული არგუმენტის საპასუხოდ, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულებები აუცილებლად არ მოითხოვდა საგამოძიებო გადაწყვეტილებების სასამართლოს მიერ გადასინჯვას. როდესაც ასეთი საგამოძიებო გადაწყვეტილებების სასამართლო გადახედვა ხორციელდებოდა, უზრუნველყოფილი იყო ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.

თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლის სისტემისა და სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფუნქციონირებისა და მათ მიერ გამოყენებული ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც შესაძლოა, განსხვავდებოდეს მიდგომებითა და პოლიტიკით. არც ერთი მოდელი არ შეიძლება სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული (იხ. *mutatis mutandis*, **McKerr v. the United Kingdom**<sup>37</sup>).

\*\*\*

**გადაწყვეტილება საქმეზე – Harrison and Others v. the United Kingdom**<sup>38</sup> – შეეხებოდა, ახალი ინფორმაციის საფუძველზე, უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული გამოძიების განახლებას.

1989 წელს სტადიონის ჩამონგრევის შედეგად ოთხმოცდათექვსმეტი ფეხბურთის მხარდაჭერი დაიღუპა. გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიება 1991 წელს შეწყდა; ნაფიცმა მსაჯულებმა ხმათა უმრავლესობით გამოიტანეს ვერდიქტი, რომ გარდაცვალების ყველა ფაქტი შემთხვევით დადგა. ტრაგედიის თაობაზე, 1990 წელს,

<sup>37</sup> McKerr v. the United Kingdom, no. 28883/95, & 143, ECHR 2001-III.

<sup>38</sup> Harrison and Others v. the United Kingdom (dec.), nos. 44301/13, 44379/13 and 44384/13, 25 March 2014.

მოსამართლის მიერ ჩატარებულმა დამოუკიდებელმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ტრაგედიის მთავარი გამომწვევი მიზეზი საპოლიციო კონტროლის განუხორციელებლობა იყო. სტადიონზე წესრიგის დამყარებაზე პასუხისმგებელი პოლიციელების წინააღმდეგ იმ დროისათვის არც დისციპლინური და არც სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება არ დაწყებულა.

2012 წლის სექტემბერში, ახალი ინფორმაციის გამჟღავნების შემდეგ, დაღუპულთა ოჯახის წევრების დაჟინებული მოთხოვნით, დამოუკიდებელმა ექსპერტთა ჯგუფმა გამოსცა დასკვნა, რომ სტადიონის გადატვირთულობის და ჩამონგრევის რისკები ცნობილი და განჭვრეტადი იყო; ექსპერტთა ჯგუფმა, აგრეთვე, შეშფოთება გამოხატა იმის თაობაზე, რომ არ მოხდა მოვლენების მიმართ მყისიერი რეაგირება. ექსპერტების მიერ დასკვნის გამოცემის შემდეგ, თავდაპირველი გამოძიების ვერდიქტი გაუქმდა და ბრძანება გაიცა ხელახალი გამოძიების დაწყების თაობაზე. გამოძიება 2014 წლის 31 მარტს დაიწყო. სისხლისსამართლებრივი ახალი გამოძიება პოლიციელების მიერ ჩადენილი სავარაუდო გადაცდომის ბრალდებების თაობაზე ჩატარდა.

აღნიშნული ფაქტები მიმდინარეობდა იმ ფონზე, რომ მომჩივნებმა და ზოგიერთი მსხვერპლის ოჯახმა საჩივარი შეიტანა ევროსასამართლოში. მომჩივნები, ძირითადად, ამტკიცებდნენ, რომ ხელახალი გამოძიების დაწყება ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოებს ეფექტური გამოძიება არასდროს ჩაუტარებიათ. ისინი, ასევე, ჩიოდნენ, რომ მათ დაახლოებით ოცდაორი წელი დასჭირდათ იმისათვის, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გამოძიება ჩატარებულიყო აპლიკანტების ოჯახის წევრების გარდაცვალების თაობაზე.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო იმ საფუძვლით, რომ იგი ნაადრევი იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში მთავარ საკითხს წარმოადგენდა, განახლდა თუ არა მე-2 მუხლით გათვალისწინებული გარდაცვალების გამოძიების პროცედურული ვალდებულება და თუ განახლდა, რა უნდა ყოფილიყო ამგვარი ვალდებულების არსი. დამოუკიდებელი ექსპერტთა ჯგუფის ახალი დასკვნების ფონზე, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მიხედვით ხელისუფლების ორგანოები ვალდებული იყვნენ გაეტარებინათ განახლებული საგამოძიებო ღონისძიებები. ექსპერტთა დასკვნები ახალი მტკიცებულებები იყო, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდა თავდაპირველი გამოძიების ეფექტურობას. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ცოტა ხნის წინ განხორციელებული ღონისძიებები ყოვლისმომცველი იყო და ექსპერტთა დასკვნებზე სწრაფ რეაგირებას წარმოადგენდა.

წინამდებარე გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ადასტურებს მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულების განახლებას, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში გავრცელებული ახალი მტკიცებულება ან ინფორმაცია, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უკვე დამთავრებული, ადრე ჩატარებული გამოძიების ეფექტურობას (იხ. საქმეები: **Hackett v. the United Kingdom**<sup>39</sup>, **Brecknell v. the United Kingdom**<sup>40</sup> და **Williams v. the United Kingdom**<sup>41</sup>). მნიშვნელოვანია, რომ ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმეში, მაშინაც კი, თუ არ იარსებებდა მე-2 მუხლიდან გამომდინარე პროცედურული ვალდებულება,

<sup>39</sup> Hackett v. the United Kingdom (dec.), no. 34698/04, 10 May 2005.

<sup>40</sup> Brecknell v. the United Kingdom, no. 32457/04, 27 November 2007.

<sup>41</sup> Williams v. the United Kingdom (dec.), no. 32567/06, 17 February 2009.

მთავრობის გამჭვირვალობისა და ფართო გაგებით მართლმსაჯულების გამო, ხელი-სუფლების ინტერესებში იყო უზრუნველყო ეროვნულ ტრადიციასთან დაკავშირებული შემდგომი განხილვა; აღნიშნული პასუხს გასცემდა მსხვერპლის ან მათი ოჯახის წევრების წუხილს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული გამოძიების შედეგებით, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიცია მრავალი წლის წინ მოხდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სტრასბურგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა საჩივარი გამოძიების ოცდაოთხწლიანი პერიოდით დაგვიანების შესახებ. არასწორი იქნებოდა ევროსასამართლოს მიეჩინა, რომ შესაბამისი ინფორმაციული სიახლის გავრცელების შემდგომ, გაერთიანებული სამეფოსათვის, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, პროცედურული ვალდებულების განახლება სავალდებულო იყო; აღნიშნული განპირობებული იქნებოდა გამოძიების ჩატარების საწყისი მოვალეობის გაგრძელებით. სახელმწიფოსთვის ამ ვალდებულების დაკისრება გაუმართლებელი იქნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო მრავალი წლის წინ არსებული ბრალეული გაჭიანურების გამო. ამგვარი გზით აღნიშნულისთვის უკუძალის მინიჭება, მთავრობას ისეთი ნებაყოფლობითი ნაბიჯების გადადგმის ხალისს დაუკარგავდა, რომელსაც შესაძლოა, მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულების განახლება გამოენჯია.

## წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და

### დასჯის აკრძალვა

#### სექსუალური ძალადობისგან დაცვის ვალდებულება

**გადაწყვეტილება საქმეზე – O’Keeffe v. Ireland<sup>42</sup>** – ეხებოდა სახელმწიფოს ვალდებულებას, სკოლის მოსწავლეები მასწავლებელთა მხრიდან სექსუალური ძალადობისაგან დაეცვა. 1973 წელს მომჩივანი, რომელიც მაშინ 9 წლის იყო, რამდენიმე თვის განმავლობაში, სკოლაში, მასწავლებლის მხრიდან სექსუალურ ძალადობას განიცდიდა. აღნიშნულ პერიოდამდე ორი წლით ადრე, მშობელმა სკოლის მმართველ მღვდელთან მსგავსი საჩივარი წარადგინა იმავე მასწავლებლის წინააღმდეგ, თუმცა საჩივარი არც ერთი სახელმწიფო ორგანოსათვის არ გადაუგზავნიათ. უპასუხოდ დარჩა სხვა მშობლების მიერ წარდგენილი მსგავსი ხასიათის მომდევნო ბრალდებებიც. აღნიშნულმა მასწავლებელმა თანამდებობა დატოვა, თუმცა იგი პენსიაზე გასვლამდე, კვლავ ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1995 წელს, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ორგანოების ყურადღება მიპყრობილ იქნა აღნიშნულ მოვლენებზე, დაიწყო გამოძიება. მასწავლებელს ბრალი წაუყენეს სექსუალური ხასიათის ძალადობრივი დანაშაულის 386 ეპიზოდში, რომელიც სავარაუდოდ განხორციელებულ იქნა თხუთმეტწლიანი პერიოდის განმავლობაში, ოცდაერთი ყოფილი მოსწავლის მიმართ. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი ოცდაერთ მსგავს ბრალდებაში და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. მომჩივანმა მასწავლებლის, განათლების დეპარტამენტისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ წარადგინა სამოქალაქო სარჩელი და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. მასწავლებელს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი იმ ქმედებებისთვის, რა-

<sup>42</sup> O’Keeffe, supra note 30.

შიც მას ბრალი ედება.

მომჩივანი დავობდა, რომ მოვლენების განხორციელების დროს ირლანდიაში მოქმედმა დაწყებითი განათლების სისტემამ ვერ დაიცვა იგი 1973 წელს ჩადენილი სექსუალური ძალადობისაგან. აპლიკანტი ჩიოდა, რომ მას არ ჰქონდა ეფექტიანი შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ის გაასაჩივრებდა ამგვარი ქმედებებისაგან სახელმწიფოს მიერ მის დაუცველობას.

**გადანყვეტილება მნიშვნელოვანია** იმ თვალსაზრისით, რომ დაწყებითი განათლების კონტექსტში ის ეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ბავშვები სექსუალური ძალადობისაგან და ეფექტური შიდასამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს მიერ დაცვის განუხორციელებლობის გასაჩივრება.

მასწავლებლის მიერ განხორციელებული ამგვარი სასტიკი მოპყრობის გამო, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი ევროსასამართლოს მსჯელობის მთავარი საგანი იყო. აღნიშნული მსჯელობა ეყრდნობოდა ორ ძირითად საკითხს: (i) დანაშაულის ჩადენის დროს, სახელმწიფო უნდა ყოფილიყო თუ არა საქმის კურსში სკოლებში არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის განხორციელების რისკების შესახებ და (ii) ითვალისწინებდა თუ არა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა ამგვარი მოპყრობის საწინააღმდეგოდ ადეკვატურ დაცვას სკოლის მოსწავლეებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ არასრულწლოვანთა სექსუალური ძალადობის პრევენცია საჭიროებდა სამართალდაცვითი მექანიზმით გამყარებულ ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დებულებებს, რომლებიც უნდა შეიცავდეს ნებისმიერი სასტიკი მოპყრობის აღმოჩენისა და განცხადების მექანიზმებს. კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა გონივრული ნაბიჯების გადადგმას, რომელიც მიზნად ისახავდა მოვლენების მიმდინარეობის შეცვლის ან გამონვეული ზიანის შემცირების რეალურ გეგმას. ის ფაქტი, რომ განათლება სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ არ ექცეოდა, არ გამოირიცხავდა მის ვალდებულებებს (აღნიშნულ სკოლას მართავდა კერძო დაწესებულება და სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარებოდა).

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო ხელისუფლებას არასრულწლოვანთა არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვის პოზიტიური ვალდებულება ეკისრებოდა; მოვალეობა, რომელიც დაწყებითი განათლების კონტექსტში, არსებითი მნიშვნელობის იყო. წინამდებარე საქმეში, აღნიშნული ვალდებულება 1973 წელს განხორციელებული მოვლენების დროს უკვე არსებობდა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ირლანდიაში ჩატარებული საჯარო გამოძიებები მოიცავდა სრულწლოვნების მიერ არასრულწლოვნების წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ დიდი რაოდენობის ბრალდებებს. ამ კონტექსტში მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ სახელმწიფო ინფორმირებული იყო პრობლემის მოცულობის შესახებ. თუმცა, მსგავსი ძალადობის რისკების წინააღმდეგ მას არ გაუტარებია სახელმწიფო კონტროლის რაიმე ეფექტური მექანიზმი. პირიქით, სახელმწიფომ შეინარჩუნა ისეთი სისტემა, რომელიც სკოლის კერძო მმართველს ნებას რთავდა, არ მიეღო ზომები მოპასუხე მასწავლებლის წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის თაობაზე წარდგენილი თავდაპირველი საჩივრების შესასწავლად და შესაბამისად, აღნიშნულ მასწავლებელს აპლიკანტზე ძალადობის განხორციელების საშუალებას აძლევდა. ევროპულმა სასამართლომ, სახელმწიფოს მიერ მომჩივნის დაცვის განუხორციელებლობის საფუძველზე, მე-3 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტის დარღვევა დაადგინა. მოცემულ საქმეში, სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულების დარღვევა არ დამდგარა.

გარდა ამისა, მომჩივანს უნდა ჰქონოდა ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაედგინა სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობა მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის გამო. დამნაშავის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება, კონვენციის მე-13 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, მომჩივნისთვის „ეფექტურ სამართლებრივ დაცვის საშუალებად“ ვერ იქნება მიჩნეული. წინამდებარე საქმეში მთავრობამ ვერ წარმოადგინა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები ეფექტური იყო. სტრასბურგის სასამართლომ, ასევე, დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტთან ერთად, ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობის გამო, რომელიც მომჩივანს შესაძლებლობას აძლევდა გაესაჩივრებინა სახელმწიფოს მიერ მისი დაუცველობა.

### რკინის გისოსების გამოყენება სასამართლოში

**გადაწყვეტილება საქმეზე – Svinarenko and Slyadnev v. Russia<sup>43</sup>** – ეხებოდა სისხლის სამართალწარმოების დროს, რკინის გისოსებში ბრალდებულების მოთავსების პრაქტიკას. სხდომების დროს, წინასწარ პატიმრობაში მყოფი მომჩივნები გარშემორტყმულნი იყვნენ გისოსებით და რკინის კონსტრუქციებით, გისოსებს კი პოლიციის შეიარაღებული თანამშრომლები იცავდნენ. ისინი გისოსებში მოთავსებას ღირსების შემლახავ მოპყრობად მიიჩნევდნენ, რადგან აღნიშნული ქმედებით, სისხლის სამართლის საშიშ დამნაშავეებად მიიჩნეოდნენ, რომელთაც ბრალი უკვე დადგენილი ჰქონდათ. დიდი პალატის გადაწყვეტილებამ განავითარა ახალი პრინციპები, სისხლის სამართალწარმოების დროს სასამართლო დარბაზებში შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენების შესახებ, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში.

ევროსასამართლომ განაცხადა, რომ სხდომის დარბაზის წესრიგი და უსაფრთხოება არ უნდა მოიცავდეს შემზღუდაველ ღონისძიებებს, რომელიც სისასტიკის ხარისხით და მისი არსით შეიძლება კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მოექცეს. შესაბამისად, ევროპულ სასამართლოს სადავო გარემოების – სასამართლო დარბაზში, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს წინაშე, ერთ წელზე მეტი ხნით გისოსებში მოთავსება, მათ შორის, რამდენიმე ყოველთვიური სხდომის დროს, უამრავი მოწმისა და საზოგადოების წევრების თანდასწრებით, განხილვის შემდეგ უნდა დაედგინა, აღწევდა თუ არა აღნიშნული მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. წინამდებარე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მიღწეულ იქნა სისასტიკის მინიმალური ზღვარი, კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს დარბაზში, პროცესის დროს არსებული სადავო მოპყრობის ფაქტი, სამართლიანი სასამართლოს შემადგენელ ელემენტებს ეხებოდა, კერძოდ, ამ შემთხვევაში, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების პრინციპებს. აღნიშნულ თემაზე, ევროსასამართლო ასევე შეეხო საერთაშორისო წყაროებს. ამ კონტექსტში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს უნდა ჰქონოდათ ობიექტურად გამართლებული შიში, რომ სასამართლო სხდომების დროს, მათი გისოსებს მიღმა ყოფნა, მოსამართლეებზე, რომლებსაც აღნიშნული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და თავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ, უარყოფით გავლენას მოახდენდა, როგორც საშიში პიროვნებების შესახებ, რომლებიც უკიდურეს ფიზიკურ შეზღუდვას საჭიროებდნენ, რაც ძირს უთხრიდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. აღნიშნულ

<sup>43</sup> Svinarenko and Slyadnev v. Russia [GC], nos. 32541/08 and 43441/08, ECHR 2014 (ამონარიდები).

გარემოებებს შესაძლებელია ბრალდებულ პირთა დევნა და ნუხილი გამოენვია, იმის გათვალისწინებით, თუ რა მნიშვნელობის სიკეთე იდგა რისკის ქვეშ სამართალწარმოების დროს. ამ პირების საჯაროდ გამოჩენა ასევე უარყოფით გრძნობებს იწვევდა.

ევროსასამართლოს მოსაზრებით, ამ კონტექსტში, ასეთი გისოსების არსებობა არ შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს განაცხადს, უსაფრთხოების შესაძლო დარღვევის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს განაცხადი სავარაუდო საფრთხის შესახებ დაუსაბუთებელი იყო.

უფრო ზოგადად, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ შემთხვევაში არსებული კონკრეტული გარემოებებისა, კონვენციის მთელი არსი ადამიანის ღირსების პატივისცემას ეფუძნება და როგორც ინდივიდუალური ადამიანის დაცვის ინსტრუმენტი – კონვენციის ობიექტი და მიზანი მოითხოვს მისი დებულებების იმგვარად განმარტებას და გამოყენებას, რომ მასში ჩადებული გარანტიები პრაქტიკული და ეფექტური იყოს.

ამის გამო, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების დროს პიროვნების გისოსებში მოთავსება ობიექტურად დამამცირებელი ხასიათის ქმედება იყო, რომელიც შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცივილიზებული ქცევის სტანდარტებისთვის და ადამიანის ღირსების შეურაცხყოფას წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებიდან გამომდინარე. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული კვალიფიცირდებოდა, როგორც „ღირსების შემლახავი მოპყრობა“, რომელიც მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს.

### ძალის არაპროპორციული გამოყენება

**გადაწყვეტილება საქმეზე – Anzhelo Georgiev and Others v. Bulgaria<sup>44</sup>** – ეხებოდა საპოლიციო ოპერაციის დროს ელექტრო-განმუხტვის იარაღის გამოყენებას. პოლიციის ნიღბიანმა თანამშრომლებმა დაარბიეს მომჩივნების კომპანიის ოფისები. ოპერაციის მიმდინარეობის დროს, ისინი საკონტაქტო რეჟიმში იყენებდნენ ელექტრო-განმუხტვის იარაღებს, რათა გადაელახათ აპლიკანტთა სავარაუდო წინააღმდეგობა და თავიდან აეცილებინათ მათ მიერ მტკიცებულებების განადგურება. აღნიშნულის შედეგად, ზოგიერთმა მომჩივანმა სერიოზული დამწვრობა მიიღო.

ეს არის **პირველი შემთხვევა**, როდესაც სტრასბურგის სასამართლომ საქმის არსიდან გამომდინარე, განიხილა სამართალდამცველთა მიერ ელექტრო-განმუხტვის იარაღების გამოყენება. ევროპული სასამართლოს თვალსაზრისით, როდესაც ასეთი იარაღები საკონტაქტო რეჟიმში გამოიყენება, აღნიშნული ინვესტორი ძლიერ ტკივილს და დროებით უუნარობას. იმ დროს, ბულგარეთის კანონმდებლობა არ იცნობდა რაიმე კონკრეტულ დებულებას, სამართალდამცავთა მიერ ელექტროშოკური მოწყობილობების გამოყენების შესახებ. პოლიცია არ იყო მომზადებული აღნიშნულის გამოყენების შესახებ.

გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ დასძინა, რომ წამების საწინააღმდეგო კო-

<sup>44</sup> Anzhelo Georgiev and Others v. Bulgaria, no. 51284/09, 30 September 2014.

მიტეტმა (CPT) თავის მე-20 საერთო ანგარიშში დააფიქსირა მნიშვნელოვანი შენიშვნა ელექტრო-განმუხტვის იარაღი საკონტაქტო რეჟიმში გამოყენებასთან დაკავშირებით. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სათანადოდ მომზადებულ სამართალდამცავ პირებს ბევრ სხვა კონტროლის მეთოდებზე აქვთ ხელმისაწვდომობა, როდესაც ისინი ახლო მანძილზე იმყოფებიან შესაკავებელ პიროვნებასთან. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლების მტკიცებით, გამოძიება არაადეკვატურად ჩატარდა, სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტრო-განმუხტვის იარაღების გამოყენება არაპროპორციული იყო.

### საპატიმრო

**საქმეში – Budanov v. Russia<sup>45</sup>** – განმცხადებელი იყო პატიმარი, მძიმე ნევროლოგიური პრობლემებით. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი საპატიმროში მკურნალობდა, რომელიც ფსიქიკური აშლილობისთვის შეუსაბამო იყო და რამაც ხელი შეუწყო მომჩივნის ფსიქოტროპულ პრეპარატებზე დამოკიდებულებას. მან გაიარა ფსიქიკური აშლილობის სანყისი სტადიისა და პრეპარატებზე დამოკიდებულების მკურნალობის ორი კურსი. განმცხადებელი დავობდა, რომ ციხის ადმინისტრაცია არ აძლევდა მას შესაბამისი სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. თავის დასაბუთებაში, სტრასბურგის სასამართლომ, გარდა ხელისუფლების ორგანოების მიერ ხარვეზიანად განხორციელებული სამედიცინო მკურნალობისა, მხედველობაში მიიღო განმცხადებლის მიმართ, შედეგად დამდგარი გვერდითი მოვლენები. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი დაექვემდებარა ხანგრძლივ გონებრივ და ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც ლახავდა მის ადამიანურ ღირსებას.

\*\*\*

**გადანყვეტილება საქმეზე – The Lindstrom and Masseli v. Finland<sup>46</sup>** – ეხებოდა ორ პატიმარს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის შემდეგ იძულებულნი იყვნენ ჩაეცვათ სპეცტანსაცმელი, რომელიც კისრიდან ფეხებამდე ფარავდა მათ და „დანიშნული“ იყო პლასტიკური ზოლებით, იმ საფუძვლით, რომ ისინი ბრალდებულები იყვნენ ნარკოტიკების კონტრაბანდის სახით საპატიმროში შეტანისათვის. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც აღნიშნული პირები იძულებულნი იყვნენ სპეცტანსაცმელში დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ბუნებრივი მოთხოვნილებები, რადგან ციხის დაცვა ვერ უზრუნველყოფდა საპირფარეშომდე მათ საკმარისად სწრაფ დროში მიყვანას. აგრეთვე, მათ არ ჰქონდათ ტანისამოსის შეცვლის ან დაბანის შესაძლებლობა თავისუფლების აღკვეთის მთელი პერიოდის განმავლობაში. სამართალწარმოება დაიწყო ციხის დირექტორისა და ციხის სხვა თანამშრომლების წინააღმდეგ. ეროვნულმა სასამართლოებმა, საპატიმროს ბადრაგის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და არ დააკმაყოფილეს იგი.

გადანყვეტილება საინტერესოა, რადგან ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დახურული სპეცტანსაცმლის საპატიმროში გამოყენება, რათა ებრძოლო ნარკოტრაფი-

<sup>45</sup> Budanov v. Russia, no. 66583/11, 9 January 2014

<sup>46</sup> Lindstrom and Masseli v. Finland, no. 24630/10, 14 January 2014.

კის დანაშაულს საპატიმროში, ზოგიერთ კონკრეტულ გარემოებებში, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას.

თუმცა, აღნიშნულ საქმეში მსგავსი მდგომარეობა არ იყო, რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივნებს არ წარუდგენიათ არც ერთი მტკიცებულება მათი ბრალდებების – სავარაუდო დამამცირებელი მოპყრობის შესახებ – გასამყარებლად. გარდა ამისა, უსაფრთხოების სარწმუნო საჭიროებებიდან გამომდინარე, დახურული სპეცტანსაცმლის გამოყენების პრაქტიკა თავისუფლების აღკვეთის მოკლე პერიოდის განმავლობაში, არ აღწევდა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი სისასტიკის ზღვარს. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

\*\*\*

**საქმეში – Tali v. Estonia<sup>47</sup>** – წინაკის გაზი, ფიზიკური ძალა და ტელესკოპის ხელკეტი გამოყენებულ იქნა მომჩივნის მიმართ, მისი წინააღმდეგობის ჩასახშობად, რომელიც უკავშირდებოდა ციხის ოფიცრების ბრძანებების დაუმორჩილებლობას. შემდეგ მას ხელბორკილები დაადეს და დააბეს საპატიმროს სანოლზე სამი საათისა და ორმოცი წუთის განმავლობაში. რაც შეეხება ძალის გამოყენებას, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ გამოყენებული ზომების კუმულაციური ეფექტის შედეგად, მომჩივანი დაექვემდებარა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ – არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

გადაწყვეტილებაში განხილული იყო პატიმრის წინააღმდეგ გამოყენებული წინაკის გაზი. ევროსასამართლომ მხედველობაში მიიღო წამების სანინააღმდეგო კომიტეტის მოსაზრება, რომ წინაკის გაზი არ შეიძლება თავისუფლების შეზღუდვის ადგილებსა და კონტროლს დაქვემდებარებული პატიმრის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. შემოსაზღვრულ სივრცეში წინაკის გამოყენების სერიოზული ეფექტის გათვალისწინებით, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებებში მის გამოყენებას გამართლება არ ჰქონდა. სტრასბურგის სასამართლომ შენიშნა, რომ ციხის ოფიცრებს მომჩივნის შესაკავებლად ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება შეეძლოთ.

## ექსტრადიცია

**გადაწყვეტილება საქმეზე – Trabelsi v. Belgium<sup>48</sup>** – ეხებოდა პირის არახელშემკვრელ სახელმწიფოში ექსტრადაციას, სადაც მას ტერორიზმის ბრალდებით საქმის განხილვა და მსჯავრის დადების შემთხვევაში, უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. წარმოშობით ტუნისელი მომჩივანი ბელგიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა ექსტრადირებული. ევროპული სასამართლოს მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მიხედვით ბელგიისთვის მიცემული მითითების მიუხედავად, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, მომჩივანი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ უნდა გადაეყვანათ, ექსტრადაცია მაინც განხორციელდა.

მომჩივანი, სხვა საკითხებთან ერთად დავობდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებ-

<sup>47</sup> Tali v. Estonia, no. 66393/10, 13 February 2014.

<sup>48</sup> Trabelsi v. Belgium, no. 140/10, 4 September 2014.



ში დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მას გადასინჯვის შესაძლებლობის გარეშე, უვადო თავისუფლებას მიუსჯიდნენ. **საქმეში – Vinter and Others v. The United Kingdom**<sup>49</sup> – მოცემული კრიტერიუმების მითითებით, იგი აცხადებდა, რომ ექსტრადიციის განხორციელებით, დგებოდა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე ბელგიის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მან მიუთითა, რომ დიდმა პალატამ თავის **გადანყვეტილებაში საქმეზე – Vinter and Others v. The United Kingdom** – ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ შიდა სამართალი არ უზრუნველყოფდა რაიმე მექანიზმს ან ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის შესაძლებლობას, ამ საფუძვლით მე-3 მუხლთან შეუთავსებლობა წარმოიქმნებოდა სასჯელის სახით თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიკუთვნებისთანავე და არა შემდგომი დაპატიმრების ეტაპზე. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სამუდამო პატიმრობის სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობას, რომელიც შიდა ხელისუფლების ორგანოებს უფლებას მისცემდა „განეხილა, შეინიშნებოდა თუ არა პატიმრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და სასჯელის მოხდის პერიოდში, რეაბილიტაციის თვალსაზრისით, განხორციელდა თუ არა იმგვარი პროგრესი, რომ განგრძობითი დაკავება ვეღარ გაამართლებდა და ლეგიტიმურ სადამსჯელო საფუძვლებს“, **Vinter and Others** სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან (i) იგი ხაზს უსვამს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათს; (ii) გადაწყვეტილება აფართოვებს აღნიშნული მუხლის პრევენციულ ფუნქციებს იმ საქმეებში, სადაც შემცირების პერსპექტივის გარეშე სამუდამო პატიმრობის მისჯის რისკი მატერიალიზებული არ არის და ამ საფუძვლით, იგი **საქმეებში – Harkins and Edwards v. the United Kingdom**<sup>50</sup> და **Babar Ahmad and Others v. the United Kingdom**<sup>51</sup> – ძველ მიდგომებთან მიმართებით აღნიშნავს სასამართლო პრაქტიკის განვითარებას; (iii) მოცემული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ მე-3 მუხლის გარანტიების გამოყენებისათვის აუცილებელი სისასტიკის ხარისხი არ უნდა განსხვავდებოდეს იმ საქმეებისგან, რომელიც შეეხება პირების კონვენციის არახელშემკვრელ სახელმწიფოში გაძევებას.

### გაძევება დუბლინის რეგულაციის შესაბამისად

**გადანყვეტილება საქმეზე – Tarakhel v. Switzerland**<sup>52</sup> – ეხება ევროკავშირის დუბლინის რეგულაციის მიხედვით, თავშესაფრის მაძიებელი ავღანური ოჯახის გაძევებას იტალიაში. საჩივარი წარდგენილ იქნა რვა ავღანელი მოქალაქის მიერ (წყვილი და მათი ექვსი არასრულწლოვანი შვილი), რომლებიც ევროპაში მოგზაურობდნენ ირანიდან, სადაც ისინი თხუთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ. იტალიაში ჩასვლის შემდგომ ისინი თავდაპირველად მოათავსეს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ დაწესებულებაში, ქალაქ ბარში, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, მათ გა-

<sup>49</sup> Vinter and Others v. the United Kingdom [GC], nos. 66069/09, 130/10 and 3896/10, ECHR 2013 (ამონარიდები).

<sup>50</sup> Harkins and Edwards v. the United Kingdom, nos. 9146/07 and 32650/07, 17 January 2012.

<sup>51</sup> Babar Ahmad and Others v. the United Kingdom, nos. 24027/07 et al., 10 April 2012.

<sup>52</sup> Tarakhel v. Switzerland [GC], no. 29217/12, 4 November 2014.

დაყვანამდე. ორი დღის შემდეგ მათ ნებართვის გარეშე დატოვეს ცენტრი და გაემგზავრნენ ავსტრიაში, სადაც მათ შეიტანეს განაცხადი თავშესაფრის მინიჭების შესახებ. მათი ეს განაცხადი არ დაკმაყოფილდა. ავსტრიიდან მოთხოვნის მიღების შემდეგ, იტალიის ხელისუფლება შეთანხმდა, რომ მომჩივნებზე პასუხისმგებლობა აელო. დაუდგენელი თარიღის მიხედვით, მომჩივნები შვეიცარიაში გაემგზავრნენ, სადაც ისინი თავშესაფარს ითხოვდნენ. თუმცა, შვეიცარიის ხელისუფლებამ, დუბლინის რეგულაციის შესაბამისად (რომელიც შვეიცარიას უნდა დაეცვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პირობების საფუძველზე), ბრძანება გასცა მათი გაძევების შესახებ იმ საფუძველზე, რომ იტალია იყო განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო. შვეიცარიის სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებული მომჩივნების საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ეყრდნობოდნენ რა კონვენციის მე-3 მუხლს, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ თუ „მათი ზრუნვის თაობაზე ინდივიდუალური გარანტიების არარსებობის პირობებში“ დაბრუნდებოდნენ იტალიაში, ისინი დაექვემდებარებოდნენ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, რომელიც დაკავშირებული იყო იტალიაში თავშესაფრის მძიებლების მიღების უზრუნველყოფის „სისტემურ ხარვეზებთან“. მათ, აგრეთვე, საჩივარი წარადგინეს მე-8 და მე-13 მუხლებთან მიმართებით.

ევროსასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა იმ ხარვეზებზე, რომელიც აღნიშნული იყო როგორც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 2012 წლის რეკომენდაციებში, ასევე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ამავე წლის ანგარიშში. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავდა, რომ აშკარა განსხვავება იყო თავშესაფრის შესახებ განაცხადებისა და მიმღებ დანესებულებებში არსებული ადგილების რაოდენობას შორის, ასევე ცენტრებში ფიქსირებული რთული საცხოვრებელი პირობების მითითებით, ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ, როგორც „განსაკუთრებით მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი“ მოსახლეობის ჯგუფი, თავშესაფრის მძიებლები, კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდნენ. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბავშვების მიმართ, მაშინაც კი, თუ მათ მშობლები ახლდა თან. იტალიაში არსებული მიღების ღონისძიებების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ შვეიცარიის ხელისუფლებას არ გააჩნდა საკმარისი გარანტიები, განმცხადებლების დაბრუნების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა აელო ბავშვთა ასაკისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად, გამომდინარეობდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვეოდა, თუ მომჩივნები იტალიაში დაბრუნდებოდნენ, შვეიცარიის ხელისუფლების მიერ იტალიის ხელისუფლების მხრიდან წინასწარ მოპოვებული ინდივიდუალური გარანტიების გარეშე, რომელიც ბავშვთა ასაკისთვის ადაპტირებულ გარემოსა და ოჯახის ერთიანობას გულისხმობდა.

გადაწყვეტილება აღსანიშნავია იმით, რომ იგი ეროვნულ ხელისუფლებას მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, თავშესაფრის მძიებელ პირთათვის უზრუნველყოს შესაბამისი მიმღები დანესებულებების არსებობა კონვენციის სხვა ხელშემკრულ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღნიშნული ისეთ მონყვლად პირებს ეხება, როგორებიც არიან ბავშვები.

## სასჯელი

**საქმეში – Harakchiev and Tolumov v. Bulgaria**<sup>53</sup> – განმცხადებლები უვადო პატიმრობას იხდიდნენ, შესაბამისად, სასჯელის გადახედვის გარეშე და სასჯელის გადახედვით. ორივე მომჩივანი უვადო პატიმრობამისჯილი პირებისთვის განკუთვნილი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იყო მოთავსებული. აღნიშნული სასჯელი მოიცავდა თავისუფლების აღკვეთას დღის დიდი ნაწილის განმავლობაში მუდმივად ჩაკეტილ საკნებში და მათ იზოლაციას სხვა პატიმრებისგან. მომჩივნები დავობდნენ, რომ ბ-ნი Harakchiev-ის უვადო პატიმრობა, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარებოდა, წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ სასჯელს და მკაცრი რეჟიმის კოლონიის არსი, ისევე როგორც პატიმრობის მატერიალური პირობები აღწევდა წამებას ან არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ევროსასამართლომ, ყველა ეპიზოდში, დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

რაც შეეხება ბ-ნი Harakchiev-ის უვადო პატიმრობას სასჯელის გადახედვის გარეშე, ევროსასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ 2004 წლის მსჯავრდებიდან 2012 წლის რეფორმების განხორციელების თარიღამდე, მომჩივნის სასჯელი დე-ფაქტო ან დე-იურე მცირდებოდა. ეს მოხდა მხოლოდ 2012 წელს, როდესაც მეტი სიცხადე მოიტანა (ვიცე) საპრეზიდენტო უფლებამოსილების – შეწყალების განხორციელებამ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილებამ, კიდევ უფრო ნათლად განმარტა ამ სფეროს პრაქტიკა და პროცედურა. ასევე აღმოჩნდა, რომ უკვე გამოყენებული ერთი კრიტერიუმი, უვადო პატიმრობის გადახედვის შესახებ, პატიმრის რეაბილიტაციის მტკიცებულებას წარმოადგენდა თუ არა.

ზემოთ აღნიშნულ საქმეში – **Vinter and Other**<sup>54</sup> – დადგენილი პრინციპების გამოყენებისას, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროს, როცა მისი სასჯელი საბოლოო გახდა (2004 წელი), ბ-ნი Harakchiev-ს არ ჰქონდა გათავისუფლების რეალური შანსი.

2012 წლის შემდგომი პერიოდის მდგომარეობის მიხედვით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად შეწყალების ახალი პოლიტიკისა, გაღატაკებული რეჟიმის“ მავნე შედეგები, განმცხადებლის არაადამიანურ მატერიალურ პირობებთან ერთად, მნიშვნელოვნად ასუსტებდა იმის შესაძლებლობას, რომ იგი რეფორმის ქვეშ მოექცეოდა და ამდენად გასჩენოდა რეალური იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მიეღწია პროგრესს და სასჯელი შემცირებოდა. პრაქტიკაში, მომჩივანი რჩებოდა მუდმივად ჩაკეტილ საკანში, იზოლირებული სხვა პატიმრებისგან, ძალიან შეზღუდული შესაძლებლობებით ჩართულიყო სოციალურ ურთიერთობებში ან მუშაობაში, პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამას უნდა დაემატოს, მომჩივნის რეაბილიტაციის საკითხის თანმიმდევრული პერიოდული შეფასების არარსებობა. შესაბამისად, განმცხადებლის სამუდამო პატიმრობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც დე-ფაქტო შემცირებული, 2012 წლის რეფორმების შემდგომ პერიოდში.

საქმე **საინტერესოა** – პატიმრის რეაბილიტაციის ხელმისაწვდომ შესაძლებლობებსა და ვადაზე ადრე გათავისუფლების პერსპექტივას შორის ურთიერთმიმართების შესახებ – ევროსასამართლოს მოსაზრებებიდან გამომდინარე. სტრასბურგის სასამარ-

<sup>53</sup> Harakchiev and Tolumov v. Bulgaria, nos. 15018/11 and 61199/12, ECHR 2014 (ამონარიდები).

<sup>54</sup> Vinter and Others, supra note 47.

თლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ევროკონვენცია არ იძლევა პატიმრებისთვის გარანტიას რეაბილიტაციის, როგორც ასეთი უფლების შესახებ, ასევე კონვენციის მე-3 მუხლი არ აკისრებს ხელისუფლებას „აბსოლუტურ ვალდებულებას“, მოახდინოს პატიმრების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებისა და საქმიანობის უზრუნველყოფა. ამავე დროს, ევროსასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ხელისუფლებისგან მოითხოვდა, რომ უვადო პატიმრებს შანსი ჰქონოდათ, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში თავისუფლება დაებრუნებინათ. სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის წაერთვა აღნიშნული შანსი.

### კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები მე-6 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთად

ზემოთ ხსენებულ **Al Nashiri-ს**<sup>55</sup> საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთმა, როდესაც აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს უფლება მისცა მომჩივანი საკუთარი ტერიტორიიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ტერიტორიაზე გადაეყვანა, დაარღვია კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები მე-6 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთად, ვინაიდან მომჩივანი წინასწარ განჭვრეტადი სერიოზული რისკის წინაშე დადგა; ის საქმის განხილვის შედეგად შეიძლებოდა სიკვდილით დასჯას დაქვემდებარებოდა<sup>56</sup>.

### თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 5)

ზემოთ ხსენებული **Hassan-ის საქმე**<sup>57</sup> შეეხებოდა ბრიტანეთის სამხედრო ძალების მიერ ერაყში განხორციელებულ ქმედებებს, მას შემდეგ, რაც 2003 წელს დაიპყრეს აღნიშნული ქვეყანა. მომჩივანი გახლდათ იმ პარტიის მთავარი წევრი, რომელიც ერაყის დაპყრობამდე მმართველობას ახორციელებდა. მისი ძმა (რომელიც მოგვიანებით დაუდგენელ გარემოებებში გარდაცვლილი იპოვეს) იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც იგი შეიარაღებულ დაცვას აყენებდა მომჩივნის სახლის სახურავზე, სადაც აღმოჩენილ იქნა სამხედრო დაზვერვის მნიშვნელობის იარაღები და დოკუმენტები. იგი დააპატიმრეს იმ ეჭვის საფუძველზე, რომ ის იყო სამხედრო ან სამოქალაქო პირი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სამოქალაქო უსაფრთხოებას - ტყვეების მიმართ მოპყრობასა და ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებული ყენევის მესამე და მეოთხე კონვენციის მიხედვით; აღნიშნული კონვენციების მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო მისი სამართლებრივი სტატუსი. სამხედრო დაზვერვის ოფიცრების ორჯერ დაკითხვის შემდეგ, დადგინდა, რომ ის ითვლებოდა სამოქალაქო პირად, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა და რამდენიმე დღის შემდეგ იგი გაათავისუფლეს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი ძმის დაკავება და დაპატიმრება თვითნებური და უკანონო იყო და კონვენციის

<sup>55</sup> Al Nashiri, supra note 7

<sup>56</sup> კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთი ვალდებული იყო, რაც შეიძლება სწრაფად აერიდებინა ის რისკი, რომელიც უკავშირდებოდა აპლიკანტის სიკვდილით დასჯის საკითხს, რაც გამოწვეული იყო მისი „საგანგებო გადაცემით“ აშშ-ს ხელისუფლებისთვის, შესაბამისი ორგანოებისგან იმ გარანტიების მიღებით, რომ მომჩივანი არ დაექვემდებარებოდა ასეთ სასჯელს.

<sup>57</sup> Hassan, supra note 6.

მე-5 მუხლის საწინააღმდეგოდ, დაკავება არ იყო უზრუნველყოფილი პროცედურული გარანტიებით.

მოცემულ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის გამოყენებაზე. კერძოდ, ეს საქმე წამოჭრის კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილ სახელმწიფო ვალდებულებებთან – ჟენევის მესამე და მეოთხე კონვენციით გათვალისწინებულ ინტერნირებასთან თავსებადობის საკითხს, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გადახვევის მოთხოვნის არარსებობისას (გაერთიანებულ სამეფოს, მე-15 მუხლის შესაბამისად, მე-5 მუხლით დაკისრებული ვალდებულებებისაგან გადახვევის მოთხოვნა არ წარუდგენია).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟენევის მესამე და მეოთხე კონვენციის მიხედვით, დაკავება არ შეესაბამებოდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დასაშვებ საფუძვლებს. თუმცა, თავის ისტორიაში **პირველად**, ევროსასამართლომ წევრ სახელმწიფოს მოუწოდა „არ გამოეყენებინა მე-5 მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულება ან რაიმე სხვა გზით განემარტა ისინი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით არსებული დაკავების საფუძვლების ფონზე“. წინამდებარე გადაწყვეტილება, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის საქმეებში კონვენციის მე-5 მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან პრინციპებს ადგენს. ევროსასამართლომ საქმის განხილვისას, მხედველობაში მიიღო მის მიერ ჩამოყალიბებული მუდმივი პრაქტიკა, ევროპული კონვენციის განმარტებისას, გათვალისწინებინა, 1969 წლის 23 მაისის „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის კონვენციით დადგენილი განმარტების ზოგადი წესები, ხელშემკვრელი სახელმწიფოს პრაქტიკა და შესაბამისი საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-15 მუხლიდან (გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს) გამომდინარე ფორმალური გადახვევის არარსებობა მე-5 მუხლის გამოყენებისა და განმარტების დროს, ევროსასამართლოს ხელს არ უშლიდა მხედველობაში მიეღო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები და კონტექსტი. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციით განმტკიცებული გარანტიები გამოყენებადი იყო საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც, თუმცა იგი განიმარტებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების საფუძვლების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ უარყო მთავრობის არგუმენტი, რომ მე-5 მუხლი არ გამოიყენებოდა.

სახელდობრ, საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში, პირის დაპატიმრებისას გამოიყენებოდა შემდეგი პრინციპები: (i) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, თავისუფლების აღკვეთა „კანონიერი“ რომ იყოს, იგი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს და რაც ყველაზე მთავარია, უნდა ემსახურებოდეს დებულების ფუნდამენტალურ მიზანს, პირის თვითნებობისაგან დაცვას; (ii) რაც შეეხება პროცედურულ გარანტიებს, მე-5 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ თვითნებობისაგან დაცვისათვის მიუკერძოებლობის საკმარისი გარანტიებისა და სამართლიანი პროცედურების უზრუნველყოფისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონტექსტი და გამოყენებადი ნორმები; და (iii) მე-5 მუხლის დებულებები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისი ნორმების ფონზე, ინტერპრეტირებული და გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნული საკითხი სპეციალურად მოითხოვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 ან მე-4 პუნქტები. დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, მომჩივნის ძმის დაკავება, რომლისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მისი ხანმოკლე დაკავების მიზეზები, შეესაბამებოდა ჟენევის მესამე და მეოთხე კონვენციის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოსთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და არ იყო თვითნებური.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით განმტკიცებული დაცვის გარანტიების ერთობლივად გამოყენების თაობაზე, შეესაბამება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას.

### სწრაფი განხილვა (მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი)

**გადანყვეტილება საქმეზე – Shcherbina v. Russia<sup>58</sup>** – ეხებოდა დაკავების კანონიერების განხილვის კონტექსტში ტერმინ „სწრაფის“ მნიშვნელობას, როდესაც დაკავება ექსტრადიციის მიზნით განხორციელდა და დაკავების თაობაზე ბრძანება არასასამართლო ხელისუფლების მიერ გაიცა. წინამდებარე საქმეში უნდა განხილულიყო რამდენად თავსებადი იყო განხილვის თექვსმეტდღიანი გაჭიანურება, მომჩივნის მიერ, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ექსტრადიციის მიზნით მისი დაკავების კანონიერების სასამართლოს მიერ გადასინჯვის მოთხოვნასა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების მეშვეობით მიღებულ გადაწყვეტილებას შორის. ჩვეულებრივ პირობებში, ეს პერიოდი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში „სწრაფად“ იქნებოდა მიჩნეული. ამგვარად, კონვენციის შესაბამისად ჩაითვლებოდა (იხ., მაგალითად, **Khodorkovskiy v. Russia<sup>59</sup>**). თუმცა, წინამდებარე საქმეში, მომჩივნის დაკავების თაობაზე გადაწყვეტილება არა სასამართლომ, არამედ პროკურორმა მიიღო. გარდა ამისა, ევროსასამართლომ შენიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომელმაც მომჩივნის დაკავება განაპირობა, აპლიკანტისთვის არ უზრუნველყოფდა რაიმე დროული განხილვის გარანტიას, ვინაიდან მისი დაკავების შესახებ ბრძანება მომჩივნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გარეშე გაიცა. სტრასბურგის სასამართლომ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ პროკურორს არ ჰქონდა მომჩივნის დაკავების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება.

ზემოთ მოცემული დასკვნის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ გარემოებებში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „სისწრაფის“ სტანდარტი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულ „დროულობის“ სტანდარტს უტოლდებოდა. მომჩივნის შემთხვევაში, საქმის განხილვის გაჭიანურების თექვსმეტდღიანი პერიოდი გადაჭარბებული იყო და ირღვეოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი. ევროსასამართლო შემოიფარგლა მომჩივნის საქმეში არსებული ფაქტებით და არ განიხილა მსგავს გარემოებებში თუ რა შეიძლებოდა მიჩნეულიყო გაჭიანურების დასაშვებ პერიოდად.

<sup>58</sup> Shcherbina v. Russia, no. 41970/11, 26 June 2014.

<sup>59</sup> Khodorkovskiy v. Russia, no. 5829/04, § 247, 31 May 2011.

## უცხოელების კოლექტიური გადაევების აკრძალვა

### (მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)

ზემოთ ხსენებულ **Georgia v. Russia (no.1)**<sup>60</sup> საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი, რომელიც უცხოელთა კოლექტიურ გადაევებას აკრძალავს, გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, ქართველები კანონიერად ცხოვრობდნენ თუ არა რუსეთში. სადავო პერიოდში, რუსეთის სასამართლოებმა, ქართველების გადაევების თაობაზე, ათასობით ბრძანება გასცა. მიუხედავად ამისა, ფორმალურად, სასამართლო გადაწყვეტილება თითოეულ ქართველთან დაკავშირებით იქნა მიღებული; სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პერიოდში გადაევების პროცედურების წარმართვა და 2006 წლის ოქტომბრის შემდეგ გადაევებული ქართველების რაოდენობა შესაძლებელს ხდიდა თითოეული ინდივიდის საქმის გონივრულ და ობიექტურ შესწავლას. მართალია, ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება განსაზღვროს საკუთარი საემიგრაციო პოლიტიკა, თუმცა მიგრაციული ნაკადების მართვის პრობლემა ვერ გაამართლებდა კონვენციის მიხედვით სახელმწიფოს ვალდებულების შეუსაბამო პრაქტიკას. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო პერიოდში ქართველების გადაევება წარმოადგენდა კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის საწინააღმდეგო ადმინისტრაციულ პრაქტიკას.

## საპროცესო უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში

### სამართლიანი სასამართლოს უფლება (მუხლი 6)

#### გამოყენება

გამოიყენება თუ არა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სააპელაციო სამართალწარმოებაში? საქმეში – **Valchev and Others v. Bulgaria**<sup>61</sup> – ევროსასამართლომ ღიად დატოვა კითხვა – განსაზღვრავს თუ არა ასეთი სამართალწარმოებები სამოქალაქო უფლებებს ან მოვალეობებს. საქმეში – **Hansen v. Norway**<sup>62</sup> – ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ გაბატონებულ მიდგომად მიიჩნევა ევროკონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოებასთან მიმართებით (მიუთითა საქმეები: **Monnell and Morris v. the United Kingdom**<sup>63</sup> და **Martinie v. France**<sup>64</sup>) და აღნიშნული საკითხის გამოყენების წესი დამოკიდებულია მიმდინარე სამართალწარმოების სპეციალურ თვისებებზე, ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში ჩატარებული სამართალწარმოების მთლიანობისა და სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების როლის გათვალისწინებით (**Monnell and Morris, §56**). შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეში, კონვენციის მე-6 მუხლი გამოიყენებოდა.

<sup>60</sup> Georgia v. Russia (no. 1), supra note 14.

<sup>61</sup> Valchev and Others v. Bulgaria (dec.), nos. 47450/11, 26659/12 and 53966/12, 21 January 2014.

<sup>62</sup> Hansen v. Norway, no. 15319/09, 2 October 2014.

<sup>63</sup> Monnell and Morris v. the United Kingdom, 2 March 1987, § 54, Series A no. 115.

<sup>64</sup> Martinie v. France [GC], no. 58675/00, §§ 11 and 53-55, ECHR 2006-VI.

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი)

**გადაწყვეტილება საქმეზე – Jones and Others v. the United Kingdom<sup>65</sup>** – ეხებოდა მომჩივნის მიერ, სავარაუდო წამების ფაქტის შესახებ შეტანილი სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიუღებლობას, მოპასუხე სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების მიერ იმუნიტეტის დამონმების გამო.

განმცხადებლები, რომლებიც ბრიტანეთის მოქალაქეები იყვნენ, დავობდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ წამებას სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან, საუდის არაბეთის სამეფოში. მათი მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე საუდის არაბეთის (პირველი მომჩივნის შემთხვევაში) და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ (ყველა მომჩივანი), საბოლოოდ უარყოფილ იქნა ლორდთა პალატის მიერ 2006 წელს, სახელმწიფოს იმუნიტეტის მიზეზით (როგორც აღნიშნულია 1978 წლის აქტში – „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“). სტრასბურგის სამართალწარმოების დროს, განმცხადებლები დავობდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.

საქმე **აღსანიშნავია** იმით, რომ ევროსასამართლოს ეთხოვა განეხილა დიდი პალატის გადაწყვეტილების განგრძობითი რელევანტურობა **Al-Adsani v. the United Kingdom<sup>66</sup>** საქმესთან მიმართებით და გადაეწყვიტა 2006 წელს პირველი მომჩივნის უარყოფილ სარჩელთან დაკავშირებით, საერთაშორისო საჯარო სამართლის იმპერატიული ნორმიდან – სახელმწიფოს იმუნიტეტის დამონმების ვალდებულება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სახელმწიფოს წინააღმდეგ სავარაუდო წამების ბრალდების მიმართ – გამონაკლისი წესით გადახვევის შესაძლებლობა. პირველ რიგში, ევროსასამართლომ განიხილა, არსებობდა თუ არა აღნიშნულ საკითხზე დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების განვითარების პრაქტიკა Al-Adsani-ის საქმეზე გადაწყვეტილების შემდეგ. ამ თემაზე, სტრასბურგის სასამართლოსთვის დამაჯერებელ პასუხს წარმოადგენდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2012 წლის თებერვლის გადაწყვეტილება, **საქმეზე – Germany v. Italy<sup>67</sup>**. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ცხადად დაადგინა, რომ 2012 წლის თებერვლისთვის, სახელმწიფოს იმუნიტეტის საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ არ არსებობდა იმპერატიული ნორმიდან გამონაკლისი წესი. ამ მხრივ, ევროსასამართლო უფლებამოსილი იყო დაესკვნა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინაზე დაყრდნობა, პირველი მომჩივნის მიერ საუდის არაბეთის სამეფოს წინააღმდეგ შეტანილი სამოქალაქო სარჩელის გასაბათილებლად, კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს შეესაბამებოდა: შეზღუდვას ეროვნულ სამართალში ჰქონდა საფუძველი (1978 წლის აქტი „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“); იგი ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს (საერთაშორისო სამართლისადმი შესაბამისობა, სახელმწიფოთა შორის თავაზიანობისა და კარგი ურთიერთობების უზრუნველყოფის მიზნით, სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემის მეშვეობით); ასევე იყო პროპორციული, წარმოადგენდა თანმდევ შეზღუდვას, იმ დროს, ერთა თანამეგობრობის მიერ ზოგადად და ჯერ კიდევ მიღებული პრაქტიკის შესახებ, სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის საფუძველზე.

საკითხი იმის შესახებ, ვრცელდება თუ არა სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა სახელმწიფოს ოფიციალური პირების მიმართ, არ წარმოადგენს Al-Adsani-ის საქმის ნა-

<sup>65</sup> Jones and Others v. the United Kingdom, nos. 34356/06 and 40528/06, ECHR 2014.

<sup>66</sup> Al-Adsani v. the United Kingdom [GC], no. 35763/97, ECHR 2001-XI.

<sup>67</sup> Germany v. Italy (სახელმწიფოს იურისდიქციის იმუნიტეტები), 3 February 2012.



წილს. წინამდებარე შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ, ეროვნული და საერთაშორისო პრეცედენტული სამართლისა და საქმის მასალების ანალიზიდან გამომდინარე დაადგინა, რომ სახელმწიფოს იმუნიტეტი უზრუნველყოფდა ინდივიდუალურად დასაქმებულ პირებს ან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებს, სახელმწიფოს სახელით განხორციელებული ქმედებების დაცვას, იმავე ფორმით, რითაც თვით სახელმწიფოს დაცვა ხორციელდებოდა, მაგრამ რა ხდებოდა წამების შემთხვევებთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა იმპერატიული ნორმიდან გამონაკლისი იმუნიტეტის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელიც სამოქალაქო სარჩელების მათ წინააღმდეგ შეტანისა და არსებითად განხილვის საშუალებას იძლეოდა? ამ მნიშვნელოვან საკითხზე ევროსასამართლომ დაასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გარკვეული საერთაშორისო დონის მხარდაჭერა სპეციალური წესის სასარგებლოდ ან საერთაშორისო საჯარო სამართლის გამონაკლისი, წამების შემთხვევებში უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლების წინააღმდეგ არსებულ სამოქალაქო სარჩელებთან მიმართებით, სახელმწიფო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს უფლება იმუნიტეტზე არ შეიძლება გაბათილებულ იქნეს მისი წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეების გასამართლებით. სტრასბურგის სასამართლომ დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს პრაქტიკა არასაკმარისი იყო ამგვარ საქმეებში, იმუნიტეტის მინიჭებისა და უარყოფის *ratione materiae* საკითხებთან მიმართებით. მოსარჩელეთა შემთხვევაში, ლორდთა პალატამ მხედველობაში მიიღო ყველა არგუმენტი და არ შეიძლებოდა აღნიშნულის დასკვნაზე აპელირება; კერძოდ, როდესაც იგი იხილავდა წამების სადავო ფაქტებს, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი არ აღიარებდა ზოგადი წესიდან გამონაკლისს სახელმწიფოს წარმომადგენელთა იმუნიტეტის *ratione materiae*-სთან დაკავშირებით არსებულ იმ სამოქალაქო სარჩელებთან მიმართებით, როცა იმუნიტეტით თვით სახელმწიფო სარგებლობდა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხზე ევროსასამართლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, თუმცა სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის ამ სფეროში არსებული განვითარების ფონზე, აღნიშნული საკითხი საჭიროებდა ხელმშეკვრელი სახელმწიფოების მიერ განხილვას.

\*\*\*

**საქმეზე – Urechean and Pavlicenco v. Republic of Moldova<sup>68</sup> (არასაბოლოო)<sup>69</sup>** გამოტანილ გადაწყვეტილებაში, ევროსასამართლომ განიხილა საპრეზიდენტო იმუნიტეტის საკითხი ცილისწამების შესახებ სამართალწარმოებაში. მომჩივანი პოლიტიკოსები ცდილობდნენ სარჩელი შეეტანათ სასამართლოში, მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ, სატელევიზიო ინტერვიუებში აპლიკანტთა მიმართ წარმოქმნილი მისი ცილისწამებლური განცხადებების გამო. ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიიღეს მათი სარჩელი იმ საფუძველით, რომ კონსტიტუციის თანახმად და სამოქალაქო

<sup>68</sup> Urechean and Pavlicenco v. Republic of Moldova, nos. 27756/05 and 41219/07, 2 December 2014

<sup>69</sup> ევროკონვენციის 42-ე მუხლის თანახმად, პალატების გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად. კერძოდ, პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება: ა) როდესაც მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ან ბ) პალატის გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ წარდგენილა; ან გ) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს 43-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი გადაცემის თხოვნის დაკამყოფილებაზე. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს, გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობისთვის.

ქო პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ჩვეულებრივი წესების გამონაკლისის მიხედვით, რესპუბლიკის პრეზიდენტი სარგებლობდა იმუნიტეტით და მისი მანდატის ფარგლებში, სატელევიზიო ინტერვიუების დროს გამოთქმული შეხედულებების გამო პასუხისმგებაში ვერ მიეცემოდა.

სტრასბურგის სასამართლოში სამართალწარმოების დროს, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება, თავიანთი სამოქალაქო უფლებების დადგენის მიზნით, რითაც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.

საქმე აღსანიშნავია იმით, რომ ეს იყო **პირველი შემთხვევა**, როდესაც ევროსასამართლოს უნდა განეხილა სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართ ქვეყნის პრეზიდენტის იმუნიტეტი, პარლამენტის წევრთათვის მინიჭებული იმუნიტეტისგან განსხვავებით. ეს უკანასკნელი საკითხი განხილულ იქნა ისეთ საქმეებში, როგორცაა: **A. v. the United Kingdom**<sup>70</sup>; **Cordova v. Italy (no.1)**<sup>71</sup>; **Cordova v. Italy (no.2)**<sup>72</sup> და **De Jorio v. Italy**<sup>73</sup>. აღნიშნული საქმის დასკვნაში, ასეთი შეზღუდვებით მიღწეული მიზნების ლეგიტიმურობასა და პროპორციულობასთან დაკავშირებით, ევროსასამართლო მიჰყვა ხელისუფლების მიერ დადგენილ პრინციპებს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ, თავდაპირველად, ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეისწავლეს მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადებები მისი მანდატის ქვეშ ექცეოდა თუ არა მაშინ, როცა შემოიფარგლნენ მხოლოდ კონსტიტუციის იმ მუხლის ნაკითხვით, რომელიც თავისთავად იმუნიტეტის ფარგლებს არ ადგენდა. ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ნორმა იყო აბსოლუტური, ვინაიდან იგი არ შეიძლებოდა სხვა იმპერატიულ დებულებებს გადაფარვოდა და ასევე მუდმივად გამოყენებადი, რადგან პრეზიდენტი მისი მანდატის ფარგლებში გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებების გამო, მისი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ პასუხისმგებაში ვერ მიეცემოდა. ევროპული სასამართლოსთვის „ბლანკეტური ხელშეუხებლობა და იმუნიტეტი თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული“.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ **საქმეში – A. v. the United Kingdom** – სტრასბურგის სასამართლომ გამოიკვლია იმ სხვა საშუალებების არსებობა, როდესაც აპლიკანტს შეეძლო მოეთხოვა კომპენსაცია, პარლამენტის წევრის მიერ გაკეთებული სავარაუდო ცილისმწამებლური განცხადებების გამო. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ მომჩივნებს, როგორც პოლიტიკოსებს, უნდა მიემართათ მედიისთვის, პრეზიდენტის მიერ მათ წინააღმდეგ წარმოთქმული ბრალდებების გასაბათილებლად. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ **საქმეში – Manole and Others v. Moldova**<sup>74</sup> – დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ტელევიზიაზე იმ დროს არსებული ცენზურის ადმინისტრაციულ პრაქტიკას, სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ მომჩივნებს რეალურად ჰქონდათ სახელმწიფო მეთაურის მიერ, ეროვნული დაფარვის სატელევიზიო არხზე, საუკეთესო საეთერო დროს გაკეთებულ ბრალდებებზე რეაგირების ეფექტური საშუალება.

<sup>70</sup> A. v. the United Kingdom, no. 35373/97, ECHR 2002-X.

<sup>71</sup> Cordova v. Italy (no. 1), no. 40877/98, ECHR 2003-I.

<sup>72</sup> Cordova v. Italy (no. 2), no. 45649/99, ECHR 2003-I (ამონარიდები).

<sup>73</sup> De Jorio v. Italy, no. 73936/01, 3 June 2004.

<sup>74</sup> Manole and Others v. Moldova, no. 13936/02, ECHR 2009 (ამონარიდები).

\*\*\*

**გადანყვეტილება საქმეზე – Howald Moor and Others v. Switzerland<sup>75</sup>** – ეხებოდა აზბესტთან დაკავშირებული დაავადების შესახებ არსებულ კონკრეტულ საქმეში ხანდაზმულობის ვადის გამოყენებას. მომჩივნები წარმოადგენდნენ ქვრივსა და ქალიშვილს იმ მექანიკოსისა, რომელიც აზბესტის ზემოქმედების შედეგად განვითარებული დაავადების გამო გარდაიცვალა. აღნიშნული პირი აზბესტის ზეგავლენას მუშაობის მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა. იგი გარდაიცვალა დაავადების თაობაზე ინფორმაციის შეტყობიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ. 2005 წელს აპლიკანტების მიერ ზიანის ანაზღაურების მიზნით შეტანილი სარჩელი შვეიცარიის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს იმ საფუძველით, რომ გასული იყო ხანდაზმულობის ვადა. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ვალდებულების დაკისრებასთან დაკავშირებული სარჩელების შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებდა ხანდაზმულობის 10-წლიან ვადას, რომელიც იწყებოდა იმ დღიდან, როცა დაზარალებულ პირზე აზბესტის მტვერმა ზეგავლენა მოახდინა, მიუხედავად იმისა, თუ როდის დადგა ან ცხადი გახდა ზიანი. აპლიკანტზე აზბესტის ბოლო დადასტურებული ზეგავლენა 1978 წელს მოხდა.

საქმე **აღსანიშნავია** ხანდაზმულობის ვადების გამოყენების თვალსაზრისით იმ დაავადებებთან მიმართებით, რომლის ლატენცური პერიოდი შეიძლება რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გაგრძელდეს.

საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ დაადგინა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა, მაგრამ ამავე დროს დაადასტურა ხანდაზმულობის ვადების გამოყენების ლეგიტიმური მიზნები, კერძოდ, სამართლებრივი განსაზღვრულობის მიზანი. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანები აზბესტისგან გამონვეული დაავადებებით იტანჯებიან, რომელსაც დიაგნოზი მრავალი წლის განმავლობაში დაუსვეს, ხანდაზმულობის ვადების შესახებ ნესების სისტემატური გამოყენება ართმევს დაინტერესებულ პირებს შანსს, დაიცვან თავიანთი უფლებები სასამართლოს წინაშე. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევებში, როცა მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პირს არ შეეძლო სცოდნოდა საკუთარი კონკრეტული დაავადების შესახებ, აღნიშნული ფაქტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის დროს.

### **სამართლიანი სამართალწარმოება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი)**

ევროსასამართლომ პირველად დაადგინა, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ეროვნული სასამართლოს მიერ დაუსაბუთებელი უარის გაცხადების გამო, საქმე განეხილა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) წინასწარი გადაწყვეტილებისთვის (**Dhahbi v. Italy<sup>76</sup>**).

აპლიკანტი ტუნისელი იყო (შემდეგ მან მიიღო იტალიის მოქალაქეობა). იგი ლეგალურად მუშაობდა იტალიაში და იხდიდა სოციალური უზრუნველყოფის გადასახადს. მომჩივანმა განაცხადი წარადგინა საოჯახო დახმარების მიღების შესახებ, თუმცა მისი

<sup>75</sup> Howald Moor and Others v. Switzerland, nos. 52067/10 and 41072/11, 11 March 2014.

<sup>76</sup> Dhahbi v. Italy, no. 17120/09, 8 April 2014.

მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან იგი არ იყო იტალიის მოქალაქე. აპლიკანტმა გაასაჩივრა აღნიშნული უარი, დაეყრდნო რა ევროკავშირსა და ტუნისის შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც იტალიის მიერ იყო რატიფიცირებული. სააპელაციო სასამართლოში, მომჩივანი ითხოვდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) წინასწარ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, იძლეოდა თუ არა ხელშეკრულების 65-ე მუხლი ტუნისელი მუშაკისთვის, რომელიც კანონიერად იმყოფებოდა იტალიის ტერიტორიაზე, საოჯახო დახმარების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 65-ე მუხლი არ ვრცელდებოდა საოჯახო დახმარებაზე და მხოლოდ იტალიისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნის მოქალაქეებს შეეძლოთ ასეთი შეღავათების მოთხოვნა. აპლიკანტმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში, კვლავ მოითხოვდა რა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) წინასწარ გადაწყვეტილებას ასოცირების ხელშეკრულების განმარტებისთვის. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 65-ე მუხლი არ ფარავდა ისეთი ხასიათის სოციალური დახმარების შეღავათებს, როგორცაა მომჩივნის მიერ მოთხოვნილი საოჯახო დახმარების მიღების უფლება. აქედან გამომდინარე, ტუნისელ მოქალაქეებს არ ჰქონდათ აღნიშნული უფლებამოსილება.

ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა აპლიკანტის თხოვნას წინასწარი გადაწყვეტილების თაობაზე. გარდა ამისა, არ იყო მითითებული, მოთხოვნის უარყოფის მიზეზი. აღნიშნულმა შეუძლებელი გახადა იმის დადგენა, საკასაციო სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა შეუსაბამოდ მიიჩნია, თუ უკვე *acte clair*-ის დოქტრინის ფარგლებში მოაქცია. ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში მითითება არ ყოფილა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტულ სამართალზე. სტრასბურგის სასამართლომ გაიმეორა ამ სფეროში დადგენილი მიდგომის პრინციპები, რომლის მიხედვით, ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ არ არსებობს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები; ასევე, ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, განმარტონ ევროკავშირის სამართლის ინტერპრეტაციის მიზნით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის (CJEU) წინასწარი კითხვით მიმართვაზე უარის თქმის მიზეზები, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული გამოწვევის ნებსებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასამართლოებმა უნდა მიუთითონ საკითხის არარელევანტურობის საფუძველები, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი მუხლი უკვე განმარტებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ ან ევროკავშირის სამართლის მართებული გამოყენება იმდენად ცხადია, რომ არ ტოვებს გონივრული ეჭვის საფუძველს (იხ., მაგალითად, **გადაწყვეტილება საქმეზე – Vergauwen and Others v. Belgium**<sup>77</sup>).

\*\*\*

ზემოთ აღნიშნული **გადაწყვეტილება საქმეზე – Hansen**<sup>78</sup> – ეხებოდა მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმას, შესაბამისი საფუძველების მითითების გარეშე. მაღალი ინსტანციის სასამართლომ უარი განაცხადა აპლიკანტის სამოქალაქო საჩივრის განსახილველად მიღებაზე იმ მოტივით,

<sup>77</sup> Vergauwen and Others v. Belgium (dec.), no. 4832/04, §§ 89-90, 10 April 2012.

<sup>78</sup> Hansen, supra note 60.

რომ „ცხადი იყო მისი წარუმატებლობა“. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ფორმულას. წინამდებარე გადაწყვეტილების წინააღმდეგ მომჩივნის საჩივარი არ დაკმაყოფილდა უზენაესი სასამართლოს სააპელაციო კომიტეტის მიერ. ევროსასამართლოში, აპლიკანტი დავობდა ეროვნული სასამართლოების მიერ მისი საჩივრის უგულვებლყოფას, საკმარისი მიზეზების მითითების გარეშე.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილება იქნა მიღებული „ფილტრაციის პროცედურის“ ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იქნა დადგენილი, სამართალწარმოების ეკონომიურობის ინტერესებიდან გამომდინარე. მაღალი ინსტანციის სასამართლოს როლი სააპელაციო სამართალწარმოებაში არ ნიშნავდა საქმის ხელახალ განხილვას, არამედ ის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვას წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მაღალი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია არ იყო შემოფარგლული არა მხოლოდ კანონისა და პროცედურის საკითხებით, არამედ ვრცელდებოდა ფაქტობრივ საკითხებზე და აპლიკანტის საქმის კონკრეტულ შემთხვევებში, მაღალი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება არ წყვეტდა საკითხის არსს. ევროსასამართლომ ასევე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მაღალი ინსტანციის სასამართლო აპლიკანტის საჩივრის მიღებაზე უარის თქმის დროს არ მოქმედებდა, როგორც უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, შესაბამისად, მისი პროცედურის თანახმად, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულიყო უზენაესი სასამართლოს სააპელაციო კომიტეტში. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ აპლიკანტის საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მითითებული მიზეზები არ აძლევდა მომჩივანს შესაძლებლობას ეფექტურად განეხორციელებინა თავისი უფლება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების თაობაზე. ამრიგად, ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.

გადაწყვეტილება აღსანიშნავია იმდენად, რამდენადაც იგი **პირველად მოითხოვს** სააპელაციო სასამართლოების (მეორე ინსტანცია) მიერ, დაუსაბუთებელი საჩივრების ფილტრაციას, ასევე, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის მიზეზების მითითებას, რადგან მეორე ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს სამოქალაქო საქმეების როგორც ფაქტობრივ, ასევე იურიდიულ საკითხებს. ნორვეგიის კანონმდებლობა, ამჟამად, ასეთ დებულებას აყალიბებს.

## **პროცედურული უფლებები სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში**

### **სამართლიანი განხილვის უფლება (მუხლი 6)**

#### **სამართლიანი სამართალწარმოება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი)**

**Natsvlshvili and Togonidze v. Georgia**<sup>79</sup> იყო პირველი საქმე, რომელშიც ევროსასამართლომ სამართლიანი სამართალწარმოების ცნების მხედველობაში მიღებით, სრულად შეისწავლა საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხი, მე-6 მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

<sup>79</sup> Natsvlshvili and Togonidze v. Georgia, no. 9043/05, 29 April 2014.

პირველი მომჩივნის საქმეში, დაცვის მხარესა და ბრალდების მხარეს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბრალდების მხარე სასამართლოს მოთხოვდა, რომ მომჩივანი საქმის არსებითი მხარის განხილვის გარეშე დამნაშავედ ეცნო და მიეღო მსუბუქი სასჯელი, კერძოდ, ჯარიმა. საქმის განმხილველმა სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, მომჩივანი დამნაშავედ ცნო და მას ჯარიმის გადახდა დააკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

ევროპული სასამართლოს წინაშე პირველი მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იმ დროს არსებული ეროვნული სამართლით გათვალისწინებული და მოცემულ საქმეში გამოყენებული საპროცესო შეთანხმება წარმოადგენდა პროცესუალური უფლების ბოროტად გამოყენებასა და უსამართლობას. მან აღიარა, რომ პროკურატურასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმებით, მომჩივანმა უარი თქვა გარკვეულ საპროცესო უფლებებზე. თუმცა, ის ამტკიცებდა, რომ უარის თქმის შედეგად იგი არ იყო უზრუნველყოფილი ეფექტური გარანტიებით.

სტრასბურგის სასამართლომ თავდაპირველად აღნიშნა, რომ ევროპული სისხლის სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ბრალდების მხარესა და დაცვის მხარეს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმება. საპროცესო შეთანხმების გაფორმების ან საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სანაცვლოდ, სასჯელის შემცირების ან ბრალდების შეცვლისკენ მიმართული ინიციატივები კრიტიკისთვის ღია არ იყო. მოცემულ საქმეში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, იყო თუ არა აღნიშნული პროცედურა გარანტიებით უზრუნველყოფილი, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული უფლების ბოროტად გამოყენება. ევროსასამართლომ აღნიშნულ საკითხს, მომჩივნის საქმეში არსებული გარემოებების მიხედვით უპასუხა. მან ფაქტებთან დაკავშირებით დაადგინა, რომ: (i) საპროცესო შეთანხმება მომჩივანმა ნებაყოფლობით გააფორმა და იგი სრულად იყო ინფორმირებული შესაბამისი გარემოებებისა და შედეგების შესახებ (ფაქტობრივად, მომჩივანმა თავად შესთავაზა ბრალდების მხარეს საპროცესო შეთანხმების გაფორმება); (ii) მომჩივანი საქმის წარმოების ყველა ეტაპზე წარმოდგენილი იყო ადვოკატების მიერ, მათ შორის, პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოებისას; (iii) მომჩივანმა პროკურორისა და მოსამართლის წინაშე, რომელიც საპროცესო შეთანხმების ნამდვილობას ზედამხედველობდა, დაადასტურა, რომ იგი აცნობიერებდა მის შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებს; (iv) საპროცესო შეთანხმების ზუსტი პირობები, რომელსაც მომჩივანმა ხელი მოაწერა და რომელიც მოლაპარაკებების მოკლე შეჯამებას წარმოადგენდა, საქმის განმხილველ მოსამართლეს საჯარო სხდომაზე განსახილველად გადაეცა; (v) საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებული არ იყო დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება. სასამართლოს შეეძლო უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე თუ დარწმუნდებოდა, რომ შეთანხმების პირობები უკანონო გზით იყო მიღწეული ან შეთანხმების მიღწევის პროცედურა არაკანონიერი გახლდათ.

შესაბამისად, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ პირველი მომჩივნის მიერ საპროცესო შეთანხმების დადება ნამდვილად გააზრებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იყო. არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა პროკურატურის მხრიდან იძულების ან ცრუ დაპირების განხორციელების შედეგს. პირიქით, იგი უფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ უზრუნველყოფილი იყო საკმარისი გარანტიებით.

\*\*\*

**The H. and J. v. the Netherlands**<sup>80</sup> განჩინება შეეხებოდა წამების საქმეზე მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისას იმ განცხადებების გამოყენებას, რომელიც მან კონფიდენციალურობის საფუძველზე, თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურებში გააკეთა. წარმოშობით ავღანელი მომჩივნები კომუნისტური რეჟიმის სამხედრო სადაზვერვო სამსახურის (KhAD/WAD) ყოფილი მაღალჩინოსნები იყვნენ. კომუნისტური რეჟიმის დაცემიდან ცოტა ხნის შემდეგ მათ ჰოლანდიაში თავშესაფრის მინიჭება ითხოვეს. თავშესაფრის მიღების პროცედურების მიმდინარეობისას მომჩივნებს მოთხოვეს რეალური მიზეზების დასახელება, თუ რატომ სურდათ თავშესაფრის მინიჭება; აგრეთვე, სიმართლე ეთქვათ KhAD/WAD-ში მათი კარიერის შესახებ. მომჩივნებს თავშესაფრის მინიჭებაზე უარი განუცხადეს, თუმცა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის თაობაზე განხორციელებული მუქარის გამო, ისინი დეპორტაციას არ დაექვემდებარნენ. მიუხედავად ამისა, მათ მიმართ, წამების საწინააღმდეგო კონვენციის შესაბამისად, განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა და ისინი სათანადოდ იქნენ დამნაშავედ ცნობილნი.

მომჩივნები დავობდნენ, რომ თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების დროს, მათ მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაცია აპლიკანტების წინააღმდეგ იქნა გამოყენებული სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში, მაშინ, როდესაც მათ დაპირდნენ, რომ ყველაფერი ის, რასაც ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეტყობდნენ, კონფიდენციალურად დარჩებოდა.

ევროსასამართლომ მე-6 მუხლთან დაკავშირებული აპლიკანტის საჩივარი არ დააკმაყოფილა. მან დაადგინა, რომ წამების საწინააღმდეგო კონვენციითა და ჟენევის კონვენციით განმტკიცებული *aut dedere aut judicare* პრინციპის მიხედვით, მომჩივნების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ჰოლანდიის არა მხოლოდ უფლება, არამედ მორალური ვალდებულება იყო. მომჩივნები ჰოლანდიაში საკუთარი სურვილით წავიდნენ და მოითხოვეს ზემოთ ხსენებულ სახელმწიფოს დაეცვა ისინი. აღნიშნულის მისაღწევად მათ უნდა დაერწმუნებინათ ჰოლანდიის ხელისუფლება, რომ ისინი დაცვას საჭიროებდნენ. ვინაიდან ამ თვალსაზრისით მტკიცების ტვირთი მომჩივნებს ეკისრებოდათ, ჰოლანდიის ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ უფლება, მათთვის სრული სიმართლის გამჟღავნება მოეთხოვათ. თავშესაფრის მიღების პროცედურებში ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის დაპირება მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებებს არ შეიტყობენ ის ორგანიზაციები ან პირები, რომელთაგანაც ისინი დაცვას საჭიროებენ.

პირიქით, თავშესაფრის მინიჭების თაობაზე მოთხოვნის განხილვასთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის პრაქტიკა, დამნაშავეს სათანადო სასჯელისაგან არ უნდა იცავდეს. აღნიშნული **განჩინება მნიშვნელოვანია**, რადგან იგი ადგენს, რომ თავშესაფრის მაძიებლების მიერ თავშესაფრის მისაღებად გაკეთებული განაცხადები არ მიიჩნევა იძულების შედეგად მოპოვებულად და აღნიშნული განცხადებები შეიძლება შემდგომში, იმავე სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებისას, მათ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

<sup>80</sup> H. and J. v. the Netherlands (dec.) nos. 978/09 and 992/09, 13 November 2014.

## უდანაშაულობის პრეზუმფცია (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი)

**გადანყვეტილება საქმეზე – Karaman v. Germany<sup>81</sup>** – შეეხებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციის გამოყენებას იმ გარემოებებში, როდესაც გამოძიების ქვეშ მყოფ ეჭვმიტანილთან დაკავშირებულ ჩვენებებს, მისი თანაბრალდებულის წინააღმდეგ გამოტანილი გადანყვეტილება შეიცავდა.

მომჩივანი და რამდენიმე სხვა პირი თაღლითობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. სისხლის-სამართლებრივი სამართალწარმოების მოსამზადებელ ეტაპზე, მომჩივნის საქმის გამოძიება გამოეყო თანაბრალდებულის საქმის გამოძიებას. სასამართლომ მომჩივნის თანაბრალდებულის დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ თაღლითობაში. იმ დროისათვის მომჩივანს ოფიციალურად ბრალი არ ჰქონდა წაყენებული. გადანყვეტილება დეტალურად აღწერდა თუ როგორ იყო დანაშაულის სქემა ორგანიზებული. იგი თავდაპირველად მიუთითებდა მომჩივნის სრულ სახელსა და გვარს (ინტერნეტში გამოქვეყნებულ ვერსიაში გამოყენებული იყო ინიციალები) და კონკრეტული გარემოებების დამონებით, ნათლად აღნიშნავდა, რომ მომჩივანს დანაშაულის წამოწყებაში დიდი როლი ეკავა.

ევროპული სასამართლოს წინაშე აპლიკანტი ჩიოდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის შესახებ, მიუთითებდა რა სასამართლო გადანყვეტილებაში არსებულ ცნობებზე, რომელიც დანაშაულში მის მონაწილეობას ცხადყოფდა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი გამოიყენება თანაბრალდებულის მიმართ განცალკევებული სამართალწარმოების კონტექსტში, ბრალის თაობაზე ნაადრევი მოსაზრების გამოხატვის დროს, მაშინაც კი, თუ სადავო განცხადებები სავალდებულო არ არის იმ სასამართლოსთვის, რომელიც საბოლოოდ ბრალდებულის საქმეს განიხილავს.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპლექსურ სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში, ეხება რა იგი რამდენიმე ადამიანს, რომელთა საქმეების ერთობლივად წარმოება ვერ მოხერხდება, საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მესამე პირების ჩართულობის განხილვა, რომელთა საქმეებზეც ცალკე სამართალწარმოება განხორციელდება, შესაძლოა, აუცილებელი იყოს ბრალდებულების ბრალის დასადგენად. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის სასამართლოები, ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად, ვალდებული იყვნენ შეძლებისდაგვარად უშეცდომოდ და ზუსტად დაედგინათ შესაბამისი ფაქტები; მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ მნიშვნელოვანი ფაქტები, წინასასამართლო განცხადებების ან ეჭვების სახით. ევროსასამართლოსთვის აღნიშნული გარემოებები, აგრეთვე, გამოიყენება მესამე პირის ჩართულობასთან დაკავშირებულ ფაქტებთან მიმართებით. თუმცა სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ მსგავსი ფაქტები იქნებოდა მოცემული, სასამართლოს არ უნდა წარმოედგინა იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე საჭირო იყო კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად.

სასამართლომ დაასკვნა რა, რომ მომჩივნის საქმეზე არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი, ევროსასამართლომ მართებულად მიიჩნია შემდგომი ფაქტორები: (i) ერთ-ერთი თანაბრალდებულის ბრალის დასადგენად აუცილებელი იყო დეტალურად განხილულიყო დანაშაულის მონაწილე ყველა პირის, მათ შორის, მომჩივნის როლი

<sup>81</sup> Karaman v. Germany, no. 17103/10, 27 February 2014.



აღნიშნულ ქმედებაში; (ii) საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ გამოყენებული ენა საკმარისად ცხადყოფდა, რომ მომჩივნის ხსენება არ განაპირობებდა მისი ბრალის დადგენას; (iii) გადაწყვეტილების ინტერნეტ პუბლიკაციის შესავალი ნაწილი და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხაზს უსვამდა, რომ უდანაშაულობის პრეზუმეციის საწინააღმდეგო იქნებოდა, მომჩივნის რაიმე სახის ბრალი დადგენილიყო მისი თანამონაწილის წინააღმდეგ წარმოებული საქმის შედეგის საფუძველზე.

## დაცვის უფლება (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი)

### მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან ერთობლიობაში

**გადაწყვეტილება საქმეზე – The Ibrahim and Others v. the United Kingdom<sup>82</sup>** (არასაბოლოო) – ეხებოდა პოლიციაში დაკითხვის დროს, ადვოკატის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფის გაჭიანურებას, კერძოდ, აღნიშნულის შესახებ „დამაჯერებელი მიზეზების“ ინტერპრეტაციის გამართლებას საქმეში – **Salduz v. Turkey<sup>83</sup>** და ცნებასთან – გამოუსწორებელი ზიანი – კავშირს.

აპლიკანტები ეჭვმიტანილნი იყვნენ 2005 წლის 21 ივლისს ლონდონში განხორციელებული სუიციდური დაბომბვის მცდელობაში. ოთხი ბომბი აფეთქდა, ხოლო მთავარი ასაფეთქებელი ნაწილი კი – ვერა. აღნიშნულ შემთხვევამდე ორი კვირით ადრე 52 ადამიანი გარდაიცვალა ლონდონში განხორციელებული სუიციდური დაბომბვების შედეგად. პირველი სამი მომჩივანი დააკავეს, თუმცა დროებით უარი ეთქვათ იურიდიულ დახმარებაზე პოლიციის მიერ ჩატარებული „უსაფრთხო დაკითხვების“ (ოთხი და რვა საათის განმავლობაში) დროს. აპლიკანტების განცხადებები განვითარებულ მოვლენებთან რაიმე სახის კავშირის უარყოფის შესახებ, იურიდიული დახმარების გარეშე გაკეთდა და აღნიშნულ მოვლენებში ჩართულობა მხოლოდ სასამართლოს წინაშე აღიარეს (სასამართლო პროცესზე, მათ აღიარეს აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობა, თუმცა განაცხადეს, რომ ბომბები სატყუარა იყო, რადგან ისინი ასაფეთქებლად არ იყო გამიზნული). მეოთხე აპლიკანტი, მოწმის სახით დაიკითხა. სხვა მომჩივნებისგან განსხვავებით, ამ უკანასკნელმა დაიწყო საკუთარი თავის მხილება და მისი, როგორც ეჭვმიტანილის დაკავების, დუმილისა და იურიდიული დახმარების მიღების უფლების განმარტების მაგივრად პოლიციამ საშუალება მისცა მას, როგორც მოწმეს 12 საათის განმავლობაში კითხვებზე პასუხი გაეცა და წერილობითი ჩვენება მიეცა. იურიდიული კონსულტაციის მიღების შემდეგ აპლიკანტს ჩაბარდა აღნიშნული ჩვენება, თუმცა სასამართლო პროცესზე მან განაცხადა, რომ ეს ჩვენება არ უნდა ყოფილიყო დაშვებული, რადგან იგი სამართლებრივი დახმარების მიღებამდე მისცა.

მომჩივნები დავობდნენ, რომ მათი ადვოკატისადმი ხელმისაწვდომობის უფლების არარსებობა პოლიციაში თავდაპირველი დაკითხვის დროს და შემდგომ სასამართლო პროცესზე მათი ჩვენებების დაშვება, წარმოადგენდა ევროკონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია არ დარღვეულა.

<sup>82</sup> Ibrahim and Others v. the United Kingdom, nos. 50541/08 et al., 16 December 2014.

<sup>83</sup> Salduz v. Turkey [GC], no. 36391/02, ECHR 2008.

გადანყვეტილება საინტერესოა იმით, რომ იგი განმარტავს „დამაჯერებელი მიზეზების“ ტესტის ფარგლებს, რომელიც განსაზღვრულია ზემოთ აღნიშნულ საქმეში – **Salduz** შემდეგნაირად: „ევროკონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, როგორც წესი, ადვოკატისადმი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიციის მიერ ბრალდებულის პირველად დაკითხვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან ცხადია, რომ ამ უფლების შეზღუდვის რეალური მიზეზები არსებობს. ამ უკანასკნელის დროსაც კი, როცა უდავო არგუმენტის საფუძველზე, შეიძლება გამონაკლისი წესით გამართლდეს ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე უარი, ასეთი შეზღუდვა – მნიშვნელობა არ აქვს მის გამართლებას – უკანონოდ არ უნდა ლახავდეს ბრალდებულის უფლებებს კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე... დაცვის უფლება არსობრივად შეუქცევადად შეილახება, როდესაც პოლიციაში, ადვოკატის გარეშე, დაკითხვაზე გაკეთებული მამხილებელი განცხადებები გამოყენებული იქნება ბრალდებისთვის“.

მოცემულ საქმეში, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ შემდგომი ბომბების აფეთქების რისკი იწვევდა „საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის უაღრესად სერიოზულ და გარდაუვალ საფრთხეს“ და აღნიშნული საფრთხე წარმოადგენდა იმ უდავო არგუმენტს, რომელიც ამართლებდა მომჩივნების იურიდიული დახმარებისადმი ხელმისაწვდომობის დროებით გადადებას. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ გასაგები იყო პოლიციის წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატის დახმარება ხელს შეუწყობდა სხვა ბრალდებულების „გამოფხიზლებას“.

რაც შეეხება სასამართლო პროცესზე აპლიკანტთა განცხადებების დასაშვებობის შეუსაბამო შეზღუდვას, სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტებზე: (1) **Salduz** და **Dayanan v. Turkey**<sup>84</sup> საქმეებში, დადგენილი პოზიციისგან განსხვავებით, არ არსებობდა იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემატური უარი პოლიციის მიერ ეჭვმიტანილთა დაკითხვის დროს. არსებობდა მკაფიო საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც გამონაკლის შემთხვევებში ითვალისწინებდა ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გადადებას იმ პირობით, რომ გარკვეული გარანტიები დაცული იქნებოდა (მაგალითად, ხელმისაწვდომობის გაჭიანურების დასაბუთებული ნებართვა გაცემული უნდა ყოფილიყო პოლიციის უფროსი ოფიცრის მიერ) და (2) აპლიკანტები დაკითხეს მხოლოდ სხვა ბომბდამშენის ქმედებებისგან გამომდინარე საზოგადოებრივი საფრთხეების თაობაზე და არა მათ მონაწილეობაზე, განუხორციელებელი სუიციდური დაბომბვების შესახებ.

რაც შეეხება კითხვას, მომჩივნებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების უკანონო შეზღუდვის შესახებ, მათი განაცხადების დაშვების გამო, სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა შემდეგი საკითხები, მათ შორის: (1) მკაფიო საკანონმდებლო ჩარჩო ადვოკატის ხელმისაწვდომობასთან და ამ უფლების გამონაკლის წესთან დაკავშირებით; ასევე, აღნიშნული ჩარჩოს შესაბამისი გამოყენება პირველი სამი აპლიკანტის შემთხვევაში; (2) მომჩივნები არც ერთ ეტაპზე არ იყვნენ იძულებულნი მიეცათ ჩვენება და მათ მიმართ დასმული კითხვები მოიცავდა არა მხოლოდ ამ პირთა ჩართულობას დაბომბვის მცდელობაში, არამედ იმ ინფორმაციის გადამონმებას, რომელიც აღნიშნულ პირთა მიერ განსახორციელებელ შესაძლო, შემდგომ დაბომბვებს უკავშირდებოდა; (3) სასამართლო პროცესზე, საპროცესო შესაძლებლობების არსებობა, რომელიც აპლიკანტებს, მათი ჩვენებების დაშვების, გამოყენებისა და მნიშვნელობის მინიჭების შესახებ გასაჩივრების საშუალებას აძლევდა; (4) მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისადმი ფორმულირებული ფრთხილი მითითებები, ჩვე-

<sup>84</sup> Dayanan v. Turkey, no. 7377/03, § 33, 13 October 2009.

ნებების მტკიცებულებითი ბუნების შესახებ და (5) სხვა მამხილებელი მტკიცებულებების სიძლიერე.

მეოთხე აპლიკანტის შემთხვევაში, რომელმაც პოლიციაში დაკითხვის დროს, თვით-მამხილებელი ჩვენებები მისცა, ევროსასამართლომ – ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გარდა – მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მომჩივანმა არ უარყო მისი განცხადებები ადვოკატთან შეხვედრის შემდეგაც და განაგრძო ჩვენების მიცემა, მხოლოდ სასამართლო პროცესიდან აღნიშნული ჩვენების გამორიცხვის თხოვნით.

### მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

**გადანწყვეტილება საქმეზე – The Baytar v. Turkey<sup>85</sup>** – ეხებოდა თარჯიმნის არარსებობას პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის დროს. აპლიკანტი, წარმოშობით ქურთი თურქეთის მოქალაქე, დააკავეს მისი ძმის საპატიმროში მონახულების დროს. თარჯიმნის გარეშე, აპლიკანტი პოლიციის თანამშრომლების მიერ თურქულად დაკითხვა იმ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც მას აღმოუჩინეს. გაუგებარია, თუ რატომ თქვა მან უარი იმ ეტაპზე ადვოკატის დახმარებაზე. აპლიკანტმა ახსნა-განმარტება მისცა დოკუმენტთან დაკავშირებით. მომჩივანი სასამართლოს წინაშე წარსდგა. გააცნობიერა რა, რომ აპლიკანტს არ ჰქონდა თურქული ენის სათანადო ცოდნა, მოსამართლემ სთხოვა მომჩივნის ოჯახის წევრებს თარჯიმნის ფუნქცია გაეწიათ მისთვის. აპლიკანტმა ჩვენება მისცა დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც არ ემთხვეოდა მის მიერ პოლიციაში ადრე მიცემულ განმარტებას. იგი პატიმრობაში დატოვეს. მომდევნო პროცესზე აპლიკანტს ახლდა ადვოკატი და თარჯიმანი. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს, სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად დაეყრდნო იმ არათანმიმდევრულ განცხადებებს, რომელიც მომჩივანმა წინასასამართლო სხდომაზე გააკეთა. აპლიკანტი დავობდა, რომ სასამართლო პროცესი იყო უსამართლო, იმ უფლებრივი შელახვის გამო, რაც პოლიციაში დაკითხვის დროს თარჯიმნის არარსებობამ გამოიწვია.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ წინა საქმეში (**Diallo v. Sweden<sup>86</sup>**) მიღებული გადაწყვეტილებისა და ზემოთ აღნიშნული **Salduz<sup>87</sup>**-ის საქმის დასაბუთების მხედველობაში მიღებით, თარჯიმნის დახმარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოძიების ეტაპზე, გარდა საქმის იმ გარკვეული შემთხვევებისა, როდესაც არსებობს უფლების შეზღუდვის უდავო არგუმენტები (**Diallo, §25**). ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ მომჩივანს არ ესმოდა თურქული. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინასწარი დაკავების იზოლაციაში ბრალდებულის არჩევანი – დუმილის უფლებით არ ესარგებლა ან უარი ეთქვა ადვოკატის დასწრებაზე – გამომდინარეობდა ბრალდებულის მიერ მის მიმართ სავარაუდო ბრალეული ფაქტების მკაფიო აღქმით. პოლიციის განყოფილებაში თარჯიმნის დახმარების გარეშე, აპლიკანტი აღნიშნულ საქმეში მოკლებული იყო ადვოკატის დახმარების არარსებობის ან კითხვებზე პასუხის გაცემის გარემოებების შეფასების შესაძლებლობას. პოლიციაში დაკითხვის დროს, მომჩივნის მიერ გაცემული პასუხები, ეროვნულ სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ წინასასამარ-

<sup>85</sup> Baytar v. Turkey, no. 45440/04, 14 October 2014.

<sup>86</sup> Diallo v. Sweden (dec.), no. 13205/07, 5 January 2010.

<sup>87</sup> Salduz, §§ 54-55, supra note 80.

თლო სხდომაზე, თარჯიმნის მოვალეობის განმარტება ხარვეზიანი იყო, რადგან მოსამართლემ, აპლიკანტის ენობრივი მონაცემების შემოწმების გარეშე, პირდაპირ მიმართა მის ოჯახის წევრებს დასახმარებლად.

## სისხლის სამართლის საქმეების გასაჩივრების უფლება

### (მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)

**გადაწყვეტილებაში საქმეზე – Shvydka v. Ukraine<sup>88</sup>** – ევროსასამართლომ განიხილა უფრო მაღალი ტრიბუნალის მიერ სასჯელის და/ან განაჩენის ეფექტიანი გადასინჯვის მნიშვნელობა. მომჩივანმა, ოპოზიციური პარტიის წევრმა, მონაწილეობა მიიღო ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ შეკრებაში. ცერემონიას დაესწრო და გარდაცვლილთა პატივსაცემად ადგილი გვირგვინით შეამკო უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა. ცერემონიის შემდეგ მომჩივანმა გვირგვინს მოაშორა ლენტა, რომელზეც მოცემული იყო შემდეგი წარწერა: „უკრაინის პრეზიდენტი ვ.ფ. იანუკოვიჩი“. აღნიშნული ქმედებით მან პრეზიდენტის პოლიტიკისაგან განსხვავებული ხედვები გამოხატა.

მომჩივანი წვრილმან ხულიგნობაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და მას ათი დღით ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა. აპლიკანტმა აღნიშნული გადაწყვეტილება პატიმრობის პირველივე დღეს გაასაჩივრა. სამი კვირის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. იმ დროისათვის მომჩივანს სასჯელი უკვე სრულად ჰქონდა მოხდილი, ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, როგორც იყო მომჩივნის მიერ ჩადენილი დანაშაული, მისჯილი ადმინისტრაციული პატიმრობის ნინაალმდეგ წარდგენილ საჩივარს არ ჰქონდა შემაჩერებელი ეფექტი.

მოცემული საქმე, კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ავითარებს პრეცედენტულ სამართალს, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ სასჯელის ან განაჩენის უფრო მაღალი ტრიბუნალის მიერ გადასინჯვის უფლება დაირღვევა ისეთ საქმეზე, სადაც გადასინჯვას ადგილი აქვს თავისუფლების აღკვეთის შესახებ სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას, მომჩივნის საქმეში არსებულ ფაქტებზე მითითებით, ევროსასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სააპელაციო განხილვას იმ ეტაზე არ შეეძლო უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ხარვეზების აღმოფხვრა.

## პირის უფლება, არ იქნეს გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ

### (მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)

**გადაწყვეტილება საქმეზე – Margus v. Croatia<sup>89</sup>** – ეხებოდა ხორვატიის სამხედრო მეთაურის ნინაალმდეგ სამართალწარმოების დაწყებას – 1991 წელს ხორვატიაში ომის დროს განხორციელებული მკვლელობისა და სამოქალაქო პირების მძიმე ფორმით

<sup>88</sup> Shvydka v. Ukraine, no. 17888/12, 30 October 2014.

<sup>89</sup> Margus v. Croatia [GC], no. 4455/10, ECHR 2014.

დაჭრისათვის. პირველი სისხლისსამართლებრივი წარმოება, ზოგადი ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე, 1997 წელს შეწყდა. შემდგომში, იმავე დანაშაულებისათვის, მომჩივნის წინააღმდეგ მეორედ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. 2007 წელს იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ომის დანაშაულებში და მას, სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ევროსასამართლოში საქმის წარმოებისას აპლიკანტი ჩიოდა, რომ დაირღვა მისი უფლება, ერთი და იმავე დანაშაულისათვის არ ყოფილიყო გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ. მთავრობა ამტკიცებდა, რომ სტრასბურგის სასამართლოს იმ დროს არ ჰქონდა იურისდიქცია, ვინაიდან ამნისტიის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მანამდე, ვიდრე კონვენცია ხორვატიასთან მიმართებით ძალაში შევიდოდა.

თუმცა ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი დამნაშავედ აღნიშნული თარიღის შემდეგ ცნეს. შესაბამისად, ის უბრალო ფაქტი, რომ პირველი სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება ამ თარიღამდე დასრულდა, ვერ გამოიწვევდა სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის შეზღუდვას რატიონე ტემპორის. სტრასბურგის სასამართლომ განიხილა მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის გამოყენების კონკრეტული საკითხი იმ გარემოებებში, როდესაც უპირობო ამნისტია მიენიჭათ ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების უხეში დარღვევების შემცველი ქმედებების განმხორციელებელ პირებს.

პირველ რიგში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება შეეხებოდა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლებისა და მე-3 მუხლით განსაზღვრული მშვიდობიანი მოქალაქეების უფლებების დარღვევას. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მოქალაქეთა მკვლელობასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ამნისტიის მინიჭება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილ სახელმწიფოს ვალდებულებასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ვინაიდან აღნიშნული ფაქტი გაართულებდა მსგავსი ქმედებების გამოძიებასა და მოცემული მუხლებით განმტკიცებული გარანტიების დარღვევით დამნაშავეების დაუსჯელობას წაახლისებდა. გარდა ამისა, კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ერთიანობაში უნდა იქნეს წაკითხული და იმგვარად განიმარტოს, რომ ხელი შეეწყოს მათი სხვადასხვა ნორმების თანმიმდევრულობასა და ჰარმონიას. წინამდებარე საქმეში, აღნიშნული საკითხი ეხებოდა მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით დაცულ გარანტიებს და კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფოთა ვალდებულებებს.

მეორე რიგში, ევროსასამართლომ აღნიშნული სიტუაცია საერთაშორისო სამართლის კუთხით განიხილა. მან შენიშნა, რომ საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებთან მიმართებით განხორციელებული ამნისტიების დაუშვებლად მიჩნევის მზარდი ტენდენცია შეინიშნებოდა, ვინაიდან აღნიშნული სახელმწიფოების მიერ დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის საყოველთაოდ აღიარებული ვალდებულების საწინააღმდეგო იყო. ზოგიერთ შემთხვევაში, ამნისტიის მინიჭება, მაგალითად, როგორცაა შერიგების პროცესი ან მსხვერპლისთვის კომპენსაციის მიკუთვნება, დასაშვებადაც რომ ყოფილიყო მიჩნეული, აღნიშნულ საქმეში მომჩივნისთვის ამნისტიის მინიჭება მაინც დაუშვებელი იქნებოდა, ვინაიდან არაფერი მიუთითებდა მსგავსი გარემოებების არსებობაზე.

მაშასადამე, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებიდან გამომდინარე, არსებული ვალდე-

ბულებისა და საერთაშორისო მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფდა პირის უფლებას არ ყოფილიყო გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ომის დანაშაულის ჩადენისათვის, მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული მეორე სისხლისსამართლებრივი საქმის მიმართ არ გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს დასაბუთება ეყრდნობოდა სხვადასხვა საერთაშორისო წყაროს, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო კონვენციიდან, ორგანოდან და სასამართლოდან, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოდან მომდინარეობდა.

## სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

### პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8)

#### გამოყენება

**გადანყვეტილება საქმეზე – Emel Boyraz v. Turkey<sup>90</sup>** – (არასაბოლოო) ეხებოდა საჯარო სექტორში დასაქმებაზე გენდერული ნიშნით უარის თქმასთან მიმართებით მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების ასპექტის გამოყენებას. მომჩივანი ქალბატონი დანიშნულ იქნა უსაფრთხოების ოფიცრის თანამდებობაზე სახელმწიფო დანესებულებაში, კერძოდ, ელექტროენერჯის საწარმოში. შემდეგ ის გაათავისუფლეს, რადგან იგი არ აკმაყოფილებდა „მამაკაცად ყოფნის“ კრიტერიუმს და სამხედრო სამსახური არ ჰქონდა გავლილი. მომჩივანმა მისი გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილება ეროვნულ სასამართლოებში წარუმატებლად გაასაჩივრა.

ევროსასამართლოში საქმის წარმოებისას, მომჩივანი კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით ჩიოდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მის წინააღმდეგ მიღებული გადანყვეტილებები წარმოადგენდა სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. სტრასბურგის სასამართლომ გადანყვეტილება მომჩივნის სასარგებლოდ მიიღო.

გადანყვეტილება **აღსანიშნავია** იმ თვალსაზრისით, რომ ევროსასამართლომ, საჩივრის თაობაზე სახელმწიფოსთვის შეტყობინების შემდეგ, *ex officio* დააყენა კონვენციის მე-8 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა აპლიკანტის საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ თავად მომჩივანს არასოდეს განუცხადებია თავის საჩივარში პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თაობაზე, ეყრდნობოდა რა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს გენდერული თანასწორობის შესახებ. მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ აპლიკანტის საქმეში ევროკონვენციის არც მე-8 და არც მე-14 მუხლები არ დარღვეულა; ხაზი გაუსვა, რომ კონვენციით არ არის გარანტირებული საჯარო სამსახურში რეკრუტირების უფლება.

თურქეთს ევროკონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის რატიფიცირება არ მოუხდენია. ამ მხრივ, მომჩივნის საქმის წარმატებით დასრულება დამოკიდებული იყო აპლიკანტის მიერ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების კონვენციის ძირითადი დებულებების ფარგლებში მოქცევაზე. ევროსასამართლოს მიერ აღიარებულია, რომ მისი პრეცედენ-

<sup>90</sup> Emel Boyraz v. Turkey, no. 61960/08, 2 December 2014.

ტული სამართლით კარგად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ( ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ **საქმეები – Vogt v. Germany**<sup>91</sup> და **Otto v. Germany**<sup>92</sup>) „საჯარო სამსახურში რეკრუტირების უფლება არ არის კონვენციით გარანტირებული“. ამ მხრივ, სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აპლიკანტი, ფაქტობრივად, უსაფრთხოების ოფიცრის პოზიციაზე იყო წარდგენილი, თანამდებობაზე თურქეთის საჯარო სამსახურში, სადაც 3 წლის განმავლობაში მუშაობდა ხელშეკრულების საფუძველზე, სანამ გენდერული დისკრიმინაციის საფუძველზე გათავისუფლდებოდა. ევროსასამართლოს წინაშე წამოჭრილი საკითხი ეხებოდა იმ გარემოებას, რომ მხოლოდ აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით შეეძლო თუ არა მომჩივანს მიეთითა კონვენციის მე-8 მუხლზე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს შესაძლებელი იყო. მისი მოსაზრებით, „პირადი ცხოვრების უფლების“ კონცეფცია მოიცავს პიროვნული იდენტობის მახასიათებლებს და ადამიანის სქესი წარმოადგენს მისი ვინაობის განუყოფელ ნაწილს. ამდენად, ისეთი მკაცრი ღონისძიება, როგორცაა გენდერული ნიშნით თანამდებობიდან გათავისუფლება, უარყოფით ზეგავლენას ახდენს პირის იდენტობაზე, თვითაღქმაზე, თავმოყვარეობაზე და საბოლოო ჯამში მის პირად ცხოვრებაზე. გარდა ამისა, განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლებას გავლენა ჰქონდა მის „შიდა წრეზე“, რადგან სამუშაოს დაკარგვას საგრძნობი შედეგები ექნებოდა მომჩივნისა და მისი ოჯახის წევრების მატერიალურ კეთილდღეობაზე. სასამართლომ დასძინა, რომ განმცხადებლის გათავისუფლებამ იმოქმედა სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობების ფართო სპექტრზე, მათ შორის, პროფესიული ხასიათის ნიშნით, ისევე როგორც მის უნარზე პრაქტიკაში გამოყენებინა თავისი პროფესია, რომელიც მის კვალიფიკაციას შეესაბამებოდა.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა რა კონვენციის მე-14 მუხლის გამოყენება, იმსჯელა აღნიშნულის შესაძლო დარღვევის შესახებ მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ არ მომხდარა სადავო განსხვავებული მოპყრობის გონივრული და ობიექტური გამართლება და შესაბამისად, მომჩივანი, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლს წარმოადგენდა.

### პირადი ცხოვრების უფლება

**გადანყვეტილება საქმეზე – Fernandez Martinez v. Spain**<sup>93</sup> – ეხებოდა შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმას მღვდლისთვის, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში საჯარო სკოლაში, ყოველწლიური ხელშეკრულების განახლების საფუძველზე, რელიგიის მასწავლებლად მუშაობდა. იგი დავობდა, რომ მისი ოჯახის და პირადი მდგომარეობის საჯაროობის გამო, მას კათოლიკური რელიგიის სწავლებაში ხელი შეუშალეს, ვინაიდან იგი დაქორწინებული მოძღვარი იყო, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავდა და მიეკუთნებოდა იმგვარ ორგანიზაციას, რომელიც ოფიციალური ეკლესიის დოქტრინას ეწინააღმდეგებოდა. 1996 წელს მომჩივნის აღნიშნული სიტუაცია ჟურნალისტიკა საგაზეთო სტატიაში გააშუქა, სადაც მოცემული იყო აპლიკანტის ფოტო ოჯახთან ერთად. 1997 წელს მომჩივნის მიერ ცამეტი წლის წინ წარდგენილი მოთხოვნა, დაუქორწინებლობის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ, დაკმაყოფილდა. რამდენიმე კვირის შემდეგ საეპისკოპოსომ განათლების მინისტრს აცნობა მომჩივნის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ იმ სკოლასთან, სადაც

<sup>91</sup> Vogt v. Germany, 26 September 1995, §43, Series A no. 323.

<sup>92</sup> Otto v. Germany (dec.), no. 27574/02, 24 November 2005.

<sup>93</sup> Fernandez Martinez v. Spain [GC], no. 56030/07, ECHR 2014.

იგი მასწავლებლად მუშაობდა.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნისთვის ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმამ, ძირითადად, პირადი და ოჯახური ცხოვრების კონტექსტში გაკეთებული არჩევანის გამო სერიოზული გავლენა მოახდინა მის მიერ განსაზღვრული პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებაზე. სტრასბურგის სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კონვენციის მე-8 მუხლი გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ეპისკოპოსმა მიიღო, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები გახლდნენ მომჩივნის დამსაქმებლები, რომლებმაც აღასრულეს აღნიშნული გადაწყვეტილება, რამაც გამოიწვია მომჩივნის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა განხორციელდა.

მოცემული გადაწყვეტილება, აგრეთვე, ყურადსაღებია საფრთხის ქვეშ მყოფი ინტერესების შედარებით: ერთი მხრივ, მომჩივნის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების და მეორე მხრივ, რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიის უფლების კუთხით (რელიგიური გაერთიანების წევრების შეკრების თავისუფლებაში ჩარევისათვის, იხილეთ **საქმე – Sindicatul „Pastorul cel Bun“ v. Romania<sup>94</sup>**). ავტონომიის შედეგად, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ მათთვის მომუშავე ან მათ წარმომადგენელ პირებს მოთხოვონ გარკვეული ერთგულება. პირისთვის რელიგიურ ორგანიზაციაში დაკისრებული კონკრეტული მისია შესაბამის განხილვას საჭიროებდა, იმის განსაზღვრისას იგი ექვემდებარებოდა თუ არა ერთგულების ვალდებულებას. რელიგიური გაერთიანების მტკიცება, რომ მათი ავტონომიის მიმართ არსებობდა რეალური ან პოტენციური საფრთხე, საკმარისი არ იყო კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული მათი წევრების პირადი ან ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევისათვის. ევროსასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ სიტუაციაში რელიგიური გაერთიანების ავტონომიის ფარგლები დაკავშირებულია იმ პირობებთან, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს და დაექვემდებაროს ეროვნული სასამართლოების მიერ განხილვას.

წინამდებარე საქმეზე, შრომითი ხელშეკრულების თანმიმდევრულად გაფორმებით, მომჩივანი შეგნებულად და ნებაყოფლობითად იღებდა კათოლიკური ეკლესიის მიმართ ერთგულების ვალდებულებას, რაც მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ფარგლებს გარკვეულწილად ზღუდავდა. უფრო მეტიც, კათოლიკური რწმენის მოზარდებისთვის სწავლება შეიძლება მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვან საქმიანობად, რაც განსაკუთრებულ თავდადებას მოითხოვს. მომჩივანი დაეთანხმა მისი მდგომარეობის, რომ იგი დაქორწინებული მღვდელი იყო, საჯაროდ გამჟღავნებას და აგრეთვე მის ასოცირებას იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც ეპისკოპოსი პროტესტზე ორიენტირებულად მიიჩნევდა; ევროსასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანმა აღნიშნულის განხორციელებით დაარღვია ნდობა, რაც აუცილებელი იყო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ რელიგიის მასწავლებლის მიერ იმ რელიგიური ორგანიზაციის წევრობა და საჯარო მხარდაჭერა, რომელიც მის მიერ ბავშვებისთვის სასწავლი რელიგიისგან განსხვავებულ იდეებს იცავს, განსხვავდება, მაგალითად, ენის მასწავლებლის შემთხვევისგან, რომელიც იმავდროულად კომუნისტური პარტიის წევრი იყო (ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება **Vogt<sup>95</sup>**).

<sup>94</sup> Sindicatul “Pastorul cel Bun” v. Romania [GC], no. 2330/09, ECHR 2013 (ამონარიდები).

<sup>95</sup> Vogt, supra note 88.



მომჩივანი, სხვებთან ერთად სანდოობის მიზეზითაც იყო ეკლესიის მიმართ ერთგულების ვალდებულებით შებოჭილი. კათოლიკური დოქტრინის სანინააღმდეგო მოძრაობაში საჯაროდ მონაწილეობის მიღება, აგრეთვე, აღნიშნული ვალდებულების სანინააღმდეგო იყო. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, იმ ფაქტს, რომ მომჩივანი დასაქმებული იყო სახელმწიფოს მიერ და მას სახელმწიფო აძლევდა ანაზღაურებას, არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მასზე დაკისრებულ ერთგულების ვალდებულებაზე. რაც შეეხება წინამდებარე საქმეში დადგენილი სანქციის სიმკაცრეს, სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა, კერძოდ, რომ მომჩივანი შეგნებულად მოხვდა იმგვარ სიტუაციაში, რაც შეუთავსებელი იყო ეკლესიის მცნებებთან. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

\*\*\*

**გადანყვეტილება საქმეზე – Konvalova v. Russia<sup>96</sup>** – ეხებოდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და მშობიარობისას სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების დასწრებას. ბავშვის დაბადების მოლოდინში, აპლიკანტი მოათავსეს სახელმწიფო საავადმყოფოში. აღნიშნულ დროს მომჩივანს მისცეს ბროშურა, სადაც პაციენტებს ურჩევდნენ საავადმყოფოს კლინიკურ-სასწავლო პროგრამაში შესაძლო ჩაბმის შესახებ. აპლიკანტი ინფორმირებული იყო, რომ მისი საოპერაციოდ გადაყვანა მომდევნო დღისთვის იყო ჩანიშნული და ამ პროცესს სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები დაესწრებოდნენ. მართლაც, როგორც იყო განსაზღვრული, მომჩივნის გადაყვანა ექიმებისა და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების თანდასწრებით განხორციელდა. აპლიკანტის განცხადებით, მას არ სურდა საოპერაციოში სტუდენტების დასწრება.

ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მომჩივნის სარჩელი განსაკუთრებით იმ საფუძველით, რომ შესაბამისი კანონმდებლობა არ მოითხოვდა პაციენტის წერილობით თანხმობას, მშობიარობის დროს სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების დასწრების თაობაზე. მომჩივანს მიენოდა საავადმყოფოს ბროშურის ასლი, რომელიც შეიცავდა გამოხატულ გაფრთხილებას სტუდენტების შესაძლო დასწრების შესახებ და არ არსებობდა აპლიკანტის მხრიდან წინააღმდეგობის განცხადების რაიმე მტკიცებულება.

ევროსასამართლოში საქმის წარმოების დროს აპლიკანტი ჩიოდა, რომ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების თანდასწრებით მშობიარობა, მისი გამოხატული თანხმობის გარეშე, წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში „ჩარევა“ განხორციელდა, სამედიცინო პროცედურის სენსიტიური ბუნების და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების დასწრების გათვალისწინებით, რის გამოც მათ წვდომა ჰქონდათ აპლიკანტის კონფიდენციალური სამედიცინო ინფორმაციის შესახებ. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩარევის სამართლებრივ საფუძველს ჯანდაცვის აქტის 54-ე ნაწილი წარმოადგენდა. თუმცა ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ეს დებულება ზოგადი ხასიათის იყო და ძირითადად, მიზნად ისახავდა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობას პაციენტების მკურნალობაში, მათი პრაქტიკული განათლების ფარგლებში. აღნიშნული დებულება არ შეიცავდა პაციენტის პირადი უფლებების დაცვის რაიმე გარანტიებს. ეს სერიოზული ნაკლოვანება კიდევ უფრო გაამძაფრა საავადმყოფოსა და შიდა სასამართლო-

<sup>96</sup> Konvalova v. Russia, no. 37873/04, 9 October 2014.

ების მიერ ამ საკითხის განხილვის წესმა.

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობა შეიცავდა საკმაოდ ბუნდოვან მინიშნებას, სტუდენტების სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათი ჩართულობის ხარისხის ზუსტი ფარგლების განსაზღვრის გარეშე. გარდა ამისა, ინფორმაცია იმგვარად იყო წარდგენილი, რომ აპლიკანტს არჩევანის საშუალება არ რჩებოდა. ეროვნული კანონმდებლობა არ მოითხოვდა, საავადმყოფოს მიმართ მომჩივნის წერილობითი თანხმობის მიღებას. შიდა სასამართლოების დასკვნა, რომ აპლიკანტმა განაცხადა მდუმარე თანხმობა – არარელევანტური და ნებისმიერ შემთხვევაში არაადამაჯერებელი იყო. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს სხვა შესაბამისი გარემოებები, ისეთი, როგორიცაა: საავადმყოფოს ბროშურაში ასახული ინფორმაციის არაადეკვატურობა, აპლიკანტის დაუცველი მდგომარეობა ინფორმაციის მიღების დროს და ალტერნატიული ღონისძიებების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში თუ მომჩივანი უარს იტყოდა მისი მშობიარობისას სტუდენტების დასწრების თაობაზე. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სამედიცინო ფაქულტეტის სტუდენტების მომჩივნის მშობიარობაზე დასწრება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის კანონიერ მოთხოვნებს.

გადაწყვეტილება **აღსანიშნავია** იმით, რომ იგი ეხება პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ახალ ასპექტს. აღნიშნული ადასტურებს ადეკვატური გარანტიების მნიშვნელობას პაციენტთა უფლებებში თვითნებური ჩარევისას სამედიცინო პროცედურების კონტექსტში, მათ შორის, მშობიარობისას, კერძოდ, ხაზს უსვამს თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის ცნებას პაციენტისა და საავადმყოფოს ურთიერთობაში.

\*\*\*

**გადაწყვეტილება საქმეზე – Dubska and Krejzova v. Czech Republic<sup>97</sup>** – (არასაბოლოო) ეხებოდა პროფესიონალი ექიმების მიერ სახლში მშობიარე დედების დახმარების აკრძალვასა და აღნიშნულ სფეროში კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების ზღვრის ფარგლებს. მომჩივნებმა ისურვეს, რომ მათი შვილი სახლში გაჩენილიყო. თუმცა, ჩეხეთის კანონმდებლობის მიხედვით, პროფესიონალ ექიმებს ეკრძალებათ დახმარება გაუწიონ სახლში მშობიარე დედებს. საბოლოოდ, პირველმა მომჩივანმა ბავშვი სახლში მარტომ გააჩინა, ხოლო მეორე მომჩივანმა – სამშობიაროში. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პირველი აპლიკანტის საჩივარი. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარ გადაწყვეტილებაში ეჭვი გამოთქვა ჩეხეთის კანონმდებლობის კონვენციის მე-8 მუხლთან თავსებადობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის გაჩენა დედის პირადი ცხოვრების განსაკუთრებით ინტიმური ასპექტი იყო. იგი მოიცავს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ერთიანობის, სამედიცინო ჩარევის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის საკითხებს. შესაბამისად, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული გარემოებები, მათ შორის დაბადების ადგილის განსაზღვრის შესახებ არჩევანი, ხვდებოდა დედის პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში, მე-8 მუხლის მიზნებისათვის.

<sup>97</sup> Dubska and Krejzova v. the Czech Republic, nos. 28859/11 and 28473/12, 11 December 2014.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მომჩივნების პირადი ცხოვრების პატივისცემაში ჩარევას, ვინაიდან ზემოთ ხსენებული აკრძალვის გამო მათ არ შეეძლოთ სახლში მშობიარობისას ბებიაქალის დახმარებით ესარგებლათ. მსგავს აკრძალვას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და შეიძლებოდა მიჩნეულიყო, რომ იგი ემსახურებოდა ჯანმრთელობისა და სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

რაც შეეხება ჩარევის აუცილებლობას, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ (i) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა ევროპული კონსენსუსი და (ii) დედებს, მათ შორის, მომჩივნებს არ ეკისრებოდათ არაპროპორციული და გადაჭარბებული ტვირთი იმ ფაქტის გამო, რომ მათ პროფესიონალი ექიმების დახმარების მიღება მხოლოდ სამშობიაროში, ბავშვის გაჩენის შემთხვევაში შეეძლოთ.

აღნიშნული გადაწყვეტილება **საინტერესოა** იმ კუთხით, რომ იგი ხაზს უსვამს ხელშემკვრელ სახელმწიფოთათვის მიკუთვნებულ შეფასების ფართო ზღვარს ისეთ საკითხებში, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკას, საფრთხის ქვეშ მყოფ ფარდობით რისკებთან დაკავშირებული საექსპერტო და სამეცნიერო მონაცემების შეფასებასა და ფინანსური რესურსების განაწილებას. მაგალითად, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაძლოა განაწილდეს ფინანსები იმისთვის, რომ იმგვარი პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სამშობიაროებიდან რესურსების გადამისამართებას, რადგან სახლში დაბადებული ბავშვებისათვის უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება.

მოცემული გადაწყვეტილება, აგრეთვე, აღსანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის არარსებობის დროსაც კი, ევროსასამართლომ შიდა ხელისუფლებას *obiter dictum* მოუწოდა, რომ დაეცვა შესაბამისი სამართლებრივი დებულებები მუდმივი განხილვის ფონზე, სამედიცინო, სამეცნიერო და სამართლებრივი განვითარებების გათვალისწინებით.

\*\*\*

**საქმე – Jelsevar and Others v. Slovenia**<sup>98</sup> – წამოჭრა კონვენციის მე-8 მუხლთან თავსებადობის მოცულობის საკითხი ლიტერატურული ნაშრომის ავტორისათვის, რომელიც წიგნის გამომცემის შესაქმნელად პირთა ცხოვრებას შთაგონების წყაროდ იყენებდა. სხვაგვარად რომ ითქვას, ასეთ გარემოებებში, როგორ უნდა იქნეს შეჯერებული ხელოვანის თავისუფლება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან?

მწერალმა რომანი ქალის ცხოვრების საფუძველზე გამოაქვეყნა. მომჩივნები მიხვდნენ, რომ რომანი და მასში მოცემული წიგნის გამომცემი მათი ოჯახის, კერძოდ, მათი გარდაცვლილი დედის ცხოვრების ისტორიას გადმოსცემდა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირის განმასახიერებელი პერსონაჟი (მთავარი გმირი) წიგნში სხვა სახელით მოიხსენიებოდა. მომჩივნებმა პიროვნული უფლებების დარღვევის საფუძველზე უჩივეს წიგნის ავტორს და მიუთითეს წიგნის კონკრეტულ მონაკვეთებზე, რომლებიც, მათი აზრით, შეურაცხყოფდა მათი დედის ხსოვნას. ეროვნული სასამართლოების წინაშე, რამდენიმე მეზობელმა, მეგობარმა და ნაცნობმა ჩვენება მისცა, რომ მათ ადვილად იპოვეს კავშირი წიგნის ისტორიასა და მომჩივნების ოჯახს შორის. საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ მომჩივნების საჩივარი არ დააკმაყოფილა, განაცხადა რომ უბრალო მკითხველი წიგნში გადმოცემულ მოვლენებს არ მიიჩნევდა რეალური ადამიანის ცხოვრების ამსახველ ფაქტებად. გარდა ამისა, მომჩივან-

<sup>98</sup> Jelsevar and Others v. Slovenia (dec.), no. 47318/07, 11 March 2014.

თა დედის აღწერილობა არ იყო რაიმე მხრივ დამამცირებელი და ავტორის განზრახვას არ წარმოადგენდა ვინმესთვის შეურაცხყოფის მიყენება.

ევროსასამართლოს წინაშე საქმის წარმოებისას, აპლიკანტები ამტკიცებდნენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და მწერლის გამოხატვის თავისუფლებას შორის.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნული საქმე დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, **საქმეებში - Von Hannover v. Germany (no. 2)**<sup>99</sup> და **Axel Springer AG v. Germany**<sup>100</sup> – მოცემული პრინციპების საფუძველზე. ევროსასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, რომ მომჩივნების გარდაცვლილი დედის პიროვნების გამოყენებას შეიძლებოდა გავლენა ჰქონოდა მე-8 მუხლით გარანტირებული აპლიკანტების უფლებაზე (**საქმე Putistin v. Ukraine**<sup>101</sup>). თუმცა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შეპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსის დასაცავად სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ გამოვლენილი მიდგომა, კერძოდ, იმის განსაზღვრა მიიჩნევა თუ არა უბრალო მკითხველი წიგნში მოცემულ ისტორიას რეალურად (არაფიქციურად) და მიიჩნევა თუ არა იგი მას შეურაცხყოფელად, დასაბუთებული იყო და შეესაბამებოდა სტრასბურგის სასამართლოს დადგენილ პრეცედენტულ სამართალს.

აღნიშნული **განჩინება აღსანიშნავია** იმ თვალსაზრისით, რომ (i) იგი ადასტურებს ხელოვანის თავისუფლების მნიშვნელობას ლიტერატურული ნაშრომის კონტექსტში და (ii) იგი ავრცელებს და იყენებს ისეთ სიტუაციასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალს, სადაც რეალურ ცხოვრებაში არსებული პირები, ნოველის ფიქციური გმირის პროტოტიპები არიან, რაც დიდი ხნის წინ დამკვიდრებული და ნორმალური ლიტერატურული პრაქტიკა გახლავთ (შეადარეთ და შეუპირისპირეთ საქმეს – **Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France**<sup>102</sup>, რომელიც განხილულია მე-10 მუხლის მიხედვით; მოცემულ საქმეში ცნობილი პოლიტიკოსი აღნიშნული იყო ნამდვილი სახელით და წარმოადგენდა ფიქციური ამბის გმირს).

\*\*\*

### პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება<sup>103</sup>

**საქმეში – Hamalainen v. Finland**<sup>104</sup> – დიდმა პალატამ განიხილა გენდერული იდენტობის საკითხი, ოჯახური ცხოვრების კონტექსტში. აპლიკანტს გაკეთებული ჰქონდა სქესის შეცვლის ოპერაცია, კერძოდ, კაცის მაგივრად გახდა ქალი, მაგრამ არ იქნა ასეთად აღიარებული, სანამ მისი ქორწინება არ გარდაიქმნებოდა რეგისტრირებულ კავშირად. მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე არ დათანხმდა ასეთ ტრანსფორმაციას და განქორწინება იქნებოდა მათი რელიგიური მრწამსის საწინააღმდეგო, განმცხადებლის ახალი სქესი ვერ აღირიცხებოდა მოსახლეობის რეესტრში. აპლიკანტი მიიჩნე-

<sup>99</sup> Von Hannover v. Germany (no.2) [GC], nos. 40660/08 and 60641/08, ECHR 2012.

<sup>100</sup> Axel Springer AG v. Germany [GC], no. 39954/08, 7 February 2012.

<sup>101</sup> Putistin v. Ukraine, no. 16882/03, § 33, 21 November 2013.

<sup>102</sup> Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France [GC], nos. 21279/02 and 36448/02, ECHR 2007-IV

<sup>103</sup> იხ., აგრეთვე, Brincat and Others, supra note 13.

<sup>104</sup> Hamalainen v. Finland [GC], no. 37359/09, ECHR 2014.

და, რომ აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე.

დიდმა პალატამ განსხვავებული მიდგომა აირჩია, ამჯობინა საჩივრის განხილვა დაენყო სახელმწიფოს პოზიტიური და არა ნეგატიური ვალდებულების ქრილში. შედარებითი სამართლის ანალიზზე დაყრდნობით, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ კვლავ არ არსებობდა ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ ევროპული კონსენსუსი და აღნიშნული საკითხი სადავო იყო იმ ქვეყნებშიც, სადაც არ იყო ნებადართული ერთსქესიანთა ქორწინება, თუ როგორ განეხილათ სქესის აღიარების შემთხვევა ნინასწარ არსებული ქორწინების შემთხვევაში (აპლიკანტის საქმის გარემოება). შესაბამისად, ფინეთს უნდა ესარგებლა შეფასების ფართო ზღვრით, მხედველობაში მიეღო რა რისკის ქვეშ არსებული სენსიტიური და მორალური საკითხები.

დიდმა პალატამ აირჩია პრაგმატული და პრაქტიკული მიდგომა განმცხადებლის წინაშე არსებული პრობლემის გადასაჭრელად, აღნიშნა, რომ აპლიკანტს რამდენიმე არჩევანი ჰქონდა. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არაპროპროციული არ იქნებოდა მომჩივნის ქორწინების რეგისტრირებულ კავშირად შეცვლის მოთხოვნა, რადგან აღნიშნული წარმოადგენდა ჭეშმარიტ არჩევანს, რომელიც უზრუნველყოფდა ერთსქესიანთა წყვილების სამართლებრივ დაცვას, რაც თითქმის ქორწინების იდენტური იყო. ამ ორ სამართლებრივ კონცეფციას შორის არსებული უმნიშვნელო განსხვავებები არ წარმოქმნიდა ფინეთის სისტემის ნაკლოვანებას სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ქრილში. დასკვნის სახით, სახელმწიფოს მთლიანი სისტემა პროპორციული იყო აპლიკანტის მიმართ და სამართლიანი ბალანსი არსებობდა საქმის საპირისპირო ინტერესებს შორის.

\*\*\*

**საქმე – Mennesson v. France**<sup>105</sup> – ეხებოდა, ეროვნული ორგანოების უარს იმ ბავშვების მშობლად აღიარების თაობაზე, რომლებიც საზღვარგარეთ სუროგაციის შედეგად დაიბადნენ. საკითხი მოიცავდა, საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ფრანგი წყვილის (პირველი და მეორე აპლიკანტი) პრობლემას, მშობლისა და შვილის ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების თაობაზე ტყუპი გოგონას მიმართ (მესამე და მეოთხე აპლიკანტი), რომლებიც კალიფორნიაში დაიბადნენ სუროგაციის შედეგად. ტყუპების დაბადების დამადასტურებელი მონმობები კალიფორნიაში გამოიცა, აღნიშნული შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც პირველი და მეორე მომჩივანი მათი მშობლები იყვნენ.

ქალიშვილებს ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების პასპორტი და შეეძლოთ საფრანგეთში შესვლა პირველ და მეორე აპლიკანტთან ერთად. წყვილს მოგვიანებით შეექმნა პრობლემები, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცემული დაბადების მონმობის მონაცემები სამოქალაქო რეესტრში უნდა გაეტარებინა, რადგან საფრანგეთში სუროგაცია იკრძალებოდა. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ უარი, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცემული დაბადების მონმობის მონაცემების საფრანგეთის სამოქალაქო რეესტრში გატარებასთან დაკავშირებით, გამართლებული იყო იმ საფუძველით, რომ სუროგაცია საფრანგეთის საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის საწინააღმდეგო ქმედება იყო („l'ordre public international francais“).

<sup>105</sup> Mennesson v. France, no. 65192/11, 26 June 2014.

ევროსასამართლომ დაადგინა გადაწყვეტილებაში, რომ კონვენციის მე-8 მუხლი გამოიყენებოდა როგორც ოჯახური ცხოვრების, ასევე პირადი ცხოვრების ასპექტის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩარევა განხორციელდა კანონის შესაბამისად და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. რაც შეეხება ამ უკანასკნელ ტესტს, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრება, სუროგატი დედების მდგომარეობის გათვალისწინებით და სუროგაციის ღონისძიებების არაღიარებასთან დაკავშირებით, გამართლებული იყო სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საჭიროებით. აუცილებლობის ტესტთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპაში არ არსებობდა კონსენსუსი სუროგაციის კანონიერებასთან ან უცხოეთში დადებული სუროგაციის შეთანხმებების სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სახელმწიფოებს ჰქონდათ შეფასების ფართო ზღვარი ორივე ასპექტთან მიმართებით, მაგრამ აღნიშნული ზღვარი უნდა შემცირებულიყო იმ მოტივით, რომ რისკის ქვეშ მყოფი საკითხები ეხებოდა პირის იდენტობის აუცილებელ ასპექტს, კერძოდ, მშობლისა და შვილის სამართლებრივ ურთიერთობას.

გადაწყვეტილება **აღსანიშნავია** მისი ახლებური მიდგომით, ერთი მხრივ, ოთხი აპლიკანტის ოჯახური ცხოვრების უფლებასა და მეორე მხრივ, ტყულების პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემას შორის. სასამართლომ დაადგინა რა, რომ არ დარღვეულა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, გადაწყვეტილების დასაბუთება დააფუძნა იმ ფაქტს, რომ პირველ ორ აპლიკანტს და ტყულებს შორის, მშობლისა და შვილის სამართლებრივი ურთიერთობის არაღიარება ხელს არ უშლიდა ტყულების ცხოვრებას საფრანგეთში. სტრასბურგის სასამართლომ, საკასაციო სასამართლოს მსგავსად აღიარა, რომ მომჩივნები ყოველდღიურად სირთულეებს აწყდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ასეთი წინააღმდეგობები არ იყო დაუძლეველი და ხელს არ უშლიდა მათ ერთად ცხოვრებას სხვა ოჯახების მსგავს პირობებში ფართო შედარების შემთხვევაში.

თუმცა, ევროსასამართლომ ტყულების პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი იმყოფებოდნენ სამართლებრივ გაურკვევლობაში მშობლებთან მათ იურიდიულ ურთიერთობებთან მიმართებით, რაც მათი ვინაობის არსებითი საფუძველი იყო. თუმცა, საფრანგეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ კალიფორნიის კანონმდებლობის მიხედვით, ტყულები პირველი ორი აპლიკანტის შვილები იყვნენ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული სტატუსი მათ საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, ვერ მიენიჭებოდათ. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წინააღმდეგობრივი მიდგომა, ძირს უთხრიდა მესამე და მეოთხე განმცხადებლების იდენტობის აღიარებას ფრანგული საზოგადოების მიერ. სასამართლო ასევე შეეხო იმ შესაძლო შედეგებს, რომელიც მათი სტატუსის არაღიარებას ჰქონდა ტყულების საფრანგეთის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით და მათ შესაძლებლობას – პირველი და მეორე აპლიკანტის მემკვიდრეები ყოფილიყვნენ. სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პირველი მომჩივანი ტყულების ბიოლოგიური მამა იყო, მაგრამ მისი აღნიშნული სტატუსი არ იყო აღიარებული საფრანგეთის კანონმდებლობით. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ საკმარისი მნიშვნელობა არ მიანიჭა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როდესაც რისკის ქვეშ მყოფ სიკეთეებს ადარებდა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ტყულების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და საჭიროდ მიიჩნია საჩივრის განხილვა ევროკონვენციის მე-14 და მე-8 მუხლების ერთობლივ ქრილში.

\*\*\*

**გადანყვეტილება საქმეზე – Hanzelkovi v. the Czech Republic<sup>106</sup>** – (არასაბოლოო) ეხებოდა სასამართლოს განკარგულებას, ახალშობილის სასწრაფო წესით საავადმყოფოში დაბრუნების შესახებ. აპლიკანტმა იმშობიარა საჯარო საავადმყოფოში. რამდენიმე საათის შემდეგ, მომჩივანმა თავის შვილთან ერთად დატოვა ჰოსპიტალი, როგორც ჩანს საავადმყოფოს თანამშრომლებისთვის მისი განზრახვის ნათლად შეტყობინების გარეშე. აპლიკანტს დაგეგმილი ჰქონდა საკუთარი პედიატრის ნახვა საავადმყოფოს დატოვებისას. თუმცა მისმა პედიატრმა ვერ მოახერხა მომჩივნისა და მისი ბავშვის ნახვა და აღნიშნულის შესახებ ჰოსპიტალს შეატყობინა. შემფოთებულმა ექიმმა საავადმყოფოს მიმართა გადაუდებელი, სასწრაფო სოციალური დახმარების შესახებ, იმ მოტივით, რომ ჰოსპიტლის სამედიცინო დახმარების გარეშე, ახალშობილის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დგებოდა. შესაბამისად, მოსამართლემ ექიმის მიერ მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, განკარგულება გასცა ჩვილის სასწრაფო წესით საავადმყოფოში დაბრუნების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, აპლიკანტს საცხოვრებელ სახლში ჩაჰბარდა სასამართლო ბოქაულის მიერ და განმცხადებელი მის შვილთან ერთად, პოლიციისა და სოციალური სამსახურების თანამშრომელთა თანხლებით უკან დააბრუნეს საავადმყოფოში. ისინი დარჩნენ ჰოსპიტალში 72 საათის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში, ბავშვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნია.

ევროსასამართლოში საქმის წარმოების დროს, აპლიკანტები განსაკუთრებით დავობდნენ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უკანონოდ ჩაერივნენ კონვენციის მე-8 მუხლით დაცული, მათი ოჯახური და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა აპლიკანტს, კერძოდ, დაადგინა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დროებითი ზომების მიმღებმა მოსამართლემ სათანადოდ არ გამოიკვლია ჩვილის ჯანმრთელობის მიმართ არსებული საფრთხის რეალურობა და მხედველობაში მიიღო სხვა, ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ნაკლებად მნიშვნელოვანი გზები. სასამართლო მთლიანად დაეყრდნო ექიმის შემფოთებას, რომელიც გამოწვეული იყო აპლიკანტის პედიატრთან კომუნიკაციის შედეგად, მაგრამ არ იყო დასაბუთებული. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოს შეეძლო ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა, სანამ მისი საავადმყოფოში დაბრუნების შესახებ განკარგულებას გასცემდა. აღნიშნული შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული. სასამართლოს განკარგულება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო, რომელიც მისი შეჩერების საშუალებას არ იძლეოდა, თუ აპლიკანტის სახლში მყოფი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, როგორც ამ საქმეში დადასტურდა. აქედან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, ევროკონვენციის მე-8 მუხლით დაცულ მომჩივნის უფლებაში არაპროპორციული ჩარევა განხორციელდა.

გადანყვეტილება **საინტერესოა** იმით, რომ იგი ასახავს ევროსასამართლოს მზადყოფნას შესაბამის შემთხვევებში განიხილოს ექიმების მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების დასკვნები და სასამართლოების მიერ საგანგებო სიტუაციების მკაცრ შეფასებას, როდესაც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება რისკის ქვეშ დგას.

<sup>106</sup> Hanzelkovi v. the Czech Republic, no. 43643/10, 11 December 2014.

## პირადი ცხოვრება და კორესპონდენცია

**გადაწყვეტილება საქმეზე – Nusret Kaya and Others v. Turkey<sup>107</sup>** – ეხებოდა პატიმრების მიერ ოჯახის წევრებთან განხორციელებული სატელეფონო კავშირების დროს, არაოფიციალური ენის გამოყენებისთვის დადგენილ შეზღუდვებს.

აპლიკანტები, ეთნიკურად ქურთი პატიმრები, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ ფორმალობებთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ ოჯახის წევრებთან საპატიმროს ტელეფონის მეშვეობით დასაკავშირებლად. იმ დროს არსებული ციხის რეგულაციების თანახმად, ყველა იმ პატიმარს, რომელსაც სურდა თურქული ენის გარდა სხვა ენაზე გარე სამყაროსთან დაკავშირება, იძულებული იყო წინასწარ მიეღო ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ნებართვა. ციხის ადმინისტრაცია ინერდა პატიმრების მიერ გარე სამყაროსთან შემდგარ ყველა სატელეფონო საუბარს, მათ შორის, თურქულ ენაზე განხორციელებულს. აუცილებელი ნებართვის მიღების მიზნით, პატიმრები არ უნდა ყოფილიყვნენ თურქულ ენაზე მოლაპარაკენი, ან უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათთან მოსაუბრეებს არ ესმოდათ თურქული ენა. ამ შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები გადაამონმებდნენ პატიმართა განცხადებების სისწორეს, რომლის ხარჯები აღნიშნულ პატიმარს უნდა გაეწია.

ევროსასამართლოში საქმის წარმოების დროს, აპლიკანტები მიიჩნევდნენ, რომ მათზე დაკისრებული ფორმალური წესები არღვევდა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. მოპასუხე სახელმწიფო, ფორმალობების გამართლების მიზნით, ძირითადად ეყრდნობოდა საპატიმროს შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და პატიმართა გაქცევის რისკებს.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი მომჩივნის საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახის წევრებთან მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობა ეხებოდა არა მხოლოდ კორესპონდენციის, არამედ ოჯახური ცხოვრების უფლებას. მეორე რიგში, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სადავო რეგულაციები მოქმედებდა განურჩევლად ყველა პატიმრის მიმართ, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნების ან კონკრეტული პატიმრის მიერ სხვა პატიმარ პირთა მიმართ არსებული/არარსებული საფრთხის შესაძლებლობისა. მესამე რიგში, ეროვნული ხელისუფლება ინფორმირებული იყო იმ ფაქტის შესახებ, რომ თურქეთში ქურთული ენა ფართოდ გამოიყენებოდა (იხილეთ და შეადარეთ სიტუაცია **საქმეს – Baybasin v. the Netherlands<sup>108</sup>**), მათ შორის, პატიმრების მიერ ოჯახთან კომუნიკაციისას. ევროსასამართლოსთვის მომჩივნების საქმეებში ასახულ ფაქტებთან დაკავშირებით არ არსებობდა რაიმე, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მათ შეფასებებს, რომ ისინი ოჯახებთან კომუნიკაციას ქურთულ ენაზე ამყარებდნენ და რომ ქურთული იყო ის ერთადერთი ენა, რაც მომჩივანთა ოჯახებს ესმოდათ. აღნიშნულის საფუძველზე ის მოთხოვნა, რომ მომჩივნებს დაემტკიცებინათ, მათი ოჯახის წევრების აპლიკანტებთან თურქულ ენაზე კომუნიკაციის შეუძლებლობა, რადგან მხოლოდ ქურთული ენა იცოდნენ, არ იყო გამყარებული შესაბამისი და საკმარისი დასაბუთებით.

<sup>107</sup> Nusret Kaya and Others v. Turkey, nos. 43750/06 et al., ECHR 2014 (ამონარიდები).

<sup>108</sup> Baybasin v. the Netherlands (dec.), no. 13600/02, 6 October 2005.



## ოჯახური ცხოვრება

**გადაწყვეტილება საქმეზე – Jeunesse v. the Netherlands<sup>109</sup>** – ეხებოდა ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმას სურინამის მოქალაქისათვის, რომელიც ჰოლანდიელ მეუღლესთან ერთად ნიდერლანდებში ცხოვრობდა; მათ სამი შვილი ჰყავდათ. მომჩივანი ჰოლანდიაში 1997 წელს ტურისტული ვიზით შევიდა. ვიზით განსაზღვრული ორმოცდახუთი დღის გასვლის შემდეგ, მან მომავალ მეუღლესთან ერთად (რომელსაც 1999 წელს ცოლად გაჰყვა) ვიზის გარეშე განაგრძო ქვეყანაში ცხოვრება. მათი ორი შვილი, მამის მსგავსად, ჰოლანდიის მოქალაქეები იყვნენ. აპლიკანტის თანმიმდევრული განცხადებები ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე უარყოფილ იქნა, *inter alia*, იმ საფუძველით, რომ იგი არ ფლობდა სურინამში ჰოლანდიის წარმომადგენლობის მიერ გაცემულ დროებით საცხოვრებელ ვიზას.

მომჩივანი მიიჩნევდა, რომ იგი უნდა გათავისუფლებულიყო ბინადრობის ნებართვის მინიჭების თაობაზე საზღვარგარეთიდან განაცხადის წარდგენის ვალდებულებისაგან. ევროსასამართლოში საქმის წარმოების დროს აპლიკანტი ჩიოდა, რომ ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარმა დაარღვია მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

დიდმა პალატამ განაცხადა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათ ტერიტორიაზე ბინადრობასთან დაკავშირებული ნებისმიერი განცხადება საზღვარგარეთიდან იყოს წარდგენილი, რადგან ისინი არ არიან ვალდებული, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ნება დართონ საემიგრაციო საქმის წარმოების შედეგებს მათ ტერიტორიაზე დაელოდონ. წინამდებარე საქმე შეიძლება განსხვავებულ იქნეს იმ შემთხვევებისგან, რომელიც ეხება „დასახლებულ მიგრანტებს“ (პირებს, რომლებმაც ოფიციალურად უკვე მინიჭებული აქვთ მასპინძელ ქვეყანაში ბინადრობის უფლება). აღნიშნული საინტერესოა მომჩივნის მდგომარეობის თვალსაზრისით, როგორც უკანონო მიგრანტისა, რომლის ოჯახის ყველა წევრი ნიდერლანდების მოქალაქე იყო. იგი ეხება სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესის ფარგლებს ემიგრაციის კონტროლის კუთხით, როდესაც ოჯახური ცხოვრება დაიწყო და განვითარდა უკანონოდ.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ *fait accompli*-სთან წინააღმდეგობაში მოსვლის დროს, ხელისუფლების ორგანოების მიერ არანაცინალური ოჯახის წევრის გაძევება არ შეესაბამება კონვენციის მე-8 მუხლს, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ასეთი გარემოებები არსებობდა მომჩივნის საქმეში, როდესაც ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სამართლიანი ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, აპლიკანტის, მისი ქმრისა და შვილების მიმართ ჰოლანდიაში მათი ოჯახური ცხოვრების შენარჩუნების მიზნით და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესების კუთხით ემიგრაციის კონტროლის ფარგლებში. მოპასუხე სახელმწიფომ შესაბამისად ვერ უზრუნველყო მომჩივნის უფლება მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის შესახებ ევროკონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე.

მომჩივნის საქმისთვის დამახასიათებელი საგამონაკლისო შემთხვევები, კუმულატიურად იქნა მიჩნეული: აპლიკანტის გარდა მისი ოჯახის ყველა წევრი ნიდერლანდების მოქალაქე იყო; მომჩივანი ცხოვრობდა ჰოლანდიაში თექვსმეტ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (ხელისუფლებამ იცოდა მისი მისამართი) და არ იყო ნასამართლავი, რადგან არ არსებობდა განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში მისი ოჯახის დაბინავე-

<sup>109</sup> Jeunesse v. the Netherlands [GC], no. 12738/10, 3 October 2014.

ბისთვის გადაულახავი დაბრკოლებები, აღნიშნულის იძულება გამოიწვევდა სირთულეებს და ბოლოს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკმარისი ყურადღება არ მიაქციეს – აპლიკანტის გაძევების გავლენას მის შვილებზე. ევროსასამართლოს მოსაზრებით „გადაწყვეტილების მიმღებმა ეროვნულმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ და შეაფასონ მტკიცებულება, მისი გამოყენებადობის, სისწორის, პროპორციულობის კუთხით სხვა ეროვნების მშობლის გაძევებასთან დაკავშირებით, რათა აღნიშნულ შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების ეფექტური დაცვა და შესაბამისი მნიშვნელობა მიენიჭოს მას“.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადყოფს: (i) სამიგრაციო შემთხვევებში, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს ევროკონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით; (ii) სახელმწიფოს შეფასების ზღვარს, როდესაც ოჯახური ცხოვრება წარმოიშვა უკანონო ყოფნის პერიოდში და (iii) იმ საკითხებს, რომლის დროსაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უშუალოდ დაკავშირებული ბავშვების საუკეთესო ინტერესების ეფექტური დაცვა.

\*\*\*

**განჩინება საქმეზე – D. and Others v. Belgium<sup>110</sup>** – ძირითადად ეხებოდა ბელგიის ხელისუფლების ორგანოს მიერ გამოყენებულ დროს, რაც მათ მომჩივნისთვის სამგზავრო დოკუმენტის უზრუნველსაყოფად დასჭირდათ. აღნიშნული დოკუმენტი, სუროგაციის შედეგად უკრაინაში დაბადებულ ბავშვს ნებას რთავდა აპლიკანტებთან ჩასულიყო ბელგიაში. ბავშვი 2013 წლის 26 თებერვალს დაიბადა. 2013 წლის 31 ივლისს, ბრიუსელის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ბავშვის სახელზე სამგზავრო დოკუმენტის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებული მომჩივნების საჩივარი. ბრიუსელის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ დროისათვის აპლიკანტებმა საკმარისად დაასაბუთეს, რომ პირველი მომჩივანი ბავშვის ბიოლოგიური მამა იყო და რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ადრე გამოთქმული, ბავშვის დაბადების გარემოებებიდან გამომდინარე, საჯარო წესრიგთან დაკავშირებული შემფოთება ამჯერად განხილულ იქნა. 2013 წლის 6 აგვისტოს ბავშვი ბელგიაში, მომჩივნებთან ერთად ჩავიდა.

აღნიშნული განჩინება **საინტერესოა** იმ თვალსაზრისით, რომ ევროპულმა სასამართლომ განიხილა საკითხი, უკრაინის დატოვებამდე სარგებლობდნენ თუ არა მომჩივნები და ბავშვი ოჯახური ცხოვრების უფლებით, მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. მომჩივნებს, ბავშვის დაბადებიდან მის ბელგიაში ჩასვლამდე, მხოლოდ შეზღუდული და არარეგულარული კავშირი ჰქონდათ. სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა რა **საქმეებზე – Pini and Others v. Romania<sup>111</sup>** და **Nylund v. Finland<sup>112</sup>**, აღნიშნა, რომ მე-8 მუხლით განმტკიცებულ გარანტიებზე დაყრდნობა შესაძლებელი იყო, როდესაც არსებობდა მომავალში ოჯახური ცხოვრების განვითარების პოტენციალი. ნინამდებარე საქმეში, მომჩივნებს ბავშვის დაბადების მომენტიდანვე სურდათ მისთვის მშობლებივით მოეარათ და მიიღეს შესაბამისი ზომები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო, ბავშვს მათთან ერთად ოჯახურად ეცხოვრა. დადგინდა, რომ ბელგიაში ისინი ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდნენ. აღნიშნული მიზეზით, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ

<sup>110</sup> D. and Others v. Belgium (dec.), no. 29176/13, 8 July 2014.

<sup>111</sup> Pini and Others v. Romania, nos. 78028/01 and 78030/01, § 143, ECHR 2004 V (ამონარიდები).

<sup>112</sup> Nylund v. Finland (dec.), no. 27110/95, ECHR 1999 VI.

მე-8 მუხლი გამოყენებადი იყო და ადგილი ჰქონდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, მომჩივნების ბავშვისაგან (უმეტესწილად) განცალკევებულად ყოფნის პერიოდის, სამი თვისა და თორმეტი დღის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელი იყო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დრო, რომელიც ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული გარემოებების კანონიერების დასადასტურებლად დასჭირდათ, არ შეიძლებოდა არაგონივრულად ყოფილიყო მიჩნეული. კონვენცია ვერ აიძულებს სახელმწიფოს, სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვი ავტომატურად დაუშვას თავის ტერიტორიაზე. ბუნებრივი იყო, რომ ხელისუფლების ორგანოები, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივ მოკვლევას აწარმოებდნენ. აპლიკანტები ინფორმირებულნი უნდა ყოფილიყვნენ იმის აუცილებლობის თაობაზე, რომ ისინი აღჭურვილიყვნენ ყველა საჭირო დოკუმენტით, მათ შორის, მშობლის დამადასტურებელი მოწმობით, რათა მოთხოვნილი სამგზავრო დოკუმენტი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე მოეპოვებინათ.

\*\*\*

**განჩინება საქმეზე – Krusik v. Croatia<sup>113</sup>** – იკვლევს ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის ოჯახური ცხოვრების დაცვის ფარგლებს. საჩივარი ეხებოდა ბებია-ბაბუას (პირველ ორ მომჩივანს) და მამას შორის დავას, მისი ორი შვილის (მესამე და მეოთხე მომჩივნები) მეურვეობასა და მიკუთვნებასთან დაკავშირებით. მომჩივნები, ძირითადად, კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით დავობდნენ.

ევროსასამართლომ თავდაპირველად განიხილა, ჰქონდათ თუ არა პირველ და მეორე მომჩივანს მესამე და მეოთხე მომჩივნის სახელით განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება. საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მათ არ ჰქონდათ აღნიშნულის განხორციელების უფლებამოსილება, ვინაიდან ბავშვების მშობლებს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ უთქვამთ მშობლის უფლებებზე უარი. საჩივრის წინამდებარე ნაწილი, კონვენციის დებულებებთან *ratione personae* საფუძველზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და მას უარი ეთქვა.

გადანყვეტილება **აღნიშვნის ღირსია** პირველი და მეორე მომჩივნის მე-8 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით, რომელიც შეეხება ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილებას, მათი შვილიშვილის მეურვეობის მამისთვის მინიჭების შესახებ. უმეტესწილად ეყრდნობოდა რა ადრე არსებული კომისიის პრეცედენტულ სამართალს, ევროსასამართლომ განიხილა ოჯახური ცხოვრების ფარგლები, რომლითაც ბებია-ბაბუა შვილიშვილებთან მიმართებით სარგებლობდა. სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ ჩვეულებრივ პირობებში ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის ურთიერთობა, თავისი ხარისხითა და ბუნებით, განსხვავდება მშობლისა და შვილის ურთიერთობისაგან და აღნიშნულის საფუძველზე, ზოგადად, დაცვას უფრო ნაკლებად საჭიროებს. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ბებია-ბაბუის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება მათ შვილიშვილებთან მიმართებით, პირველ ყოვლისა, მოიცავს უფლებას, მათთან კონტაქტის მეშვეობით, შეინარჩუნონ ბებია-ბაბუას და შვილიშვილს შორის ნორმალური ურთიერთობა, რაც ძირითადად ხდება მშობ-

<sup>113</sup> Krusik v. Croatia (dec.), no. 10140/13, 25 November 2014.

ლის პასუხისმგებლობის მქონე პირთან შეთანხმებით. ევროპულმა სასამართლომ, წინამდებარე საქმის ფაქტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მომჩივნების მიერ წარდგენილი სარჩელის თაობაზე, სადაც ისინი შვილიშვილებთან ხელმისაწვდომობასა და მათთან კავშირის ქონას ითხოვდნენ, ეროვნული სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობდა. შესაბამისად, მათი საჩივრის აღნიშნული ნაწილი ნაადრევი იყო.

სტრასბურგის სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, რომ ისეთ სიტუაციაში, სადაც შვილიშვილებს არ აქვთ მშობლის მზრუნველობა, ბებია-ბაბუას მე-8 მუხლის თანახმად შეიძლება მიენიჭოთ მათ ზრუნვაზე პასუხისმგებლობა იმის გათვალისწინებით, თუ როდის იქნა მათი მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული. წინამდებარე საქმეში არ იყო მოცემული მსგავსი სიტუაცია. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-8 მუხლი არ შეიძლება იმგვარად იქნეს განმარტებული, რომ იგი ბებია-ბაბუას გადასცემს მეურვეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა უფლებას. აღნიშნული მიზეზით, მოცემულ საქმეში გამოყენებული ღონისძიებები, კერძოდ, ბებია-ბაბუასთვის შვილიშვილების მეურვეობის ჩამორთმევა და აღნიშნულის მამისათვის მინიჭება არ წარმოადგენდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ საჩივრის მოცემული ნაწილი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

### საცხოვრებელი ადგილი და კორესპონდენცია

**საქმე – DELTA PEKARNY a.s. v. the Czech Republic<sup>114</sup>** – ეხებოდა მომჩივნის კომპანიის შენობის შემონახვას იმავე დღეს, როდესაც მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმდინარეობდა, კონკურენციის წესების სავარაუდო დარღვევის გამო. მას შემდეგ, რაც შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, სამართალწარმოების დაწყების შესახებ ცნობა ხელმოწერილ იქნა კონკურენციის ორგანოს მიერ, შემონახვა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მოსამართლის წინასწარი ნებართვის ან სასამართლო განხილვის გარეშე.

ევროპული სასამართლოს წინაშე, მომჩივანი კომპანია დავობდა მისი ადგილსამყოფლისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილების საინტერესო მახასიათებელი მოიცავს ევროსასამართლოს ანალიზს – დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის შესახებ. მიუთითა რა **გადაწყვეტილება საქმეზე – Smirnov v. Russia<sup>115</sup>** – ევროსასამართლომ განიხილა წინასწარი სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩხრეკის ჩატარება შესაბამისი იყო თუ არა, სასამართლოს ეფექტური განხილვის შედეგად, უკვე ჩატარებული ღონისძიების კანონიერებისა და აუცილებლობის შეფასებისა.

სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა ადეკვატური და საკმარისი გარანტიები აღნიშნული თვითნებობის წინააღმდეგ და შესაბამისად, დაადგინა ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მოკვლევის ჩატარების დროს, არც სავარაუდო ფაქტები კონკურენციის წესების შესაძლო დარღვევის შესახებ და არც კონკურენციის

<sup>114</sup> DELTA PEKARNY a.s. v. the Czech Republic, no. 97/11, 2 October 2014.

<sup>115</sup> Smirnov v. Russia, no. 71362/01, 7 June 2007.

ორგანოს მიერ მოძიებული დოკუმენტები ცხადად არ იყო განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკას მოჰყვა ორი ინსტანციის სასამართლო პროცესები, ეროვნულ სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ კონკურენციის სააგენტოს მიერ განხორციელებული უფლებამოსილების ხასიათი ჩატარებული ინსპექტირების შესაბამისობის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის შესახებ. ევროსასამართლომ დაადგინა შემდეგი გარანტიების ნაკლებობა: (i) შემონმების განხორციელებისთვის, წინასწარი სასამართლო ნებართვის არსებობა; (ii) ეფექტური ეს პოსტ ფაქტო სასამართლო განხილვა, ჩარევის საჭიროების შესაფასებლად და (iii) შემონმებისას მიღებული ასლების შესაძლო განადგურების მარეგულირებელი ნესები. მიუხედავად იმისა, რომ შემონმების ჩატარებისას არსებობდა ზოგიერთი პროცედურული გარანტია, აღნიშნული არ იყო საკმარისი კონკურენციის ორგანოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკის თავიდან ასაცილებლად.

## პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და რელიგიის ან რწმენის

### გამოხატვის თავისუფლება (მე-8 და მე-9 მუხლები)

ზემოთ აღნიშნული საქმე – *S.A.S. v. France*<sup>116</sup> – ეხებოდა მუსულმან, ეროვნებით ფრანგ ქალბატონს, რომელიც დავობდა, რომ მას აღარ შეეძლო საჯაროდ პირბადით სიარული, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა 2011 წლის 11 აპრილის კანონი საჯარო ადგილებში სახის დაფარვის აკრძალვის შესახებ. როგორც ღრმად მორწმუნე მუსულმანი აპლიკანტი აცხადებდა, რომ იგი ატარებდა ჩადრს და თავსაბურავს, მისი რელიგიის, კულტურისა და პირადი რწმენის საფუძველზე. აგრეთვე, მან დასძინა, რომ არც ქმრისგან, არც მისი ოჯახის რომელიმე სხვა წევრისგან არ განიცდიდა იძულებას ამგვარად შემოსვის შესახებ და აპლიკანტი თანახმა იყო არ გამოეყენებინა თავსაბურავი გარკვეულ შემთხვევებში, მაგრამ უნდოდა, რომ შეძლებოდა აღნიშნულის ტარება მისი სურვილიდან გამომდინარე, რადგან მომჩივნის მიზანი არ იყო სხვების გაღიზიანება, არამედ შინაგანი სიმშვიდის განცდა. ევროსასამართლოს წინაშე აპლიკანტი დავობდა ევროკონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-14 მუხლების დარღვევის შესახებ.

სტრასბურგის სასამართლომ დასაშვებად ცნო აპლიკანტის შესაძლო მოთხოვნა, რომ იგი სავარაუდო დარღვევის „მსხვერპლი“ იყო, მხედველობაში არ მიიღო რა სახელმწიფოს წინასწარი პრეტენზია, რომ მომჩივანმა *actio popularis* საჩივარი შეიტანა. საქმის არსებითი ნაწილის დროს, ევროსასამართლომ განიხილა მომჩივნის პრეტენზიები, კონვენციის მე-8 და განსაკუთრებით მე-9 მუხლებიდან გამომდინარე. რადგან პირის საკუთარი გადაწყვეტილება მის გარეგნობასთან მიმართებით უკავშირდება ინდივიდუალური პიროვნების გამოხატვას და ექცეოდა პირადი ცხოვრების ცნების ქვეშ, აპლიკანტი დავობდა, რომ მას არ ჰქონდა საშუალება საჯარო თავშეყრის ადგილებში ჩაეცვა ის ტანსაცმელი, რომელიც მისი რელიგიით იყო სავალდებულო, შესაბამისად, აღნიშნული ინვევდა პირის რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების საკითხებში ჩარევას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ზემოთ ხსენებულ უფლებებში „მუდმივ ჩარევას“, რომ ეს ჩარევა „კანონით გათვალისწინებული იყო“ და რომ იგი ემსახურებოდა ორ კანონიერ მიზანს: „საზოგადოებრივ უსაფრთხოებას“ და „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“.

<sup>116</sup> S.A.S. v. France, supra note 9.

რაც შეეხება პირველ მიზანს (საზოგადოებრივი უსაფრთხოება), ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა არ იყო „აუცილებელ დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რადგან მიზანი შეიძლებოდა მიღწეულიყო პირის სახის გამოჩენითა და მისი იდენტიფიცირების უბრალო ვალდებულებით, თუ ინდივიდთა ან საკუთრების უსაფრთხოების რისკი დადგებოდა. რაც შეეხება მეორე მიზანს (სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა), სტრასბურგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტები ორ ფუნდამენტურ ღირებულებაზე გენდერულ თანასწორობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დაყრდნობით. თუმცა, სასამართლომ გაიზიარა სახელმწიფოს მოთხოვნა მესამე ღირებულებასთან მიმართებით: საზოგადოებაში ცხოვრების მინიმალური საჭიროებების პატივისცემა (თანაცხოვრება). გაითვალისწინა რა პირის სახის მნიშვნელობა სოციალური ურთიერთობების დროს, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ თავსაბურავით გამოწვეული ბარიერი, რომელიც პირისაბეს მთლიანად ფარავდა, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ აღიქმებოდა, როგორც სხვათა უფლებების დარღვევა ეცხოვრათ სოციალურ სივრცეში, რომელიც თანაცხოვრებას აიოლებდა. თუმცა, თანაცხოვრების ცნების მოქნილობისა და უფლების დარღვევის რისკის გათვალისწინებით, ევროსასამართლოს ფრთხილად უნდა განეხილა აღნიშნული სადავო შეზღუდვის აუცილებლობა.

მოცემულ საქმეში, თავსაბურავის ტარების აკრძალვა პირდაპირ არ გამომდინარეობდა რელიგიური კონტექსტიდან, არამედ ეფუძნებოდა მხოლოდ პირისაბის დაფარვის ფაქტს (შეადარეთ და შეუპირისპირეთ **საქმეს – Ahmet Arslan and Others v. Turkey**<sup>117</sup>). აღნიშნულ სფეროში, სახელმწიფოს ჰქონდა შეფასების ფართო ზღვარი. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ დადგენილი სანქციები – მაქსიმალური ჯარიმა – 150 ევრო ან/და მოქალაქეობრივი ვალდებულების დაცვა, წარმოადგენდა ყველაზე მსუბუქ ზომებს, რაც კი შეიძლებოდა კანონმდებელს გაეთვალისწინებინა, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ღონისძიება პროპორციული იყო. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ევროკონვენციის არც მე-8 და არც მე-9 მუხლები არ დარღვეულა.

გარდა აღნიშნული ახლებური ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტისა, გადანაცვებილი **საინტერესოა** იმით, რომ (i) მან აღიარა „თანაცხოვრების“ ცნების დაცვა, როგორც ლეგიტიმური მიზანი, რომელიც ამართლებს კონვენციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვას; (ii) ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახელმწიფო, რომელიც შევიდა ამ სახის საკანონმდებლო პროცესში, აძლიერებს ისეთი სტერეოტიპების რისკს, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის გარკვეულ ფენაზე და ნახალისების შეუწყნარებლობას, როდესაც პირიქით, ტოლერანტობას უნდა შეუწყოს ხელი.

## გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10)

**საქმეში – Murat Vural v. Turkey**<sup>118</sup> – მომჩივანი, ქემალ ათათურქის ხუთი ქანდაკების შეღებვისათვის, ათათურქის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ კანონის (კანონი №.5816) თანახმად, დამნაშავედ იქნა ცნობილი და მას დაახლოებით ცამეტ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. აპლიკანტმა აღნიშნული ქმედება ქემალისტური იდეოლოგიის გასაპროტესტებლად განახორციელა. იგი ჩიოდა სასჯელის სიმკაცრეზე კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, რაც აპლიკანტს საკუთარი

<sup>117</sup> Ahmet Arslan and Others v. Turkey, no. 41135/98, 23 February 2010.

<sup>118</sup> Murat Vural v. Turkey, no. 9540/07, 21 October 2014.

მოსაზრების გამოხატვის გამო დაეკისრა. მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლო აღიარებდა თანამედროვე თურქეთში ქვემოთ ათათურქის სიმბოლურ მნიშვნელობას, მან დაასკვნა, რომ მომჩივნის ქმედებები ვერ გაამართლებდა ასეთი მკაცრი სასჯელის მისჯას. ევროსასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ გამოხატვის მშვიდობიანი და არაძალადობრივი ფორმა არ უნდა გახდეს საპატიმრო სასჯელის დაკისრების საფრთხის შემცველი. სიმართლეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აპლიკანტის ქმედებებმა საკუთრებაზე ფიზიკური თავდასხმის ფორმა მიიღო. თუმცა, ევროსასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ქმედებები არ იყო იმდენად მძიმე, რომ გაემართლებინა №5816 კანონით გათვალისწინებული საპატიმრო სასჯელის დაკისრება.

წინამდებარე გადაწყვეტილება საინტერესოა, ვინაიდან სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ქმედება წარმოადგენდა სიმბოლურ სიტყვას ან „გამოხატულ საქციელს“ და შესაბამისად, სარგებლობდა მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვით. ობიექტური თვალსაზრისით, მომჩივნის ქმედება შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო გამოხატვის თავისუფლებად. ფაქტობრივად, განმცხადებელს მსჯავრი არა ვანდალიზმისთვის, არამედ ქვემოთ ათათურქის შეურაცხყოფისთვის დაედო.

\*\*\*

**გადაწყვეტილება საქმეზე – Gough v. the United Kingdom<sup>119</sup>** (არასაბოლოო) შეეხება მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის ფორმებს. მომჩივანი, საზოგადოებაში შიშველი სიარულის შედეგად მშვიდობის დარღვევის გამო, რამდენჯერმე დააპატიმრეს და დამნაშავედ ცნეს. იგი ამტკიცებდა, რომ აღნიშნულის განხორციელებით, სიშიშვლის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებას გამოხატავდა. აპლიკანტი დავობდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა.

წინამდებარე საქმეში საინტერესოა მე-10 მუხლის გამოყენების საკითხი. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან აპლიკანტმა საკუთარი მოსაზრების გამოხატვა სხეულის სიშიშვლით გადაწყვიტა, რომელიც საზოგადოებისათვის არ იყო შეურაცხმყოფელი ფაქტი, შეიძლებოდა მიჩნეულიყო მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის ფორმად.

შემდგომი საკითხი ეხება, წლების განმავლობაში მომჩივნის მიერ განზრახი განმეორებითი ანტისოციალური ქმედების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიებების პროპორციულობის შეფასებას. ითვალისწინებდა რა მოხდელი სხვადასხვა საპატიმრო სასჯელის (ჯამში 7 წელი) კუმულატიური გავლენის სიმკაცრეს, ევროსასამართლომ განიხილა ხელისუფლების ორგანოების ვალდებულება იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც მუდმივად უარს აცხადებდნენ კანონის მორჩილებაზე.

სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა აპლიკანტის პირადი პასუხისმგებლობა, მის მიმართ არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობდა მომჩივნის მიერ წლების განმავლობაში განზრახი იმგვარი ქმედებისგან, რაც საზოგადოებაში ქცევის დამკვიდრებული სტანდარტების საწინააღმდეგო იყო და რის შესახებაც იგი ინფორმირებული გახლდათ. სიშიშვლესთან დაკავშირებით აზრის გამოხატვისათვის ან საჯარო დებატების დაწყებისათვის, აპლიკანტის წინაშე სხვა საშუა-

<sup>119</sup> Gough v. the United Kingdom, no. 49327/11, 28 October 2014.

ლებებიც არსებობდა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას ჰქონდა უფლება შიშველ მდგომარეობაში გამოჩენილიყო ყველგან, მათ შორის, სასამართლოებსა და ციხეში. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, მას შემწყნარებლობა და სენსიტიურობა უნდა გამოეჩინა საზოგადოების სხვა წევრების მოსაზრებებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, დაეცვათ ისინი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისაგან. ევროსასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფოს აღნიშნულ სფეროში შეფასების ფართო ზღვარი ჰქონდა. ამრიგად, გამოყენებული ღონისძიებები, კონვენციის მიზნებისათვის, აკმაყოფილებდნენ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებებს“.

\*\*\*

**განჩინება საქმეზე – Stichting Ostade Blade v. the Netherlands<sup>120</sup>** – ეხებოდა ჟურნალისტური წყაროს დაცვის ფარგლებს. არნემში, დაბომბვების სერიის შემდეგ, ჟურნალის რედაქტორებმა გამოაქვეყნეს პრესრელიზი, სადაც განაცხადეს, რომ მათ მიიღეს წერილი ორგანიზაციისაგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ იგი იყო დაბომბვის ბოლო შემთხვევაზე პასუხისმგებელი. პრესრელიზში რედაქტორებმა აგრეთვე მიუთითეს, რომ ისინი აპირებდნენ აღნიშნული წერილის შემდგომ გამოცემაში გამოქვეყნებას. პრესრელიზის გამოცემიდან მეორე დღეს, გამომძიებელი მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე, გაჩხრიკეს ჟურნალის უძრავი ქონება. ჩხრეკის დაწყებამდე ჟურნალის რედაქტორებს აცნობეს, რომ ჩხრეკა მიზნად ისახავდა წერილის მოპოვებას. ერთ-ერთმა რედაქტორმა საპასუხოდ განაცხადა, რომ წერილი შენობაში არ იყო. ძებნა კვლავ გაგრძელდა. შემდგომში, შენობიდან რამდენიმე კომპიუტერი და სხვა მასალები წაიღეს. მოგვიანებით ჟურნალის რედაქტორმა განაცხადა, რომ წერილი მიღების დღეს განადგურდა.

ევროსასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს მომჩივანი ორგანიზაცია, რომელიც ჟურნალის გამოცემაზე იყო პასუხისმგებელი, დავობდა, რომ უძრავი ქონების ჩხრეკა, კონვენციის მე-10 მუხლის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენდა ჟურნალისტური წყაროს დაცვის უფლების დარღვევას.

ევროსასამართლომ უარყო ეს არგუმენტი. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული ყველა პირი ვერ მიიჩნეოდა „წყაროდ“, აღნიშნულ სფეროში არსებული პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში (იხ., მაგალითად, **საქმეები: Goodwin v. the United Kingdom<sup>121</sup>, Financial Times Ltd and Others v. the United Kingdom<sup>122</sup>, Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands<sup>123</sup> და Telegraaf Media Nederland Landelijke Media B.V. and Others v. the Netherlands<sup>124</sup>**). მიუთითა რა განჩინებაზე **საქმეში – Nordisk Film & TV A/S v. Denmark<sup>125</sup>**, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟურნალის ინფორმაციორი არ იყო მოტივირებული საზოგადოებისათვის იმ ინფორმაციის მიწოდების სურვილით, რომლის ცოდნის უფლებაც საზოგადოებას ჰქონდა. პირიქით, ინფორმაციორი ამტკიცებდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულებში საკუთარ ბრალეულობას; ჟურნალის მეშვე-

<sup>120</sup> Stichting Ostade Blade v. the Netherlands (dec.), no. 8406/06, 27 May 2014.

<sup>121</sup> Goodwin v. the United Kingdom, 27 March 1996, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული 1996-II.

<sup>122</sup> Financial Times Ltd and Others v. the United Kingdom, no. 821/03, 15 December 2009.

<sup>123</sup> Sanoma Uitgevers B.V. v. the Netherlands [GC], no. 38224/03, 14 September 2010.

<sup>124</sup> Telegraaf Media Nederland Landelijke Media B.V. and Others v. the Netherlands, no. 39315/06, 22 November 2012.

<sup>125</sup> Nordisk Film & TV A/S v. Denmark (dec.), no. 40485/02, ECHR 2005-XIII.



ობით ცნობადობის მოპოვებისას, მისი მიზანი იყო „ანონიმურად დარჩენა, რათა თავიდან აერიდებინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“. აღნიშნული მიზეზით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმატორი, როგორც „წყარო“, არ სარგებლობდა დაცვის იმავე ხარისხით, როგორც ზემოთ ხსენებულ საქმეებში მოცემული წყაროები. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ „წყაროს დაცვა“ არ წარმოადგენდა განხილვის თემას. დაადგინა რა აღნიშნული საკითხი, სტრასბურგის სასამართლომ განაგრძო იმის გამოკვლევა შეესაბამებოდა თუ არა ჩხრეკა მე-10 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

## შეკრებისა და გაერთიანების უფლება (მუხლი 11)

### მე-11 მუხლის განმარტება მე-9 მუხლის ფონზე

**გადაწყვეტილება საქმეზე – Magyar Kereszteny Mennonita Egyhaz and Others v. Hungary**<sup>126</sup> – ეხებოდა ეკლესიებისათვის სახელმწიფო ფონდის განაწილებას. 2011 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი, რათა გადაეწყვიტა ის პრობლემები, რომელიც დაკავშირებული იყო კონკრეტული რელიგიებისათვის სახელმწიფო ფონდის მოხმარებასთან.

რამდენიმე ეკლესია კანონის ძალით ავტომატურად მიიჩნეოდა, რომ უფლებამოსილი იყო გაეგრძელებინა სახელმწიფოსაგან კონკრეტული ფულადი და ფისკალური უპირატესობების მიღება რელიგიასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების გამო, ვინაიდან აღნიშნული ეკლესიები სახელმწიფოსთან იყვნენ ასოცირებულნი. მომჩივნები, რომლებიც ახალი კანონის მიღებამდე რეგისტრირებულ ეკლესიას წარმოადგენდნენ და რომლებიც სახელმწიფოს ფონდიდან იღებდნენ თანხებს, ახალი კანონმდებლობის მიხედვით, არ შედიოდნენ იმ ეკლესიათა რიცხვში, რომლებიც ავტომატურად ფინანსდებოდნენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რელიგიურ ასოციაციებს ან ორგანიზაციებს, როგორც იყო მომჩივანთა ორგანიზაციები, შეეძლოთ გაეგრძელებინათ ფუნქციონირება და საკუთარი თავის ეკლესიად მოხსენიება. თუმცა, ახალი კანონის თანახმად, აპლიკანტთა ეკლესიების მსგავსმა ტაძრებმა, რომლებმაც სიიდან ამოღების შედეგად დაკარგეს ძველი სტატუსი, ვალდებულნი იყვნენ, მიემართათ პარლამენტისათვის, რათა დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც სახელმწიფოსთან ინკორპორირებული ეკლესიები, თუ მათ სურდათ კვლავ მოეპოვებინათ ზემოთ ხსენებული უპირატესობები და ბენეფიტები. შეიძლებოდა თუ არა განსაზღვრული ეკლესიის სახელმწიფოსთან ინკორპორირება, დამოკიდებული იყო მისი წევრების რაოდენობასა და არსებობის პერიოდზე, აგრეთვე, იმის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენაზე, რომ ისინი დემოკრატიისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათი, როგორც რეგისტრირებული ეკლესიის სტატუსის დაკარგვა და სახელმწიფოსთან ინკორპორირებულ ეკლესიებად დასარეგისტრირებლად პარლამენტისთვის მიმართვის მოთხოვნა, წარმოადგენდა კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას, მე-9 და მე-14 მუხლებ-

<sup>126</sup> Magyar Kereszteny Mennonita Egyhaz and Others v. Hungary, nos. 70945/11 et al., ECHR 2014 (ამონარიდი).

თან ერთობლიობაში. ევროსასამართლომ განიხილა აპლიკანტთა საჩივრები კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით მე-9 მუხლის ფონზე და გადაწყვეტილების დასაბუთებაში სათანადო მნიშვნელობა მიანიჭა სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივარს.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტების ეკლესიების სიიდან ამოღება ეფუძნებოდა ახალ კანონს და მათ მიმართ გამოყენებული ღონისძიება ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, არ დაეშვა ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჩართულნი იყვნენ რელიგიურ საქმიანობაში, სახელმწიფო შეღავათების თაღლითურად მოპოვება. თუმცა, მთავრობას არ წარმოუდგენია ცნობები სახელისუფლებო ორგანოების მიერ აღქმული პრობლემის, როგორცაა საფონდო სისტემის დამრღვევი ეკლესიების სასამართლო კონტროლი ან გაუქმება, გადაჭრის უფრო ნაკლებად რადიკალური გზის არარსებობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლობის მომჩივნებზე გავრცელების შედეგი გახლდათ მათი იმ სამართლებრივი ჩარჩოდან გამოსყვანა, სადაც ისინი სარგებლობდნენ სახელმწიფო ფონდით. გარდა ამისა, კანონმდებლობის აპლიკანტებზე გავრცელებას უარყოფითი შედეგი ჰქონდა მათ მატერიალურ მდგომარეობასა და რეპუტაციაზე. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ სახელმწიფო უარყოფს და მხარს არ უჭერს კონკრეტულ რელიგიურ ორგანიზაციას, მაშინ, როდესაც სხვა აღმსარებლობას უზრდის მხარდაჭერას, შეზღუდული რელიგიის მიმდევარმა შეიძლება იგრძნოს, რომ იგი მიუღებელია. ევროსასამართლოსათვის მსგავსი სიტუაცია, რომელიც აღქმულია სხვებთან შედარებით უფრო დაბალ მდგომარეობაში ჩაყენებად, დაკავშირებულია რელიგიის თავისუფლებასთან.

რაც შეეხება მომჩივანთა უფლებას კვლავ მოეთხოვათ ეკლესიის სახელმწიფოსთან ინკორპორირებულად აღიარება, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ აღიარების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას პარლამენტი, აშკარად პოლიტიკური ორგანო, იღებდა. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სიტუაცია, სადაც რელიგიური ორგანიზაციები ხმების მოსაპოვებლად ცდილობენ პოლიტიკური პარტიების კეთილგანწყობის მოპოვებას, შეუთავსებელია ამ სფეროში სახელმწიფოს ნეიტრალურობის ვალდებულებასთან.

მატერიალური შეღავათების დაკარგვასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნულს ნეგატიური გავლენა ჰქონდა მომჩივნების შესაძლებლობაზე, განეხორციელებინათ სხვადასხვა რელიგიასთან დაკავშირებული აქტივობები. სახელმწიფოსთან ინკორპორირებული ეკლესიებისათვის ამგვარი შეღავათების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი განსხვავებული მოპყრობა არ იყო გამართლებული რაიმე ობიექტური საფუძვლებით და შეუთავსებელი იყო სახელმწიფოს ნეიტრალურობის მოთხოვნასთან.

წინამდებარე გადაწყვეტილება **საყურადღებოა**, რადგან სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული კანონმდებლობა არ იწვევდა მომჩივანთა ეკლესიების გაუქმებას და არ წარმოადგენდა შიდა ადმინისტრაციას ან მმართველობაში ჩარევას. აღნიშნული ეკლესიების წევრებს ამ დროის განმავლობაში შეეძლოთ გაეგრძელებინათ საკუთარი რელიგიის გამოხატვა. ევროსასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნავს სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულების მნიშვნელობას ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა ეკლესიებისათვის სახელმწიფო ფონდის განაწილება და კონკრეტული ეკლესიებისათვის უპირატესი სტატუსის მინიჭება. სტრასბურგის სასამართლომ ახლახანს და-

ადასტურა, რომ სახელმწიფო ეკლესიისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების მიკუთვნება, თავისთავად არ არღვევს კონვენციას (იხ. **განჩინება საქმეზე – Asatruarfelagid v. Iceland**<sup>127</sup>). წინამდებარე საქმეში, ევროსასამართლომ განაცხადა, რომ მართალია, ეკლესიისათვის სახელმწიფო ფონდიდან თანხის მიკუთვნება და მათთვის ფინანსური ან სხვა სახის უპირატესობის მინიჭება წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციასთან, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ უნდა იყოს სხვა ორგანიზაციებისათვის, მსგავსი საქმიანობის განხორციელებისათვის მიკუთვნებული თანხის არაპროპორციული. სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლების შესაბამისად, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ შეინარჩუნოს სისტემა, რომელიც კონსტიტუციით არის კონკრეტული რელიგიის დაცვის მანდატით აღჭურვილი, როგორც მოცემულია ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში და საჯარო ინტერესის მიზნების ხელშეწყობისათვის მხოლოდ ზოგიერთ რელიგიურ გაერთიანებებს ანიჭებს შეღავათებს, უნდა განხორციელდეს ასეთი მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული გონივრული კრიტერიუმების საფუძველზე.

### გაერთიანების თავისუფლება

გაფიცვის უფლება მოიცავს თუ არა ხელმეორე გაფიცვას იმ დამსაქმებლის წინააღმდეგ, რომელიც არ წარმოადგენს შრომითი დავის მონაწილე მხარეს? აღნიშნული კითხვა განხილულ იქნა საქმეში – **The National Union of Rail, Maritime and Transport Workers v. the United Kingdom**<sup>128</sup>. გაერთიანებულ სამეფოში 1980 წლიდან, ნორმატიულ დონეზე იკრძალებოდა პროფკავშირების მიერ ხელმეორე გაფიცვა. აპლიკანტი – პროფესიული კავშირი, შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი კომპანია J-ში დასაქმებული თავისი წევრებისთვის მოენოდებინა გაფიცვის თაობაზე, კომპანიის – H-ს წინააღმდეგ განხორციელებული გაფიცვის მხარდაჭერის მიზნით, რადგან კომპანია J იყო ცალკეული გაერთიანება, რომელიც ჩართული არ იყო შრომით დავაში.

ევროსასამართლოში საქმის წარმოების დროს, აპლიკანტი დავობდა, რომ ხელმეორე გაფიცვის აკრძალვა არღვევდა კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებულ უფლებებს.

ეს იყო **პირველი შემთხვევა**, როდესაც ევროსასამართლოს უნდა დაედგინა, ექცეოდა თუ არა ხელმეორე გაფიცვის უფლება ევროკონვენციის მე-11 მუხლით განსაზღვრულ ფარგლებში. როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტთა კომიტეტს, ასევე სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს (ევროპის სოციალური ქარტიის საზედამხედველო ორგანო) გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად უკვე განხილული ჰქონდა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულმა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პროფკავშირების მიერ, შრომითი დავის არამონაწილე დამსაქმებლის წინააღმდეგ, ხელმეორე გაფიცვის უფლების განხორციელება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს შეეძლო ევროკონვენციის მე-11 მუხლზე დაყრდნობა. გადაწყვეტილების დასაბუთება ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: პირველ რიგში, ხელმეორე გაფიცვის უფლება გარანტირებული იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შესაბამისი კონვენციით და ევროპის სოცი-

<sup>127</sup> Asatruarfelagid v. Iceland (dec.), no. 22897/08, § 34, 18 September 2012.

<sup>128</sup> The National Union of Rail, Maritime and Transport Workers v. the United Kingdom, no. 31045/10, ECHR 2014.

ალური ქარტიით და საზედამხედველო ორგანოების მიერ გაერთიანების თავისუფლების ვიწრო გაგებით განმარტება შეუსაბამო იქნებოდა აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე არსებული პოზიციის ფარგლებში. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ დიდმა პალატამ რამდენიმე ხნით ადრე **საქმეში – Demir and Baykara v. Turkey**<sup>129</sup> დაადგინა, რომ სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, კონვენციისგან განსხვავებული საერთაშორისო სამართლის სხვა საფუძვლები, კომპეტენტური ორგანოების მიერ აღნიშნული საფუძვლების ინტერპრეტაცია და საერთო ღირებულებების მქონე ევროპული ქვეყნების პრაქტიკა. მეორე რიგში და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მდგომარეობიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ბევრ მათგანს ჰქონდა დიდი ხნის დამკვიდრებული პრაქტიკა ხელმეორე გაფიცვის შესახებ, როგორც პროფკავშირების კანონიერი ქმედებისა. ევროსასამართლოს დასკვნა **აღსანიშნავია** იმით, რომ იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის მზადყოფნას, უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებების ინტერპრეტაციის ფარგლები, შესაბამის საერთაშორისო სამართალს შორის შესატყვისობა და გაითვალისწინოს ევროპის ქვეყნებში არსებული საერთო ტენდენციები, კონკრეტული ძირითადი უფლების დაცვის ხარისხთან მიმართებით.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე, ხელმეორე გაფიცვის ნორმატიულ დონეზე აკრძალვა წარმოადგენდა აპლიკანტის გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევას, აკრძალვა იყო კანონით გათვალისწინებული და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ აკრძალვა ემსახურებოდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ უშუალოდ შრომით დავაში ჩართულ დამსაქმებელს, არამედ საზოგადოების წევრთა ინტერესებს, რომლებსაც პოტენციურად შესაძლოა ზიანი მიდგომოდათ უფრო დიდი მასშტაბის მქონე ხელმეორე გაფიცვის შედეგად.

მწვავე სოციალური საჭიროების არსებობა/არარსებობიდან გამომდინარე, ხელმეორე გაფიცვის პირდაპირი აკრძალვის მიღებისა და განხორციელების შესახებ მსჯელობისას, ევროსასამართლომ უნდა განეხილა მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ზღვრის ფარგლები. აღსანიშნავია სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ უნდა გადაეწყვიტა, წარმოადგენდა თუ არა გაფიცვის უფლება გაერთიანების თავისუფლების არსებით შემადგენელ ნაწილს, რადგან ნებისმიერი შეზღუდვა ამ უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, დაარღვევდა აღნიშნული თავისუფლების ძირითად არსს. სტრასბურგის სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო, აღნიშნულ გარემოებებში, აპლიკანტს რამდენად შეეძლო საკუთარი წევრების ინტერესების გამართლება კომპანია J-ს წინააღმდეგ განხორციელებული გაფიცვის აკრძალვის მიუხედავად; იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ აპლიკანტი უფლებამოსილი იყო თავისი შრომითი უფლებები განეხორციელებინა კომპანია H-სთან მიმართებით, რომელიც დავაში მონაწილე დამსაქმებელი მხარე იყო. ევროსასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულ სფეროში, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების ძალიან ვიწრო ზღვარი უნდა მიენიჭოთ. აღნიშნული საქმე არ წარმოადგენდა იმ შემთხვევას, როცა შეზღუდვა პროფკავშირების თავისუფლების არსის სიღრმემდე ჩადიოდა, რადგან ეს მოხდებოდა კავშირის დაშლის შემთხვევაში. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტის მსგავს საქმეებში შეფასების ზღვრის მასშტაბი უნდა შეფასდეს შესაბამისი ფაქტორების ფონზე, როგორიცაა: სადავო შეზღუდვის ბუნება და ფარგლები, დასა-

<sup>129</sup> Demir and Baykara v. Turkey [GC], no. 34503/97, ECHR 2008.

ხული მიზანი და იმ პირთა უფლებები და ინტერესები, რომლებთაც ზიანი მიადგათ, აღნიშნული უფლების შეუზღუდავი გამოყენების შედეგად. ნევრ სახელმწიფოთა შორის ისეთივე სათანადო კავშირი არსებობდა, როგორც შესაბამის საერთაშორისო ინტერუმენტებში ასახული საერთაშორისო თანხმობა. სწორედ ეს დასაბუთება იყო მოცემული ზემოთ აღნიშნულ **საქმეში – Demir and Baykara**. ამ შემთხვევაში, შეფასების ზღვარი იყო ფართო, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფო წარმოადგენდა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა იმ მცირე ჯგუფს, რომელიც წინააღმდეგი იყო, შრომით ურთიერთობებში ხელმეორე გაფიცვის უფლების აღიარების თაობაზე. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ ექნებოდა იმ კრიტიკას, რომელიც დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ იყო მიმართული ევროპის სოციალური ქარტიისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის საფუძველზე მოქმედი სახელმეკრულებო ორგანოების მიერ, რადგან მათი ამოსავალი წერტილი ხელმეორე გაფიცვის სადავო აკრძალვასთან მიმართებით განსხვავებული იყო. ევროსასამართლოს ამოცანა მდგომარეობდა, განესაზღვრა აპლიკანტის საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, იყო თუ არა კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებული უფლების არაპროპორციული შეზღუდვა. განმცხადებლის საქმის გარემოებების საფუძველზე, აღნიშნული ფაქტები არ დადასტურდა. მომჩივანს შეეძლო მისი წევრების წარმომადგენელი ყოფილიყო, მათი სახელით მოლაპარაკება ეწარმოებინა კომპანია H-თან და მათ სამუშაო ადგილზე გაფიცვა მოეწყო.

საქმე ასახავს, სტრასბურგის სასამართლოს მიერ საერთაშორისო და შედარებითი სამართლის მასალების გამოყენებას, ძირითადი უფლების მასშტაბის შესაფასებლად და სახელმწიფოს შეფასების ზღვრის ფარგლების განსამარტავად, უფლების განხორციელების შეზღუდვის შემთხვევაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება საერთაშორისო და შედარებითი სამართლის მასალებს სხვადასხვანაირად იყენებს. მაგალითად, ევროსასამართლო ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულზე, რათა კონვენციის მე-11 მუხლის გამოყენება დაასაბუთოს, მაგრამ იმავეს არ აკეთებს, როდესაც საქმე „მწვავე სოციალური საჭიროებების“ განმარტებას ეხება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს შეფასების ზღვარი პროფესიული კავშირების თავისუფლების რეგულირებასთან დაკავშირებით ფართო უნდა ყოფილიყო იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის სამრეწველო ურთიერთობების პოლიტიკა სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო და აღნიშნული საკითხების სენსიტიური ბუნება საყოველთაოდ იყო აღიარებული. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ საკანონმდებლო ორგანოს არჩევანი დაცული უნდა ყოფილიყო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გონივრული დასაბუთების ნაკლებობა აშკარა იყო. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-11 მუხლი არ დარღვეულა.

### **პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების თავისუფლება**

**გადაწყვეტილება საქმეზე – Matelly v. France<sup>130</sup>** – ეხებოდა შეიარაღებული ძალების წევრების, მათ შორის, ჟანდარმების მიმართ არსებულ აკრძალვას პროფესიული გაერთიანებების შექმნის ან მასში გაერთიანების შესახებ. წინამდებარე საქმეში, აპლიკანტს – ჟანდარმერიის ოფიცერს, მისმა ხელმძღვანელობამ მოსთხოვა გადამდგა-

<sup>130</sup> Matelly v. France, no. 10609/10, 2 October 2014.

რიყო ასოციაციის წევრობიდან მისი პროფესიული კავშირის ბუნების გამო, რადგან იგი მიზნად ისახავდა ჟანდარმერიის პროფესიული ინტერესების გატარებას. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მოხდა კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებული გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა. ევროსასამართლომ დაადგინა აღნიშნული დარღვევა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პირდაპირ უნდა გადაეწყვიტა მე-11 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მასშტაბი შეიარაღებული ძალების წევრთა მიმართ. მოპასუხე სახელმწიფომ, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ევროპის სოციალური ქარტიის მე-5 მუხლი, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის განმარტების შესაბამისად, ნებას რთავდა სახელმწიფოებს შეიარაღებულ ძალებში პროფკავშირების ფორმირების აკრძალვის შესახებ.

მანამდე არსებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, (იხ., მაგ., ზემოთ აღნიშნული საქმეები – **Demir and Baykara**<sup>131</sup>, და **Sindicatul „Pastorul cel Bun“**<sup>132</sup>), ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერი შეზღუდვები შეიძლება დაეკისროს შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრთა მიერ პროფესიული კავშირების უფლების განხორციელებას. თუმცა კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის დაწესება აღნიშნული სამი ჯგუფის წევრთა მიმართ მკაცრად უნდა იყო დადგენილი და შესაბამისად, უნდა შემოიფარგლოს ამ უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ შეზღუდვებმა არ უნდა დააზიანოს უფლების ძირითადი არსი, რომელიც მოიცავს პროფესიული კავშირების შექმნის, ორგანიზებისა და მასში გაერთიანების უფლებას (იხ. საქმე **Demir and Baykara**, 97-ე და 144-45-ე პუნქტები).

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეში, აკრძალვა კანონით იყო გათვალისწინებული და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს (შეიარაღებულ ძალებში წესრიგისა და დისციპლინის შენარჩუნება). სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვებიც კი შეიარაღებული ძალების წევრებს შეიძლება დაკისრებოდათ, მათ მიერ პროფესიული გაერთიანებების შექმნის უფლების განხორციელებასა და ასეთი ორგანოების მიერ მათი პროფესიული ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა ევროსასამართლომ დაადგინა, რომ პროფესიული ასოციაციების შექმნის აბსოლუტური აკრძალვა, როგორც მოხდა წინამდებარე საქმეში, შეუსაბამოა კონვენციის მე-11 მუხლთან.

## დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14)<sup>133</sup>

### მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში

ზემოთ მითითებულ საქმეში – **Hamalainen**<sup>134</sup> – კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებული აპლიკანტის საჩივარი ეხებოდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლისათვის განკუთვნილი პირადი ნომრის მინიჭების თაობაზე მის მოთხოვნას და პირადი

<sup>131</sup> Demir and Baykara, supra note 126.

<sup>132</sup> Sindicatul „Pastorul cel Bun”, supra note 91.

<sup>133</sup> იხ., აგრეთვე, Emel Boyraz, supra note 87.

<sup>134</sup> Hamalainen, supra note 101.

ნომრის მოპოვებისას, მის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს. იგი საკუთარ მდგომარეობას ჰეტეროსექსუალი პირების სიტუაციას ადარებდა. ჰეტეროსექსუალები დაბადებისთანავე ავტომატურად მოიპოვებდნენ სქესის სამართლებრივ აღიარებას და მათი ქორწინებები არ იდგა „იძულებითი“ განქორწინების რისკის ქვეშ ისე, როგორც მომჩივნის შემთხვევაში. დიდი პალატა დაეთანხმა პალატის გადაწყვეტილებას, რომ მომჩივნისა და ჰეტეროსექსუალი პირების სიტუაცია საკმარისად მსგავსი არ იყო, რათა ერთმანეთისთვის შეედარებინათ, შესაბამისად, ევროსასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-8 და მე-12 მუხლებთან ერთობლიობაში.

\*\*\*

**გადაწყვეტილება საქმეზე – Cusan and Fazzo v. Italy<sup>135</sup>** – ეხებოდა დედის მიერ შვილისათვის გვარის მინიჭების შეუძლებლობას. მომჩივნებმა, დაქორწინებულმა წყვილმა, მათი ქალიშვილის დაბადების შემდეგ წარუმატებლად მოითხოვეს შვილისთვის, მხოლოდ დედის გვარის მინიჭება. კანონი, რომლისგანაც გამონაკლისი არ დაიშვებოდა, ადგენდა, რომ ქორწინებაში დაბადებულ შვილებს დაბადებისთანავე ავტომატურად, მხოლოდ მამის გვარი გადაეცემოდა, მაშინაც კი, თუ მშობლები ერთობლივად გამოხატავდნენ თანხმობას აღნიშნულის საწინააღმდეგოს შესახებ.

მომჩივნების მოსაზრებით, კანონს მათთვის ნება უნდა დაერთო, რათა საკუთარი შვილის გვარი განესაზღვრათ. ევროსასამართლოში საქმის წარმოებისას, ისინი ამტკიცებდნენ, რომ დაერღვათ კონვენციის მხოლოდ მე-8 მუხლი ან მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

გადაწყვეტილება განიხილავდა ახალდაბადებული ბავშვის სამოქალაქო რეესტრში დედის გვარზე დარეგისტრირების შეუძლებლობის საკითხს, მაშინაც კი, თუ სახეზე იყო მამის თანხმობა.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავს სიტუაციებში მყოფი პირების, კერძოდ, ბავშვის დედისა და მამის მიმართ, ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას. ქორწინებაში დაბადებული ბავშვების გვარის არჩევა განისაზღვრებოდა მხოლოდ მშობლების სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე.

სტრასბურგის სასამართლომ დასაბუთებაში ხაზგასმით აღნიშნა, პირის გვარის არჩევისას დისკრიმინაციის ყველა საფუძვლის აღმოფხვრის მნიშვნელობა (იხ. სახელდობრ, საქმე **Unal Tekeli v. Turkey<sup>136</sup>**). მიუხედავად იმისა, რომ „ქორწინებაში დაბადებული ბავშვებისათვის“ ქმრის გვარის გადაცემის შესახებ წესი პრაქტიკაში საჭირო იყო და აუცილებლად კონვენციასთან შეუსაბამო არ გახლდათ, ის ფაქტი, რომ ბავშვის რეგისტრაციისას შეუძლებელი იყო მისგან გადახვევა, წარმოადგენდა უკიდურეს სიმკაცრეს. გარდა ამისა, აღნიშნული წესი ქალთა მიმართ დისკრიმინაციული იყო. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

<sup>135</sup> Cusan and Fazzo v. Italy, no. 77/07, 7 January 2014.

<sup>136</sup> Unal Tekeli v. Turkey, no. 29865/96, ECHR 2004 X (ამონარიდები).

### მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან ერთობლიობაში

**გადაწყვეტილება, საქმეზე – The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom<sup>137</sup>** – ეხებოდა ადგილობრივი გადასახადის განაკვეთისაგან გათავისუფლების შესახებ, რელიგიური ორგანიზაციის მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე უარის თქმას. 2001 წელს, ეკლესიამ, გაერთიანებულ სამეფოში არსებული ორი მორმონული ტაძრის სამენარმეო გადასახადების განაკვეთის გადამხდელთა სიიდან ამორიცხვის თაობაზე განაცხადი წარადგინა იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ეკლესიები „საჯარო ღვთისმსახურების განხორციელების ადგილი იყო“, რაც გადასახადის გადამხდელთა გათავისუფლების საფუძველი გახლდათ. ეკლესიას მოთხოვნაზე უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ ტაძარი არ წარმოადგენდა „საჯარო ღვთისმსახურების განხორციელების ადგილს“, ვინაიდან მისი ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო განსაკუთრებით მორწმუნე მიმდევრების ჯგუფით, რომელთაც სპეციალური ნებართვა ჰქონდათ მინიჭებული.

აპლიკანტი ჩიოდა, რომ სამენარმეო გადასახადების განაკვეთისაგან გათავისუფლების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმა, წარმოადგენდა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას და არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს მე-9 მუხლთან ერთობლიობაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება **მნიშვნელოვანია** იმ თვალსაზრისით, რომ იგი ეხება ფისკალური პოლიტიკის ასპექტს რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით, კერძოდ, გადასახადებისგან გათავისუფლების გამოყენებას რელიგიური ცენტრების საჯარო ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად.

ევროსასამართლომ შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს ამ სფეროში ჰქონდათ შეფასების ფართო ზღვარი, რელიგიური პლურალიზმის შენარჩუნების მნიშვნელობის გათვალისწინებით, კვლავ აუცილებელი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ გამოყენებული ღონისძიება არ ყოფილიყო არაპროპორციული.

მომჩივნის ეკლესიის ღვთისმსახურების ადგილები, რომლებიც ღია იყო საზოგადოებისათვის, კერძოდ – მისი სალოცავი, გათავისუფლებული იყო სადავო გადასახადების გადახდისაგან. ამრიგად, გათავისუფლებაზე უარი უკავშირდებოდა მხოლოდ თავად ტაძარს, რომელიც სარგებლობდა 80%-იანი შეღავათით. გარდა ამისა, კანონმდებლობა ნეიტრალური იყო; პირადი რელიგიური რწმენის გამოხატვასთან დაკავშირებით ყველა რელიგიური ჯგუფისთვის ერთნაირ გარანტიებს აწესებდა და ყველა რელიგიური ორგანოსთვის ზუსტად ერთნაირ ნეგატიურ შედეგებს ითვალისწინებდა. საბოლოოდ, სასწორის ერთ პინაზე არსებული სიკეთე გაცილებით დაბლა იდგა და გამოყენებული ღონისძიების შედეგი არ შეესაბამებოდა სხვა საქმეებში მომჩივნების მიერ განცდილ ზიანს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოები მსგავს სიტუაციებში მოქმედებდნენ, მათთვის მინიჭებული შეფასების ფართო ზღვრის ფარგლებში. ამრიგად, კონვენციის მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან ერთობლიობაში – არ დარღვეულა.

<sup>137</sup> The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom, no. 7552/09, 4 March 2014.



## საკუთრების დაცვა (I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი)

### სარგებლობის უფლება

**გადანყვეტილება საქმეზე – Alisic and Others v. Bosnia and Herzegovina, Croatia, Serbia, Slovenia and the former Yugoslav Republic of Macedonia**<sup>138</sup> – ეხებოდა ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქე სამი აპლიკანტის შესაძლებლობის არქონას, გამოეტანათ უცხოურ ვალუტაში არსებული „ძველი“ დანაზოგები, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის („the SFRY“) დაშლამდე შეტანილი იყო დღევანდელი ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიაზე არსებულ სარაევოს „Ljubljanska“ ბანკსა და „Investbanka“ ტუზლას ფილიალში.

1989-1990 წლებში მიმდინარე საბანკო რეფორმების დროს, სარაევოს „Ljubljanska“ ბანკი გახდა ლუბლიანას „Ljubljanska“ ბანკის (სლოვენიაში დაფუძნებული ბანკი) ფილიალი და „Investbanka“ გახდა დამოუკიდებელი ბანკი თავისი ცენტრალური ოფისით სერბეთში და რამდენიმე ფილიალით, მათ შორის, ზემოთ აღნიშნული ტუზლას ფილიალით. კომერციული ბანკებიდან უცხოურ ვალუტაში არსებული დანაზოგების მასობრივმა გატანამ, ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა აიძულა მიეღო სასწრაფო ზომები, აღნიშნული ქმედებების შესაზღუდად.

1991-92 წლებში, ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებმა სხვადასხვა ხარისხით აიღეს მათი წინამორბედი ქვეყნის პასუხისმგებლობა – უცხოურ ვალუტაში არსებული „ძველი“ დანაზოგების მიმართ, მაგრამ აპლიკანტების დაგროვილი თანხა მაინც ხელუხლებელი დარჩა. ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებული მდგომარეობა გარკვეული დროის განმავლობაში ცხადი არ იყო. სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებმა, მიუხედავად ოთხგზის გამართული მოლაპარაკებებისა, აღნიშნულ საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

ამ რთული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების საწინააღმდეგოდ, რომელიც სამოქალაქო და საერთაშორისო საჯარო სამართლებრივ პრობლემატიკას ეხებოდა, ევროსასამართლომ კონვენციის I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე დაადგინა, რომ სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ მომჩივნის შესაძლებლობის არქონას, ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდგომ მაინც თავისი დანაზოგების გამოტანის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობაში ჰქონდა საფუძველი. გარდა ამისა, ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და შემდგომი შეიარაღებული კონფლიქტების თანმდევად, მოპასუხე სახელმწიფოს თავდაპირველი მიზანი ლეგიტიმური იყო, რადგან მათ უნდა მიეღოთ ზომები საკუთარი საბანკო სისტემების დასაცავად.

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ დაცულ სამართლიან ბალანსს, ერთი მხრივ, საზოგადოების საერთო ინტერესსა და მეორე მხრივ, აპლიკანტების საკუთრების უფლების დაცვას შორის, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სლოვენიასა და სერბეთში არსებული ეროვნული სასამართლოები კვლავ განიხილავდნენ ლუბლიანას „Ljubljanska“ ბანკსა და „Investbanka“ – უცხოურ ვალუტაში არსებული „ძველი“ დანაზოგების პასუხისმგებელ უწყებებად მათი ფილიალებით, მათ შორის, ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებულის ჩათვლით. ორივე ბანკს სახელმწიფო ფლობდა და მის მიერ კონტროლირებადი იყო. 1994 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სლოვენიამ, ლუბლიანას „Ljubljanska“ ბანკის აქტივების დიდი ნაწილი ახლად შექმნილ

<sup>138</sup> Alisic and Others, supra note 3.

ბანკს გადაურიცხა. ასევე არსებობდა მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც, ლუბლიანას „Ljubljanska“ ბანკის სარაევოს ფილიალის აქტივების უმეტესობა სლოვენიაში იყო. თავის მხრივ, 2001 წლის კანონის მიხედვით, „Investbanka“ ვალდებული იყო, სახელმწიფოსა და სოციალურ საკუთრებაში არსებული კომპანიებისთვის მნიშვნელოვანი საჩივრები ჩამოეწერა. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველები მომჩივანთა დავალიანების პასუხისმგებელ ქვეყნებად სლოვენია და სერბეთი მიეჩნია. ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი დასკვნები შემოფარგლული იყო მხოლოდ აღნიშნული საქმის გარემოებებით, რომელიც უკავშირდებოდა ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას და ბანკების სახელმწიფოს ან სოციალურ კუთვნილებას. ევროსასამართლოს დასკვნა არ გულისხმობდა, რომ არც ერთ სახელმწიფოს არასდროს შეეძლებოდა გაკოტრებული ბანკის რეაბილიტაცია, ბანკის ვალის პირდაპირი პასუხისმგებლობის აღების გარეშე კონვენციის I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე. აღნიშნული დებულება არც იმას მოითხოვდა, რომ ეროვნული ბანკების უცხოური ფილიალები შიდა დეპოზიტების საგარანტიო სქემებში ყოველთვის შესულიყვნენ.

ბოლოს, ევროსასამართლომ განიხილა ის შემთხვევა, არსებობდა თუ არა დასაბუთებული მიზეზი, რის გამოც სლოვენიისა და სერბეთის ხელისუფლება ამდენი წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა აპლიკანტების დავალიანებების დაფარვას. მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების ახსნა, აღნიშნულის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, ძირითადად იყო ის, რომ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ითხოვდა მხოლოდ კეთილსინდისიერ მოლაპარაკებას, პრობლემის მოგვარების კუთხით, დროის რაიმე შეზღუდვის დანესების გარეშე. მთავრობა ასევე დავობდა, რომ ტერიტორიულობის პრინციპის საფუძველზე, ვალებზე პასუხისმგებლობა ბოსნია-ჰერცეგოვინას ეკისრებოდა. თუმცა, ევროსასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფოთა დავალიანების კონტექსტში, ქვეყნების მემკვიდრეობის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპი უკავშირდებოდა „სამართლიანი წილის“ ცნებას, რადგან მომჩივანთა დანაზოგები არ მიეკუთვნებოდა ადგილობრივ ვალებს, რომლის მიმართაც ტერიტორიული პრინციპი გამოიყენებოდა. შესაბამისად, სამართალმემკვიდრე ქვეყნებს შორის შეთანხმების არარსებობის დროს სახელმწიფოს ვალები თანაბრად უნდა განაწილებულიყო. თუმცა აღნიშნული მოითხოვდა წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრებისა და ვალების შესაბამისად, სამართალმემკვიდრე ქვეყნებს შორის შესაბამისი ზომის წილების განაწილების გლობალურ შეფასებას. ზემოთ აღნიშნული საქმის გარემოებების ფარგლებს სცილდებოდა და ევროსასამართლოს კომპეტენციაში არ შედიოდა.

მიუხედავად ამისა, მემკვიდრეობის შესახებ მოლაპარაკებებს ხელი არ შეუშლია სახელმწიფოებისთვის, ეროვნულ დონეზე მიეღოთ ზომები დანაზოგის მქონე პირთა ინტერესების დასაცავად. მართლაც, სლოვენიასა და სერბეთში გადაწყვეტილებები იქნა მიღებული უცხოურ ვალუტაში არსებული „ძველი“ დანაზოგის მქონე ზოგიერთი კატეგორიის პირთა მიმართ. თუ ზოგიერთ შემთხვევაში, გაჭიანურება შეიძლებოდა გამართლებულიყო, აპლიკანტების შემთხვევაში მათ დიდი ხნის განმავლობაში მოუხდათ ლოდინი და მიუხედავად სახელმწიფოთა შეფასების ფართო ზღვრისა, სლოვენიასა და სერბეთს არ დაუცავს სამართლიანი ბალანსი – ერთი მხრივ, საზოგადოების საერთო ინტერესსა და მეორე მხრივ, აპლიკანტების საკუთრების უფლებას შორის, მათი არაპროპორციული მდგომარეობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა სლოვენიისა და სერბეთის სახელმწიფოების მიერ კონვენციის I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა, დანარჩენი მოპასუხე სახელმწიფოებისგან განსხვავებით.

## განათლების უფლება (I დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)

**გადანყვეტილებამ საქმეზე – Velyo Vele v. Bulgaria<sup>139</sup>** – წამოჭრა საკითხი, ხვდებოდა თუ არა საპატიმროს სკოლა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის ფარგლებში. მომჩივანი გახლდათ პირობითი მსჯავრის მქონე პირი. მისი თხოვნა, მისცემოდა საპატიმროს სკოლაში სიარულის უფლება, რათა დაესრულებინა საშუალო განათლება, უარყოფილ იქნა თავდაპირველად ციხის ადმინისტრაციისა და საბოლოოდ – უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ.

სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ აკისრებდა ვალდებულებას, დაპატიმრებულებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებები მოეწყობა, სადაც მსგავსი დაწესებულებები არ არსებობდა (იხ., მაგალითად, საქმე **Epistatu v. Romania<sup>140</sup>**). მიუხედავად ამისა, აპლიკანტის საჩივარი ეხებოდა მანამდე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კერძოდ, საპატიმროს სკოლაში სიარულის უფლებაზე უარის თქმას. ვინაიდან აღნიშნული ფაქტი სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში, გახლდათ მანამდე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულება (იხილეთ საქმე **„relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium“<sup>141</sup>** და ბოლო პერიოდში საქმე **Catan and Others v. the Republic of Moldova and Russia<sup>142</sup>**), მომჩივნის მიერ გასაჩივრებული უფლება ხვდებოდა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის ფარგლებში.

სტრასბურგის სასამართლომ განიხილა, სადავო შეზღუდვა რამდენად თავსებადი იყო 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან, მათ შორის, გაითვალისწინა რა, ამ სფეროში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტები. მოცემულ გარემოებებში, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობამ არ წარმოადგინა არც პრაქტიკული მიზეზები, მაგალითად, სკოლაში რესურსების ნაკლებობა და არც სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებული ნათელი ახსნა-განმარტება. მის წინაშე არსებული მტკიცებულების მიხედვით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ციხის სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული უარი საკმარისად განჭვრეტადი არ იყო და რომ იგი არ ემსახურებოდა ლეგიტიმური მიზანს და არც აღნიშნული მიზნის პროპორციული გახლდათ. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

## თავისუფალი არჩევნების უფლება (I დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი)

**განჩინება საქმეზე – Mihaela Mihai Neagu v. Romania<sup>143</sup>** – ეხებოდა ევროპის პარლამენტის არჩევნებში კანდიდატისათვის მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმას. 2009 წლის ივნისში მომჩივანმა, დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რუმინეთში, ევროპული პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან მას არ ჰქონდა მოპოვე-

<sup>139</sup> Velyo Vele v. Bulgaria, no. 16032/07, ECHR 2014 (ამონარიდები).

<sup>140</sup> Epistatu v. Romania, no. 29343/10, § 63, 24 September 2013.

<sup>141</sup> საქმე “relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium” (არსებითი განხილვა), 23 July 1968, pp. 30-31, §§ 3-4, Series A no. 6.

<sup>142</sup> Catan and Others v. the Republic of Moldova and Russia [GC], nos. 43370/04, 8252/05 and 18454/06, § 137, ECHR 2012 (ამონარიდები).

<sup>143</sup> Mihaela Mihai Neagu v. Romania (dec.), no. 66345/09, 6 March 2014.

ბული მხარდამჭერთა 100,000 ხელმოწერა, რაც განსაზღვრული იყო რუმინული კანონმდებლობით. მოიპოვა რა 15,000 ხელმოწერა, მან გაასაჩივრა აღნიშნული უარი და ამტკიცებდა, რომ ხელმოწერების რაოდენობა დამოუკიდებელი კანდიდატისათვის გადაჭარბებულად დიდი იყო და მას ხელს უშლიდა არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის მიღებაში. მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება საყურადღებოა, ვინაიდან იგი ეხება ევროპულ პარლამენტში კენჭისყრის უფლების მომწესრიგებელ პირობებს და მიუთითებს ევროპის კავშირის შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებსა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომიტეტზე (ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად).

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული საარჩევნო კანონმდებლობა შიდა სამართალში გადმოტანილი იყო ევროპული პარლამენტის წევრთა არჩევის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობიდან. ევროკავშირის კანონმდებლობა, ევროპულ პარლამენტში პირის კანდიდატად მონაწილეობის მიღებისათვის სასურველი კრიტერიუმების დასადგენად წევრ სახელმწიფოებს შეფასების ზღვარს უტოვებდა.

რუმინული კანონმდებლობით მოთხოვნილი ხელმოწერების რაოდენობა რეგისტრირებულ ამომრჩეველთან მიმართებით, არ აჭარბებდა ვენეციის კომისიის მიერ რეკომენდირებულ მაქსიმალურ რაოდენობას. ამრიგად, გასაჩივრებული მოთხოვნა ვერ მიიჩნეოდა გადაჭარბებულად. მომჩივანი შიდა კანონმდებლობის მიხედვით უზრუნველყოფილი იყო ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებით. საბოლოოდ, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომელიც საბოლოო ინსტანციის სასამართლომ არჩევნების ჩატარებამდე მიიღო, არ იყო უკანონო. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ კანდიდატის არჩევნებზე დასაშვებობის ხელმოწერების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნა არ არღვევდა მომჩივნის უფლებას, ევროპული პარლამენტის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წარედგინა.

\*\*\*

**საქმეში – Karimov v. Azerbaijan<sup>144</sup>** – აპლიკანტი, რომელიც 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა, დავობდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესახებ, კერძოდ, თავისი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩევლებისთვის, სპეციალური საარჩევნო უბნების შექმნასთან დაკავშირებით. საარჩევნო კოდექსის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს ხმა უნდა მიეცათ ჩვეულებრივ საარჩევნო უბანზე. ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით, შესაბამისი ღონისძიებები შეიძლებოდა გატარებულიყო, რათა მოსამსახურეებს ხმა სამხედრო საარჩევნო უბნებზე მიეცათ იმ პირობით, რომ სამხედრო ნაწილი განლაგებული იყო დასახლებული პუნქტის გარეთ, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტით უახლოეს, ჩვეულებრივ საარჩევნო უბანამდე მგზავრობის დრო აჭარბებდა ერთ საათს და მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა ორმოცდაათს აღემატებოდა. ეროვნული სასამართლოების წინაშე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული პირობები არ არსებობდა, რადგან სამხედრო ერთეული დასახლებულ პუნქტში იყო განლაგებული, რომელიც მის ოლქში, ჩვეულებრივი საარჩევნო უბნიდან ფეხით სავალ მოკლე მანძილზე იყო. ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპლიკანტის სარჩელი და დაადგინა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო უკანონობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა. ევროსასამართლოს წინაშე აპლიკანტი დაეყრდნო კონვენ-

<sup>144</sup> Karimov v. Azerbaijan, no. 12535/06, 25 September 2014.

ციის I დამატებითი ოქმის მე-3 მუხლს.

საქმე **აღსანიშნავია** იმით, რომ სტრასბურგის სასამართლომ გაანალიზა მისი იურისდიქციის ფარგლები, განეხილა ეროვნული ორგანოების შესაბამისობა საარჩევნო კანონმდებლობასთან. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული კანონმდებლობის დარღვევა იმდენად მძიმე იყო, რომ იგი სერიოზულად ძირს უთხრიდა არჩევნების საერთო ლეგიტიმაციას, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი მოითხოვდა, რომ ევროპულ სასამართლოს შეეფასებინა აღნიშნული დებულების დარღვევა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების კონტექსტში. თუ აღნიშნული საკითხი ეროვნული სასამართლოების მიერ შეფასდებოდა, მაშინ ევროსასამართლო შემოიფარგლებოდა ადგილობრივი სასამართლოების დასკვნის სისწორის შემოწმებით.

აღნიშნულ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტის ოლქში, სამხედრო საარჩევნო უბნების მოწყობისთვის აუცილებელი პირობები აშკარად არ არსებობდა და შესაბამისად, ასეთ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა უკანონო იქნებოდა. ის ფაქტი, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული საარჩევნო უბნების შედეგები, სხვა საარჩევნო უბნებში ლეგიტიმურად მიცემული ხმების ჩათვლით, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მთელ საარჩევნო პროცესზე, არღვევდა, აპლიკანტის ოლქში, მთელი საარჩევნო პროცესის ერთიანობას. რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების შეფასებას, სტრასბურგის სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია, თუ სხვა რა „სარწმუნო მტკიცებულებები“ უნდა წარმოედგინა აპლიკანტს, რათა ეჩვენებინა, რომ სამხედროების მიერ ხმის მისაცემად სპეციალური საარჩევნო უბნების შექმნის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეში საარჩევნო კომისიების, სასამართლოების მოქმედებები და მათი შესაბამისი გადაწყვეტილებები მიუთითებდნენ კანონის უზენაესობისა და არჩევნების მთლიანობის დაცვის ჭეშმარიტი ინტერესის ნაკლებობაზე.

### გადაადგილების თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)

**გადაწყვეტილებაში საქმეზე – Battista v. Italy<sup>145</sup>** (არასაბოლოო) – აპლიკანტს უარი უთხრეს პასპორტსა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტზე, იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მან ვერ უზრუნველყო ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულება შვილებისთვის ალიმენტის გადახდის თაობაზე. იტალიის დატოვებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ემყარებოდა იმ რისკს, რომ ქვეყნიდან გასვლის შემთხვევაში, მომჩივანი თავიდან აიცილებდა გადახდის ვალდებულებას. აღნიშნული ზომები ძალაში იყო 2008 წლიდან.

ევროსასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს, აპლიკანტი ჩიოდა, რომ საქმის გარემოებებმა გამოიწვია კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დასმული არსებითი საკითხი ეხებოდა გამოყენებული ზომის პროპორციულობას.

აღნიშნულ ვითარებაში, სტრასბურგის სასამართლოს ადრე არ განუხილავს კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მოქმედება. შესაბამისად, საქმის გარემო-

<sup>145</sup> Battista v. Italy, no. 43978/09, 2 December 2014.

ებები ახალ საკითხს წამოჭრიდა. გადაწყვეტილება **ალსანიშნავი** იყო, აპლიკანტის კონკრეტულ საჩივართან დაკავშირებით ევროსასამართლოს რეაგირებით და მისი აღნიშნულ დებულებასთან მიმართებით არსებული პრეცედენტული სამართლის მეტ-ნაკლებად ამომწურავი განხილვით.

საჩივართან დაკავშირებით პროპორციულობის დოქტრინის გამოყენებისას, ევროსასამართლომ უპირატესობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილება – აპლიკანტისთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე – წარმოადგენდა მომჩივნის სამოქალაქო ვალდებულებების შეუსრულებლობის ავტომატურ პასუხს. სანქცია, დროში შეუზღუდავი და აბსულუტურად გამოყენებადი იყო. აღნიშნულ შემთხვევაში, არ გათვალისწინებულა რისკის ქვეშ მყოფი საპირისპირო ინტერესები და მათი დაბალანსების გზები. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო არსებული რამდენიმე საერთაშორისო ინსტრუმენტის მხედველობაში მიღება, რომელიც კონკრეტულად შექმნილი იყო, რათა განესაზღვრა, რომ ბავშვის რჩენისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ იმ პირებს, რომლებმაც შესაბამისი იურისდიქცია დატოვეს. ევროსასამართლოსთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ მოპასუხე სახელმწიფოში არსებულმა ეროვნულმა სასამართლოებმა, 2008 წელს მიღებული ღონისძიების განგრძობადი სამართლიანობა აღარ გამოიკვლიეს.

## კონვენციის სხვა დებულებები

### სამართლიანი დაკმაყოფილება (მუხლი 41)

**გადაწყვეტილება საქმეზე – Cyprus v. Turkey<sup>146</sup>** – ეხებოდა ჩრდილოეთ კვიპროსში არსებულ მდგომარეობას, მას შემდეგ, რაც თურქეთმა 1974 წლის ივლისსა და აგვისტოში განახორციელა სამხედრო ოპერაციები და რასაც მოჰყვა კვიპროსის ტერიტორიის უწყვეტი დაყოფა.

2001 წლის 10 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დიდი პალატის გადაწყვეტილებაში დაადგინა თურქეთის მიერ კონვენციის დარღვევის მრავალი შემთხვევა, 1974 წლის ივლისსა და აგვისტოში ჩრდილოეთ კვიპროსში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების, კვიპროსის ტერიტორიის უწყვეტი დაყოფისა და „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის“ მოქმედებების შედეგად. სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით ევროსასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ იგი არ იყო მზად გადაწყვეტილების მისაღებად და გადადო საქმის განხილვა კონკრეტული თარიღის მითითების გარეშე. ძირითადი გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა კვლავ მინისტრთა კომიტეტის მიერ განიხილება.

2007 წელს, კვიპროსის ხელისუფლებამ შეატყობინა ევროსასამართლოს, რომ ისინი აპირებდნენ განაცხადის წარდგენას დიდ პალატაში, საქმის განხილვის განახლებასთან დაკავშირებით, კონვენციის 41-ე მუხლის შესაძლო გამოყენების თაობაზე. 2010 წელს კვიპროსის მთავრობამ ევროსასამართლოს წარუდგინა თავისი მოთხოვნები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით იმ გაუჩინარებული პირების გამო, რომელთა მიმართ სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2, მე-

<sup>146</sup> Cyprus v. Turkey (სამართლიანი დაკმაყოფილება) [GC], no. 25781/94, ECHR 2014.

3 და მე-5 მუხლების დარღვევა. მოგვიანებით, კონვენციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, აპლიკანტებმა უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანეს თავიანთ საჩივარში გაუჩინარებული პირების შესახებ და წარადგინეს მოთხოვნები იმ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით, რომელიც კარპას ნახევარკუნძულზე მცხოვრები ბერძენი-კვიპროსელი პირების მიმართ განხორციელდა.

2014 წლის 12 მაისის ევროსასამართლოს გადაწყვეტილება **საინტერესოა** რამდენიმე ასპექტის გამო. პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლოს უნდა განეხილა თურქეთის ხელისუფლების მიერ წარდგენილი მოთხოვნა, დაუშვებლად ეცნო კვიპროსის მიერ წარდგენილი საჩივარი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რადგან იგი შეტანილ იქნა საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გამოტანიდან დაახლოებით 9 წლის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ კონვენციის დებულებები არ შეიძლება განმარტებული და გამოყენებული იქნეს ვაკუუმში, რადგან იგი წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც უნდა განიმარტოს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად. დაიმონმა რა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, **საქმეზე – Certain Phosphate Lands in Nauru (Nauru v. Australia)**<sup>147</sup>, ევროსასამართლომ აღიარა, რომ ზოგადი საერთაშორისო სამართალი, პრინციპში, ადასტურებს აპლიკანტი ხელისუფლების ვალდებულებას, იმოქმედოს გაუმართლებელი შეფერხების გარეშე, რათა დაცულ იქნეს სამართლებრივი განსაზღვრულობა და არ გამოიწვიოს მოპასუხე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არაპროპორციული ზიანი. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ თავად კონვენცია ამ საკითხზე არაფერს ამბობდა, გამორიცხული არ იყო, რომ ასეთი ბუნების სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულიყო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მიუხედავად ამისა, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ აღნიშნულ პერიოდში, კვიპროსის მთავრობის დამოკიდებულება არ ამართლებდა მისი მოთხოვნების უარყოფას.

მეორე რიგში, სტრასბურგის სასამართლოს **პირველად** უნდა ეპასუხა კითხვაზე, გამოიყენებოდა თუ არა კონვენციის 41-ე მუხლი სახელმწიფოთაშორის საქმეებში. დააყრდნო რა თავისი დასკვნა კონვენციის მოსამზადებელ სამუშაოებს, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ 41-ე მუხლის საერთო ლოგიკა არსებითად არ განსხვავდებოდა საერთაშორისო საჯარო სამართალში აღიარებულ რეპარაციის უფლების ლოგიკისგან. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის 41-ე მუხლი ნამდვილად გამოიყენებოდა სახელმწიფოთაშორის საქმეებში. თუმცა კითხვა – აპლიკანტი სახელმწიფოსთვის სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება გამართლებული იყო თუ არა, სტრასბურგის სასამართლოს მიერ უნდა შეფასებულიყო საქმის განხილვის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით ევროსასამართლომ განასხვავა ორი სახის მოთხოვნა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოთაშორის საჩივარში. პირველი კატეგორიის მოთხოვნა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სხვა ხელშეკრულ სახელმწიფოში არსებული ზოგადი საკითხების (ისეთი, როგორიცაა: სისტემური პრობლემები და ხარვეზები ან ადმინისტრაციული პრაქტიკა) გასაჩივრებას. ასეთ შემთხვევებში, აპლიკანტი ხელისუფლების პირველადი მიზანი იყო, ევროპის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და შესაბამისად, ასეთ პრობლებში სამართლიანი დაკმაყოფილება პროპორ-

<sup>147</sup> Nauru v. Australia (ნაურუს გარკვეული ფოსფატის მინები), 26 June 1992.

ციული ვერ იქნებოდა კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე. მეორე კატეგორიის მოთხოვნის დროს, სახელმწიფომ დაგმო მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ, მისი მოქალაქეების ან გარკვეული განსაზღვრული ან განსაზღვრადი პირების ძირითადი უფლებების დარღვევა. ამ ტიპის საჩივარი, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, დიპლომატიური დაცვის კონტექსტში შეტანილი განაცხადების მსგავსი იყო და აღნიშნულ შემთხვევაში სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება პროპორციული იქნებოდა, თუ იგი გამოიყენებოდა ინდივიდუალური დაზარალებული პირებისთვის და არა მომჩივანი მთავრობის სასარგებლოდ.

მოცემულ საქმეში, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ კვიპროსის მთავრობის მოთხოვნები ზემოთ აღნიშნული მეორე კატეგორიის საჩივრის ფარგლებში ექცეოდა და გადაწყვიტა, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, გაუჩინარებულ პირთა გადარჩენილი ნათესავებისთვის მიენიჭებინა საერთო რაოდენობის 30 მილიონი ევრო, ხოლო კარპას ნახევარკუნძულის მცხოვრებთათვის – 60 მილიონი ევრო. სტრასბურგის სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ აღნიშნული თანხები მომჩივან ხელისუფლებას დაზარალებული პირების მიმართ უნდა გაენაწილებინა. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კვიპროსის ხელისუფლებას, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ უნდა უზრუნველყო ეფექტური მექანიზმის შექმნა, ზემოთ მითითებული თანხების გასანაწილებლად. ბოლოს, ევროსასამართლომ დასძინა, რომ აღნიშნული ქმედებები უნდა განხორციელებულიყო გადახდის თარიღიდან 18 თვის განმავლობაში ან ნებისმიერი სხვა პერიოდის დროს, რომელსაც მინისტრთა კომიტეტი შესაბამისად მიიჩნევდა.

## მატერიალური ზიანი

**საქმეზე – Vistins and Perepjolkins v. Latvia<sup>148</sup>** – ევროსასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი. სტრასბურგის სასამართლომ ძირითად გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ მომჩივნებისთვის მათი მიწის ჩამორთმევის გამო მიკუთვნებული კომპენსაცია არაპროპორციულად დაბალი იყო და ლატვიამ გადააბიჯა შეფასების ფართო ზღვარს და ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი, საკუთრების დაცვასა და საჯარო ინტერესის მოთხოვნებს შორის.

წინამდებარე საქმეში, ევროსასამართლოს დიდი პალატის ინტერესს წარმოადგენს მომჩივნისათვის მისაკუთვნებელი თანხის გამოთვლის მეთოდები მატერიალურ ზიანთან მიმართებით, განსაკუთრებით სამართლიანი დაკმაყოფილების უზრუნველყოფის კონტექსტში.

განსხვავებით **საქმისაგან – Guiso-Gallisay v. Italy<sup>149</sup>**, რომელიც უკანონო ექსპროპრიაციას ეხებოდა, წინამდებარე საქმეზე დარღვევის დადგენა განპირობებული იყო ქონების ოფიციალურ საკადასტრო ღირებულებასა და მიკუთვნებულ კომპენსაციას შორის არსებული გაუმართლებელი არაპროპორციულობით. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, მომჩივნებისათვის მიკუთვნებულმა კომპენსაციამ გავლენა არ უნდა მოახდინოს გასაჩივრებული ჩარევის შედეგების

<sup>148</sup> Vistins and Perepjolkins v. Latvia (სამართლიანი დაკმაყოფილება) [GC], no. 71243/01, ECHR 2014.

<sup>149</sup> Guiso-Gallisay v. Italy (სამართლიანი დაკმაყოფილება) [GC], no. 58858/00, 22 December 2009.



სრულად აღმოფხვრის იდეას ან ქონების მთლიან ღირებულებაზე. სტრასბურგის სასამართლომ სათანადოდ მიიჩნია განესაზღვრა თანხა, რაც „გონივრულად შეესაბამებოდა“ მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას იმ დროისათვის, როდესაც მომჩივნებმა დაკარგეს საკუთარი ქონება. ევროსასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საქმის კონკრეტული გარემოებების ფონზე, მას, შესაბამისი თანხის გამოთვლისას, სამართლიანი დაკმაყოფილება უნდა უზრუნველყოს. ევროპულმა სასამართლომ დაიმონმა ძირითადი გადაწყვეტილების დასკვნები, კერძოდ, ლატვიის ხელისუფლების ორგანოები გამართლდნენ იმისათვის, რომ მომჩივნებს ჩამორთმეული ქონების სრული საბაზრო ღირებულება არ მიაკუთვნეს. გარდა ამისა, სადავო სიტუაციის კონკრეტულ მახასიათებლებთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზის გამო, სრულ საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები თანხა დააკმაყოფილებდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნებს. ამრიგად, ევროსასამართლომ სამართლიანად მიიჩნია თანხის 75%-ით შემცირება, რომელიც მინის ყოველი კვადრატული მეტრის ღირებულების შესაბამისი იქნებოდა. საბოლოო თანხა, რომელიც მატერიალურ ზიანთან დაკავშირებული კომპენსაციის გამოთვლის საფუძველად უნდა იქნეს მიჩნეული, ეროვნულ დონეზე მომჩივნებისათვის კომპენსაციის სახით მიკუთნებული თანხის ოდენობით შემცირდა. სტრასბურგის სასამართლომ, ინფლაციის შედეგების გათვალისწინებით, განსაზღვრა კომპენსაციის თანხა და დაამატა კანონით გათვალისწინებული პროცენტი.

## გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალა და აღსრულება (მუხლი 46)

### გადაწყვეტილებათა აღსრულება

**საქმეზე – Kuric and Others v. Slovenia<sup>150</sup>** – ევროსასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც 2012 წლის ძირითადი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, მე-13 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში და მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში<sup>151</sup>.

საქმე ეხებოდა იმ პირების მდგომარეობას, რომლებიც სლოვენის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მუდმივ მაცხოვრებელთა რეესტრიდან ამოშლილნი იყვნენ.

მოცემული გადაწყვეტილება **საინტერესოა** იმ თვალსაზრისით, რომ იგი ეხება ევროსასამართლოს საპილოტე გადაწყვეტილების შედეგად, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს და აგრეთვე სტრასბურგის სასამართლოს, დავის მონაწილე სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შესაბამის როლებს.

ძირითად გადაწყვეტილებაში ევროსასამართლომ გადაწყვიტა გამოეყენებინა საპილოტე გადაწყვეტილების პროცედურა და მოპასუხე სახელმწიფოს მიუთითა, დაეარსებინა ად ჰოც შიდასახელმწიფოებრივი კომპენსაციის სქემა, გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში, რათა უზრუნველყოფილიყო ადეკვატური ზი-

<sup>150</sup> Kuric and Others, supra note 2.

<sup>151</sup> Kuric and Others v. Slovenia [GC], no. 26828/06, ECHR 2012 (ამონარიდები).

ანის ანაზღაურება იმ პირებისათვის, რომელთა სახელები უკანონოდ იქნა ამოღებული მუდმივ მაცხოვრებელთა რეესტრიდან.

ევროსასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მთავრობამ მსგავსი სქემა არ დააარსა იმ თარიღისათვის, როდესაც ამოიწურა ძირითად გადაწყვეტილებაში მითითებული ერთწლიანი ვადა. მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობას სადავოდ არ გაუხდია, რომ ეროვნულ დონეზე აუცილებელი იყო ზოგადი ღონისძიებები, რათა მხედველობაში მიეღოთ, წინამდებარე საქმეში მომჩივნების გარდა, დამატებით, სხვა სიიდან ამოშლილი პირების ინტერესები.

ამ კონტექსტში, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა ის ფაქტი, რომ მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა კანონი *ad hoc* კომპენსაციის სქემის დაარსების თაობაზე. აღნიშნული კანონი უზრუნველყოფდა კომპენსაციას, პირის სიიდან ამოშლის თითოეული თვისათვის, ერთიანი თანხის საფუძველზე, ისევე, როგორც ითვალისწინებდა დამატებითი კომპენსაციის მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას, ვალდებულებათა შესახებ კოდექსის ზოგადი დებულებების მიხედვით. საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ სიიდან ამოშლილ პირთათვის მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად ერთიანი თანხის მეშვეობით მარტივად კომპენსაციის მინიჭება, რა მიდგომაც მან მატერიალურ ზიანთან მიმართებით მოცემულ გადაწყვეტილებაში, ხოლო არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით ძირითად გადაწყვეტილებაში შეიმუშავა, შესაბამისი იყო.

სუბსიდიარულობის და შეფასების ფართო ზღვრის პრინციპის გათვალისწინებით, ეროვნულ დონეზე სხვა დაზარალებული პირებისათვის კომპენსაციის მიკუთვნების ოდენობის განსაზღვრა, კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე არსებული ზოგადი ღონისძიებების კონტექსტში, მოპასუხე სახელმწიფოს დისკრეციას წარმოადგენს, ვინაიდან იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას ადგენს. კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე, მინისტრთა კომიტეტმა უნდა შეაფასოს სლოვენის რესპუბლიკის მიერ მიღებული და განხორციელებული ზოგადი ღონისძიებები, ვინაიდან საქმე ეხება ევროსასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობას.

### ზოგადი ღონისძიებები<sup>152</sup>

ზემოთ აღნიშნულ საქმეში – *Cusan and Fazzo*<sup>153</sup> – ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არსებული ხარვეზის საფუძველზე, რომლის მიხედვით, ყველა ქორწინებაში დაბადებული ბავშვი მამის გვარით უნდა შეეყვანათ დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების რეესტრში, აღნიშნულიდან გადახვევის გარეშე; იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობლები შეთანხმებულნი იყვნენ დედის გვარის გამოყენების თაობაზე. ევროსასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თუ იგი ხარვეზს აღმოაჩენს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, სტრასბურგის სასამართლო ადგენს აღნიშნულის გამომწვევ მიზეზს, რათა ხელი შეუწყოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს სათანადო გადაწყვეტილების მიღებასა და მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ ამ გა-

<sup>152</sup> იხ., აგრეთვე, *Kim v. Russia*, no. 44260/13, 17 July 2014.

<sup>153</sup> *Cusan and Fazzo*, supra note 132.

დანყვეტილების აღსრულებაში.

მოცემულ საქმეში, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ან/და პრაქტიკის რეფორმირება უნდა მოეხდინა, რათა უზრუნველყოფილიყო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნებისადმი შესაბამისობა და კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების მოთხოვნებთან თავსებადობა.

### ინდივიდუალური ღონისძიებები

**საქმეში – Grande Stevens and Others v. Italy**<sup>154</sup> – საფონდო ბირჟის დამოუკიდებელმა საზედამხედველო ორგანომ მომჩივანს დააკისრა ჯარიმა, რომელიც ეროვნულ სამართალში ადმინისტრაციულ სახდელად კვალიფიცირდებოდა. აპლიკანტები ფინანსურ ოპერაციასთან დაკავშირებულ საბაზრო მანიპულირებაში იყვნენ მხილებულნი. ჯარიმების დაკისრების შესახებ ბრძანება საბოლოო იყო. ჯარიმების რაოდენობის თვალსაზრისით, რომელიც დაწესებული იყო ან შეიძლებოდა დაწესებულიყო, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, სანქციები სისხლის სამართლებრივი ბუნების იყო. საქმე აღიძრა იტალიის სისხლის სამართლის სასამართლოებშიც, იმავე ფაქტებისა და იმავე პირების მიმართებით, რომლებიც უკვე საბოლოო მსჯავრდებას დაექვემდებარნენ. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა, რომელიც ორმაგი დასჯის აკრძალვის (*ne bis in idem*) პრინციპს<sup>155</sup> ითვალისწინებს.

გადაწყვეტილება **საინტერესოა**, სტრასბურგის სასამართლოს მიერ მოპასუხე სახელმწიფოსთვის დაწესებული ინდივიდუალური ღონისძიების გამო, კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის ანაზღაურების მიზნით. ევროსასამართლომ, როგორც სამოტივაციო, ასევე სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყო სისხლის სამართლის ახალი საქმის წარმოება, კონვენციის დებულებების დამრღვევი აპლიკანტების წინააღმდეგ, რომელიც განხილვის დროს მიღებული უახლესი ინფორმაციის საფუძველზე წარმართება და დასრულდება რაც შეიძლება სწრაფად, განმცხადებლებზე რაიმე უარყოფითი შედეგების გარეშე.

\*\*\*

ზემოთ მითითებულ **საქმეში – Kim** – აპლიკანტი, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირი იყო, დააკავს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის გამო. მას ბრალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის წაუყენეს და მოათავსეს უცხოელთა დროებითი განთავსების ცენტრში, გაძევების პროცედურის დაწყებამდე. მომჩივნის უზბეკეთში დასაბრუნებლად, სხვადასხვა მცდელობა განხორციელდა. თუმცა, უზბეკეთის ხელისუფლებამ ვერ უპასუხა იმ კითხვებს, რომელიც აპლიკანტისთვის სამგზავრო დოკუმენტის გაცემას ეხებოდა. საბოლოოდ, მომჩივანი დაკავების ცენტრიდან გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მაქსიმალური ვადა – 2 წელი გავიდა. ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (დაკავების ცენტრში არსებული პირობები), მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (განმცხადებლის გამოყვანის რეალური პერსპექტი-

<sup>154</sup> Grande Stevens and Others v. Italy, nos. 18640/10 et al., 4 March 2014.

<sup>155</sup> Sergey Zolotukhin v. Russia [GC], no. 14939/03, ECHR 2009.

ვის და სამართალწარმოების კეთილსინდისიერად წარმართვის არარსებობა) და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის (მომჩივნის დაკავების განგრძობადი კანონიერება, სამართლებრივი განხილვის პროცედურის არარსებობის დროს) დარღვევა.

გადაწყვეტილება **აღსანიშნავია**, სტრასბურგის სასამართლოს მიერ მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ კონვენციის 46-ე მუხლის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. ევროსასამართლო შემოთავაზებული იყო, რომ აპლიკანტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეშე მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირი, გათავისუფლების შემდეგ, შესაძლებელი იყო დამდგარიყო იმავე განსაცდელის წინაშე. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე ხელისუფლებას უნდა ესარგებლა საჭირო ინსტრუმენტებითა და პროცედურებით, რათა თავიდან აეცილებინა აპლიკანტის განმეორებითი დაკავება და განთავსების ცენტრში მოთავსება იმ დანაშაულების გამო, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსიდან გამომდინარეობდა. ევროსასამართლომ განმარტა, რომ მინისტრთა კომიტეტის ვალდებულება იყო ზედამხედველობა განეხორციელებინა, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და განმცხადებლის მდგომარეობის სათანადო გათვალისწინებით შესაძლებელი, დროული, ადეკვატური და საკმარისი ზომების მიღების თაობაზე, რათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვეული უფლებების მაქსიმალური შესაძლო ანაზღაურება განხორციელებულიყო (იხ. **გადაწყვეტილება საქმეზე – Savridin Dzhrayev v. Russia**<sup>156</sup>). ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა მისაღები ზოგადი ღონისძიებების არსის შესახებ, რათა გამოსწორებულიყო კონვენციის მე-3 მუხლითა და მე-5 მუხლის 1-ლი, მე-4 პუნქტებით დადგენილი ხარვეზები.

\*\*\*

**გადაწყვეტილება საქმეზე – Ataykaya v. Turkey**<sup>157</sup> – ეხებოდა დემონსტრაციის დროს დამდგარ სიკვდილს, რომელიც გამოიწვია ცრემლსადენი გაზის ბალონის აფეთქებამ (კონვენციის მე-2 მუხლი). ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა სიცოცხლის უფლება.<sup>158</sup> მან ასევე დაასკვნა, რომ ინციდენტის თაობაზე გონივრული გამოძიება არ განხორციელებულა. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, განმასხვავებელი ნიშნის გარეშე ნიღბების ტარების შესახებ, შეუძლებელს ხდიდა იმ ოფიცრების ამოცნობას, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ცრემლსადენი გაზის ბალონის აფეთქებაში, რამაც პირდაპირ გამოიწვია ამ ოფიცრების სისხლის სამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე გამოძიება ჯერ კიდევ ღია იყო და მიუთითა, რომ მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, ახალი საგამოძიებო ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული. კერძოდ, ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ვალდებული იყვნენ მიეღოთ ზომები დაუსჯელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის, ეფექტური სისხლის სამართლებრივი გამოძიების კუთხით, რომელიც მიზნად ისახავდა აღნიშნულ დანაშაულში ბრალდებულ პირთა იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში – დასჯას.

\*\*\*

საჩივარი **საქმეზე – Amirov v. Russia**<sup>159</sup> (არასაბოლოო) – წარდგენილი იყო პატიმრის

<sup>156</sup> Savridin Dzhrayev v. Russia, no. 71386/10, § 255, ECHR 2013 (ამონარიდები).

<sup>157</sup> Ataykaya v. Turkey, no. 50275/08, 22 July 2014.

<sup>158</sup> იხ., აგრეთვე, Abdullah Yasa and Others v. Turkey, no. 44827/08, 16 July 2013.

<sup>159</sup> Amirov v. Russia, no. 51857/13, 27 November 2014.

მიერ, რომელიც პარალიზებული გახლდათ და ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები. სტრასბურგის სასამართლომ, რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად გამოსცა დროებითი ღონისძიება, რომლის მიხედვით რუსეთის მთავრობას მოსთხოვა, უზრუნველყო მომჩივნისათვის დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტის მიერ გამოკვლევის ჩატარება, რათა განსაზღვრულიყო, დროებითი მოთავსების იზოლაციაში, მისთვის მიწოდებული სამედიცინო მკურნალობა იყო თუ არა ადეკვატური. გარდა ამისა, შემონმების შედეგად უნდა დადგენილიყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენად თავსებადი იყო დაკავებასთან, თუ აუცილებელი იყო მისი საავადმყოფოში გადაყვანა. მიუხედავად ამისა, კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევით, სახელმწიფომ არ შეასრულა აღნიშნული დროებითი ღონისძიება და ნაცვლად დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტისა მთავრობამ, მომჩივნის მდგომარეობის შესახებ, საკუთარი შეფასება წარმოადგინა. ევროსასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა იმ საფუძვლით, რომ მომჩივანი ციხეში არაადეკვატურ სამედიცინო მკურნალობას იღებდა. წინამდებარე საქმეში აღსანიშნავია ინდივიდუალურ ღონისძიებაზე მითითება, რათა გამოსწორებულ იქნეს მომჩივნის უფლებების დარღვევის შედეგი. ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს მოსთხოვეს გაეტარებინათ განსაზღვრული ღონისძიებები, რათა უზრუნველყოთ, რომ მომჩივანი მიიღებდა საჭირო სამედიცინო მკურნალობას და განხორციელდებოდა მომჩივნის რეგულარული შემონმება, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტის დახმარების მეშვეობით.

### ყველა საჭირო საშუალების უზრუნველყოფის ვალდებულება (მუხლი 38)

ზემოთ მითითებულ **Georgia v. Russia (no.1)**<sup>160</sup> საქმეზე რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა ევროსასამართლოსთვის რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ 2006 წლის სექტემბრის ბოლოს გამოცემული ორი ცირკულარის ასლები მიენოდებინა, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენდა, რომელთა გამჟღავნებაც რუსული კანონმდებლობის მიხედვით აკრძალული იყო. სტრასბურგის სასამართლომ ძველ საქმეებში, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებს ეხებოდა, დაადგინა, რომ მოპასუხე მთავრობები ვერ დაეყრდნობოდნენ ეროვნულ კანონმდებლობას, რათა გაემართლებინათ ევროსასამართლოს მიერ მტკიცებულების წარმოდგენის თაობაზე არსებული მოთხოვნის შეუსრულებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა კონკრეტული ახსნა-განმარტება ცირკულარების საიდუმლოების შესახებ ან იმის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ ცირკულარების გაუმჟღავნებლობისათვის არსებობდა ლეგიტიმური უსაფრთხოების ინტერესი. სტრასბურგის სასამართლოს რეგლამენტის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, არსებობდა გაუმჟღავნებელი დოკუმენტების მიმართ საჯარო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შესაძლებლობა, მაგალითად, კონფიდენციალურობის დაცვის მეშვეობით. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის სახელმწიფომ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყო ყველა საჭირო საშუალება, რათა სტრასბურგის სასამართლოს, აღნიშნულ საქმეზე, ფაქტების დადგენაში დახმარებოდა.<sup>161</sup>

<sup>160</sup> Georgia v. Russia (no. 1), supra note 14.

<sup>161</sup> იხ., აგრეთვე, the Al Nashiri გადაწყვეტილება, supra note 7, სადაც, ევროსასამართლომ უარყო ხელისუფლების არგუმენტი, რომ თვით სტრასბურგის სასამართლოს უნდა მოეთხოვა შესაბამისი ეროვნული ორგანოებისგან, შიდა საკანონმდებლო პროცედურების დაცვით, მისთვის რელევანტური დოკუმენტების მიწოდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 2982085  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)